

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქეთევან მოსაშვილი

საზრისის ძიება: რელიგიურობის, სამყაროს შესახებ
წარმოდგენების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება

(2008 წლის ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული პირების მაგალითზე)

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჩიტაშვილი, სრული პროფესორი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ

კონსულტანტი: ხათუნა მარწყვიშვილი, ასისტენტ პროფესორი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2016

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	8
თავი 1 - საზრისის ძიების თეორია.....	15
1.1. საზრისის ძიების თეორიული საფუძვლები	15
1.2. გლობალური და სიტუაციური საზრისი	17
1.3. საზრისის ძიების პროცესი.....	200
1.4. საზრისისეული დაძლევა და აღმოჩენილი საზრისი	211
1.5. საზრისის ძიება და შეგუება	23
1.6. საზრისის ძიების ფენომენის გაზომვის მიდგომები	24
1.6.1. საზრისის ძიების საკვლევი ინსტრუმენტები	24
1.6.1.1. სამყაროს შესახებ წარმოდგენების საკვლევი სკალა (WAS).....	24
1.6.1.2. სტრესის შეფასების საზომი (SAM).....	25
1.6.1.3. სტრესული გამოცდილების ინტეგრაციის სკალა (ISLES).....	26
1.6.1.4. კაუზალური განზომილების სკალა (CDS-II).....	27
1.7. საზრისის ძიება და რელიგია	28
1.7.1. რელიგია როგორც გლობალური საზრისი	28
1.7.2. რელიგია და რელიგიური დაძლევა.....	29
1.7.3. რელიგია, პოსტტრავმული ზრდა და კარგად ყოფნა	31
თავი 2 - პოსტტრავმული ზრდა.....	36
2.1. პოსტტრავმული ზრდის თეორიული მოდელი	36
2.2. პოსტტრავმული ზრდა და საზრისის ძიება.....	39
2.3. პოსტტრავმული ზრდა და სტრესის დაძლევის სტრატეგიები.....	41
თავი 3 - იძულებით გადაადგილებული პირები.....	45
თავი 4 - სამყაროს შესახებ წარმოდგენები.....	48
4.1. დანგრეული/დამსხვრეული წარმოდგენების თეორია.....	48
4.2. სამყაროს შესახებ წარმოდგენების მსხვრევა: ტრავმული გამოცდილების გავლენა.....	50
თავი 5 - კვლევის საკითხის განსაზღვრა	53
თავი 6 - კვლევის მეთოდი	58

6.1. რელიგიურობის, სამყაროს შესახებ წარმოდგენების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება.....	58
კვლევის მონაწილეები/ პროცედურა.....	73
კვლევის ინსტრუმენტები	60
I. პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი.....	60
II. სამყაროს შესახებ წარმოდგენების სკალა.....	622
III. დაძლევის სტრატეგიების კითხვარი.....	655
IV. ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების სკალა	67
V. რელიგიურობის სკალა.....	68
6.2. საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმება (სტრუქტურული განტოლების მოდელი).....	70
კვლევის მონაწილეები/ პროცედურა.....	70
კვლევის ინსტრუმენტები	70
I. პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი	70
II. დაძლევის სტრატეგიების კითხვარი	71
III. რელიგიურობის სკალა.....	71
6.3. გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევი კითხვარის (GMVS) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე	72
კვლევის მონაწილეები/ პროცედურა.....	73
კვლევის ინსტრუმენტი.....	74
თავი 7- შედეგების აღწერა	77
7.1 სამყაროს შესახებ წარმოდგენების, რელიგიურობას, საზრისისეულ დაძლევას და პოსტტრავმულ ზრდას შორის ურთიერთმიმართება	77
7.2. საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმება (სტრუქტურული განტოლების მოდელი)	96
7.3. გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევი კითხვარის (GMVS) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე	99
თავი 8 - შედეგების გახილვა	110
თავი 9 - დასკვნები	119
გამოყენებული ლიტერატურა	125
დანართები	138

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეფუძნება საზრისის ძიების თეორიას და მის მიზანს წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის ცალკეული სავარაუდო პრედიქტორების, როგორცაა სამყაროს შესახებ წარმოდგენების, რელიგიურობის, დაძლევის სტრატეგიების, გლობალური საზრისის დარღვევის და ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების კვლევა იძულებით ადგილნაცვალი პირების, როგორც ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდების მაგალითზე.

კვლევა წარმოადგენილია სამ ნაწილად. კვლევის პირველი ნაწილის მიზანს წარმოადგენს საზრისის ძიების თეორიის მიხედვით, პოსტტრავმული ზრდას, სამყაროს შესახებ წარმოდგენები, რელიგიურობის, დაძლევის სტრატეგიებს, ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებას და გლობალური საზრისის დარღვევას შორის მიმართებების კვლევა. კვლევის მეორე ნაწილის მიზანს წარმოადგენს საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმება. კერძოდ, პოსტტრავმული ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების, როგორცაა რელიგიურობის, რელიგიური/რელიგიური და საზრისისეული იგივე, მნიშვნელობის მინიჭების გზით დაძლევის კომბინაციური გავლენის კვლევა. კვლევის მესამე ნაწილის მიზანია გლობალური საზრისის დარღვევის შესაფასებელი ინსტრუმენტის (Park, 2008; Park & Edmondson, 2009) ქართული ვერსიის შექმნა. კვლევის მონაწილეები, კვლევის პირველი და მეორე ნაწილისთვის, არიან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეირაღებული კონფლიქტის შემდგომ იძულებით ადგილნაცვალი პირები, სულ 190 მონაწილე. კვლევის ჰიპოთეზების შემოწმებისთვის, გამოყენებულ იქნა, როგორც აღწერითი სტატისტიკის ოპერაციები, ისე ახსნითი. კვლევის მეორე მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა სტრუქტურული განტოლების მოდელირება (Structural Equation Modelling).

ინსტრუმენტის ქართულ პოპულაციაზე ადაპტაციისთვის კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 392-მა ინდივიდმა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, განხორციელდა ყველა

საჭირო საფეხური, რაც მოიცავს ინსტრუმენტის თარგმნას, გადამოწმებას საპირისპირო თარგმანის საშუალებით, კითხვარის პლოტირებას, რადაქტირებას, კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენას და ბოლოს, კვლევის მიზნებისთვის გამოყენებას.

კვლევის ძირითად შედეგებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი:

- სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამივე სკალას აღმოაჩნდა პრედიქტორული წონა პოსტტრავმული ზრდისთვის;
- ინტერპერსონალური რელიგიურობა წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს;
- გლობალური საზრისის დარღვევის რწმენების განზომილება პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორია;
- ტრავმული სიტუაციის როგორც გამოწვევის და საფრთხის შეფასებას პოსტტრავმული ზრდისთვის პრედიქტორული წონა აღმოაჩნდა
- დაძლევის რელიგიური და არარელიგიური გზები წარმოადგენს რელიგიურობას და პოსტტრავმულ ზრდას შორის მედიატორ ცვლადებს;
- ჰიპოთეტურ მოდელში გამოყენებული 'დიქტომია' აჩვენებს ოპტიმისტურ შედეგს, იმის მიუხედავად, ინდივიდი რელიგიური თუ არარელიგიური დაძლევის გზას აირჩევს;
- პოსტტრავმული ზრდის ჰიპოთეტურმა მოდელმა საუკეთესო მორგება აჩვენა დევნილების შერჩევაზე. მოდელში არსებული ცვლადების კომბინაცია პოსტტრავმული ზრდის 53%-ს ხსნის;
- გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტი ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით იმეორებს ავტორების

მიერ შემოთავაზებულ ფაქტორული სტრუქტურას და გამართულია სამომავლო კვლევითი თუ კლინიკური მიზნებისთვის.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ემპირიულ კვლევათაგანს საერთაშორისო დონეზე და პირველ კვლევას საქართველოში, რომელიც შეეხება საზრისის ძიების თეორიული მოდელის ემპირიულად შემოწმებას.

არსებული კვლევას, რომელიც თავის თავში სამ ნაწილს მოიაზრებს (პოსტტრავმული ზრდის ცალკეული პრედიქტორების კვლევა, კონცეპტუალური მოდელი და ინსტრუმენტის ადაპტაცია) თეორიული ღირებულება გააჩნია. ერთის მხრივ, ამაზე მიუთითებს ის, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებულმა ჰიპოთეტურმა მოდელმა საუკეთესო მორგება აჩვენა ჩვენ შერჩევაზე, რაც თავის მხრივ, საზრისის ძიების თეორიული მოდელის შემოწმებას და კულტურული თავისებურებების გამოვლენას ემსახურება ქართულ რეალობაში. მეორეს მხრივ, ტრავმული გამოცდილების შედეგად პოსტტრავმული ზრდის ფენომენის, იგივე აღმოჩენილი საზრისის, განმსაზღვრელი ფაქტორების და მექანიზმების შესწავლით, კვლევას წვლილი შეაქვს აღნიშნული კონსტრუქტების ვერიფიცირებაში, რაც თავის მხრივ, პოზიტიური ფსიქოლოგიაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას, კვლევის შედეგებმა მოგვცა საშუალება საზრისის ძიების თეორიული ჩარჩოს ფარგლებში კონკრეტული ფაქტორების და კავშირების იდენტიფიცირება, რაც ცხოვრებაში ნეგატიურ მოვლენებთან შეჯახებისას ეფექტურ დაძლევას უწყობს ხელს. თავის მხრივ, აღნიშნული შედეგები სფეროში მომუშავე პროფესიონალებს აძლევს ეფექტური ინტერვენციის დაგეგმვის და განხორციელების საშუალებას.

კვლევის შედეგად მიღებული ქართულ ენაზე ადაპტირებული გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტი სამომავლო კვლევების დ ინტერვენციის დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

შესავალი

საზრისის ძიება და პოვნა ადამიანებისთვის ფუნდამენტურ პროცესს წარმოადგენს (Baumeister, 1991; Baumeister, 2002; Ochs & Capps, 1996; Klinger, 1977). სწორედ ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე ჩვენ ვპოულობთ საზრისს, რომელიც მოიცავს მყარ შეხედულებებს და მოლოდინებს იმის შესახებ თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი სამყარო (Baumeister, 1991). აღნიშნული პროცესი და შედეგი ადამიანების არა მხოლოდ ძირითადი მახასიათებელია, მას გარკვეული ფუნქციაც გააჩნია. კერძოდ, ფართოდ მიღებულია, რომ ის ფსიქიკური ჯანმრთელობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს (Klinger, 1998) და მეტიც, იგი ცხოვრებაში ნეგატიურ მოვლენებთან წარმატებული შეგუების მნიშვნელოვანი მექანიზმია (Janoff-Bulman, 1992).

საზრისის ძიების (meaning making) შესახებ არსებული თანამედროვე ლიტერატურა გვთავაზობს, რომ პოტენციურად მატრავმირებელი მოვლენები ხშირად უბიძგებს ადამიანებს საზრისის ძიებისკენ (Janoff-Bulman & McPherson Frantz, 1997; Neimeyer, 2001; Park & Folkman, 1997). ამ კუთხით, ძირითად მიმართულებას წარმოადგენს აზრი, რომ ამგვარი მოვლენები ანგრევენ ინდივიდის სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენებს (Janoff-Bulman, 1992).

შეცვლილი და დანგრეული წარმოდგენების (shattered assumptions) თეორიას საფუძვლად უდევს ის იდეა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია გარკვეული წარმოდგენები სამყაროს კანონზომიერებისა და პროგნოზირებადობის შესახებ, რაც მათ ჯანსაღ ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებასა და დაცულობის განცდას უზრუნველყოფს (Janoff-Bulman, 1992). სამყაროს შესახებ წარმოდგენებისა სამყაროს შესახებ წარმოდგენები და შეხედულებები ადამიანებს უყალიბდებათ, ერთის მხრივ, გარემოს გავლენით (მშობლები, კულტურული გარემო) და, მეორეს მხრივ, საკუთარი გამოცდილებების საფუძველზე. ეს წარმოდგენები არის მყარი და ადამიანები არიან რეზისტენტული მათი ცვლილების მიმართ. თუმცა, ტრავმული მოვლენები მათი არაპროგნოზირებადი და არასასიამოვნო

ბუნების გამო იწვევენ უმწეობის განცდას და სამყაროს შესახებ ამგვარ წარმოდგენებს ეჭვის ქვეშ აყენებენ (Bolton & Hill, 1996).

პოტენციურად მატრავმირებელი მოვლენები, როგორცაა, საავტომობილო შემთხვევები, ოჯახური ძალადობა, ბუნებრივი კატასტროფები, ომი და ა.შ. ადამიანის ტრავმამდე არსებულ „გადაუმოწმებელ“ შეხედულებებს თავდაყირა აყენებს. გააზრება და საზრისის ხელახალი ძიება, რომელიც ამგვარ მოვლენებს ხშირად თან სდევს, წარმოადგენს არსებულ ქაოსში წესრიგის და პროგნოზირებადობის აღდგენის მცდელობას. ავტორები ასევე იკვლევენ, თუ როგორ უმკლავდებიან ადამიანები სტრესულ სიტუაციას და თუ როგორ არის დაკავშირებული ეს სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამყაროს შესახებ წარმოდგენები ტრავმულ მოვლენებთან შეგუებასთან (Park & Folkman, 1997).

კ. პარკის და ს. ფოლკმანის მიერ (1997) შემოთავაზებული საზრისის ძიების მოდელი, რომელიც გამოყოფს გლობალურ და სიტუაციურ საზრისს, უფრო დეტალურად განიხილავს საზრისის ძიების პროცესს. გლობალური საზრისი მოიცავს ადამიანის ზოგად შეხედულებებს და წარმოდგენებს (global meaning), ხოლო სიტუაციური საზრისი (situational meaning) წარმოიქმნება ტრავმული სიტუაციის შესაძლო შეფასებისას. ამ მოდელის მიხედვით, ტრავმის შემდგომ დისტრესი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს განსხვავება ადამიანის ზოგად, გლობალურ და კონკრეტულ სიტუაციურ საზრისს შორის. სხვა სიტყვებით, როდესაც მატრავმირებელი სიტუაციის შეფასება არ შეესაბამება ინდივიდის ზოგად შეხედულებებს და წარმოდგენებს აღნიშნული განსვლა ადამიანებისთვის წარმოადგენს არაკომფორტულ მდგომარეობას და ჩნდება მისი შემცირების მაღალი მოტივაცია. სიტუაციისთვის მინიჭებული შეფასების (appraised meaning of the situation) ცვლილება, მაგალითად მოვლენის უფრო პოზიტიურად დანახვა, აღნიშნულ განსვლას ამცირებს (Pearlin 1991, as quoted in Miller, T.W. 2010) და უფრო მეტიც, შესაძლოა პოსტტრავმული ზრდითაც კი დასრულდეს.

პოსტტრავმული ზრდა წარმოადგენს მატრავმირებელი სიტუაციების შედეგად დანგრეული წარმოდგენების და შეხედულებების აღდგენისა და ხელახალი მნიშვნელობის მინიჭების კოგნიტური მცდელობის პოტენციურ შედეგს (Calhoun & Tedeschi, 2006; Janoff-Bulman, 1992, 2006). ამ ფენომენის ემპირიული შესწავლა ტედესკის და კალჰოუნის (Tedeschi & Calhoun, 1996) სახელს უკავშირდება და ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით საგრძნობლად იმატა კვლევებმა. მკვლევრები დაინტერესდნენ პოსტტრავმული ზრდის განმაპირობებელი როგორც პიროვნული, ასევე, სიტუაციასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლით. ამ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, გარკვეული ტიპის დაძლევის სტრატეგიებს, როგორცაა პოზიტიური შეფასება და რელიგიური დაძლევა (Prati & Pietrantonio, 2009).

პოსტტრავმული ზრდის შესახებ არსებულ კვლევებში ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არამხოლოდ რელიგიური დაძლევის, რაც მოიცავს ტრავმული სიტუაციის დროს რელიგიისადმი მიმართვას (ლოცვა, ღმერთისთვის დახმარების თხოვნა და ა.შ.) არამედ - რელიგიურობასაც, რომელიც პოსტტრავმული ზრდის ერთ-ერთ პრედიქტორს წარმოადგენს (Pargament, 1997; Tedeschi & Calhoun, 1995). როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი კვლევები მოწმობს, რომ რელიგიურობა დადებით კავშირშია პოსტტრავმულ ზრდასთან (Kroon & Nagy, 2011; Parappully et al, 2002).

აღსანიშნავია, რომ კვლევების უმეტესობა, რომელიც ეხება რელიგიურობის და პოსტტრავმული ზრდის, შეგუების (adjustment) თუ ზოგადად კარგად ყოფნის ურთიერთკავშირს, ჩატარებულია მხოლოდ ერთ კულტურულ და რელიგიურ სივრცეში, კერძოდ, ევროპასა და ამერიკაში ძირითადად, კათოლიკური რელიგიის კონტექსტში. არსებობს სულ რამდენიმე კვლევა, რომელიც ალჟირსა და ქუვეითში მცხოვრებ მუსულმან სტუდენტებსა და მოზარდებზეა ჩატარებული (Abdel-Khalek, 2007; Tiliouine and Belgoumidi, 2009).

საქართველოში ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევები პოსტტრავმული ზრდის შესახებ საკმაოდ მწირია. ამ მიმართულებით მხოლოდ ორი კვლევა მოიძებნება.

აქედან ერთი შეისწავლის ბაზისური რწმენებისა¹ და ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი დამოკიდებულების გავლენას ტრავმის შემდგომ ზრდაზე ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებში (წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციაური და სამედიცინო დახმარების ცენტრი, 2010); ხოლო მეორე კვლევა ეხება პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირების და ემოციური ინტელექტის მიმართებას იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში (მარიამ ფანჯიკიძე, 2015). ეს იმ ფონზე, როცა საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირები მთელი მოსახლეობის 7%-ს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ნაწილია.

მიუხედავად, პოსტტრავმული ზრდის კვლევების არცთუ ისე დიდი რაოდენობისა, ზოგადად, ტრავმული გამოცდილების შემდგომ პოზიტიურ ასპექტებზე ყურადღება თანდათანობით იზრდება. ეს გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის პოზიტიური ფსიქოლოგიის გაძლიერებით (Seligman & Csikszentmihalyi, 2000; Sheldon & King, 2001) და ასევე, სულიერებისა (spirituality) და რელიგიურობის საკითხისადმი მზარდი ინტერესით.

ნათელია, რომ პოსტტრავმული ზრდაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. საზრისის ძიების მოდელის მიხედვით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ შეაფასებს ინდივიდი ტრავმულ სიტუაციას? რა ტიპის შეფასება შეიძლება უწყობდეს ხელს პოსტტრავმული ზრდას? რამდენად დიდია განსვლა მის ზოგად შეხედულებებსა და სიტუაციურ საზრისს შორის და გლობალური საზრისის რომელი კომპონენტები ირღვევა არსებული შეფასებით? დაძლევის რომელი სტრატეგიაა უფრო ეფექტიანი რელიგიური (religious coping) თუ საზრისისეული (მნიშვნელობის მინიჭებით) (meaning making coping) დაძლევა? წინამდებარე კვლევა სწორედ ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება საზრისის ძიების თეორიას და მის მიზანს წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის ცალკეული სავარაუდო პრედიქტორების,

¹ აღნიშნულ კვლევაში „Basic Assumptions-ის“ შესატყვისად გამოყენებულია „ბაზისური რწმენები“.

როგორცაა სამყაროს შესახებ წარმოდგენების, რელიგიურობის, დაძლევის სტრატეგიების, გლობალური საზრისის დარღვევის და ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების კვლევა იძულებით ადგილნაცვალი პირების, როგორც ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდების მაგალითზე.

კვლევა წარმოადგენილია სამ ნაწილად:

(1) კვლევის პირველი ნაწილის მიზანს წარმოადგენს საზრისის ძიების თეორიის მიხედვით, პოსტტრავმული ზრდას, სამყაროს შესახებ წარმოდგენები, რელიგიურობის, დაძლევის სტრატეგიებს, ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებას და გლობალური საზრისის დარღვევას შორის მიმართებების კვლევა.

(2) კვლევის მეორე ნაწილის მიზანს წარმოადგენს საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმება. კერძოდ, პოსტტრავმული ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების, როგორცაა რელიგიურობის, რელიგიური და მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის კომბინაციური გავლენის კვლევა.

(3) კვლევის მესამე ნაწილის მიზანია გლობალური საზრისის დარღვევის შესაფასებელი ინსტრუმენტის ქართული ვერსიის შექმნა.

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ ძირითად კითხვებს:

- წარმოადგენს თუ არა სამყაროს შესახებ წარმოდგენები, ცხოვრებისეული მოვლენების შეფასება, გლობალური საზრისის დარღვევა და რელიგიურობა პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორებს?
- ასრულებს თუ არა დაძლევის სტრატეგიები მედიატორ როლს რელიგიურობას და პოსტტრავმულ ზრდას შორის?

- იმეორებს თუ არა გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტი ავტორების მიერ შემოთავაზებულ ფაქტორულ სტრუქტურას ქართულ რეალობაში?

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ცხრა თავს.

პირველ თავში განხილულია საზრისის ძიების თეორიული საფუძვლები, თეორიული მოდელი, ემპირიული კვლევები; საზრისის ძიების მოდელის საკვლევო ინსტრუმენტები, საზრისის ძიების მიმართება ზოგად შეგუებასთან რელიგიურობასთან, დაძლევის სტრატეგიებთან და პოსტტრავმულ ზრდასთან.

მეორე თავში განხილულია პოსტტრავმული ზრდის თეორიული მოდელი, ემპირიული კვლევები, პოსტტრავმული ზრდის მიმართება საზრისის ძიების მოდელთან და სტრესის დაძლევის სტრატეგიებთან.

მესამე თავში განხილულია სამყაროს შესახებ წარმოდგენების თეორიული მოდელი, ემპირიული კვლევები და მიმართება პოსტტრავმულ ზრდასთან;

მეოთხე თავში განხილულია იძულებით გადაადგილებული პირების ტრავმული გამოცდილების სპეციფიკა.

მეხუთე თავში კვლევის საკითხია განსაზღვრულილ და ჩამოყალიბებულა კვლევის მიზნები, ჰიპოთეზები და ამოცანები.

მეექვსე თავი წარმოადგენს კვლევის მეთოდოლოგიას, კერძოდ, კვლევის მეთოდების, კვლევის მონაწილეების, პროცედურის, კვლევის ინსტრუმენტების აღწერას კვლევის თითოეული ნაწილისთვის ცალ-ცალკე.

მეშვიდე თავში აღწერილია კვლევის შედეგები კვლევის თითოეული ნაწილისთვის ცალ-ცალკე.

მერვე და მეცხრე თავები კვლევის თითოეული ნაწილის განხილვასა და დასკვნებს ეთმობა.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართი.

თავი 1. საზრისის ძიების თეორია

1.1. საზრისის შექმნის თეორიული საფუძვლები

ბოლო წლების განმავლობაში საზრისის (meaning) კონსტრუქტის მიმართ ინტერესი ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში გაიზარდა. ეს მიმართულებები მოიცავს პოზიტივისტურ, კულტურულ, ემოციების, ჯანმრთელობის და კლინიკურ ფსიქოლოგიას (Park, 2010). მიუხედავად ამისა, რთულია მოიძებნოს საზრისის ერთი უნივერსალური განსაზღვრება. საზრისის ფართო განმარტება მოიცავს მრავალ ფსიქოლოგიურ კონტრუქტს, როგორცაა, მაგალითად, მიზნები (Emmons, 1999), შეხედულებები (Janoff-Bulman & Frantz, 1997; Spilka, Hood, Hunsberger, & Gorsuch, 2003), კარგად ყოფნა და კმაყოფილება (Debats, 2000), ცხოვრების ნარატივი (Kenyon, 2000); ხოლო ვიწრო/სიღრმისეული განმარტების მიხედვით, საზრისი ეხება ადამიანური არსებობის არსს (Frankl, 1969).

ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ თეორიას, რომელიც საზრისის ძიებას ეხება, წარმოადგენს ეგზისტენციალური ფსიქოლოგის, ფრანკლის (Frankl, 1969) ლოგოთერაპია. ფრანკლი (1969) მიიჩნევს, რომ ადამიანების მთავარი მოტივი ცხოვრებაში საზრისის და ღირებულების პოვნაა. უფრო მეტიც, ფრანკლის (1969) აზრით, ნეგატიური ცხოვრებისეული მოვლენების დროს საზრისის ძიება უკავშირდება აღნიშნულ მოვლენებთან დადებით შეგუებას. სხვა სიტყვებით, რაიმე განსაცდელის დროს საზრისის ძიების სურვილის არსებობა დაკავშირებულია გარემოსთან უკეთ შეგუებასთან, რადგან დარდი და ტკივილი მცირდება მაშინ, როდესაც ინდივიდი პოულობს ცხოვრების მიზანს. მოგვიანებით, იალომმა (Yalom, 2008) ჩამოაყალიბა თეორია, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელოვან დანაკარგს, შესაძლოა „გამოსაფხიზლებელი“ ფუნქცია ეკისრებოდეს, რომელიც ახსენებს ადამიანებს გაიაზრონ და კიდევ დაფიქრდნენ საკუთარი არსებობას, სიცოცხლესა და სიკვდილზე.

საზრისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრესულ და მატრავმირებელ მოვლენებთან მიმართებაში; კიდევ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა საზრისის ძიებას/პოვნას (meaning making), მაგალითად, საზრისის აღდგენას/განახლებას ან შეცვლას სტრესულ თუ მატრავმირებელ სიტუაციებში. სწორედ საზრისის ძიება/პოვნა ცენტრალურ ადგილს იკავებს მძიმე მატრავმირებელი მოვლენებისგან (გლოვა, სიმსივნე და სხვა მატრავმირებელი სიტუაციები) (Davis, Wortman, Lehman, & Silver, 2000; Gillies & Neimeyer, 2006; Janoff-Bulman, 1989, 1992).

ყველა მკვლევარი (Bonanno & Kaltman, 1999; Davis, Wortman, Lehman, & Silver, 2000; Janoff-Bulman, 1992; Joseph & Linley, 2005; Lepore & Helgeson, 1998; Neimeyer, 2001; Taylor, 1983; Thompson & Janigian, 1988), მიუხედავად საკუთარ თეორიაში არსებული მცირე განსხვავებებისა, თანხმდება ძირითად ჩარჩოზე: ა) ადამიანები ფლობენ საორიენტაციო სისტემებს, რომლებსაც გლობალური საზრისი ეწოდება. ეს სისტემები წარმოადგენენ კოგნიტურ ჩარჩოს, რომელის მიხედვითაც ისინი საკუთარი გამოცდილების ინტერპრეტაციას ახდენენ; ბ) პოტენციურად სტრესული სიტუაციის დროს, რომელიც თავის მხრივ გლობალურ საზრისზე ახდენს გავლენას, ადამიანები აფასებენ და მნიშვნელობას ანიჭებენ ამ სიტუაციებს; გ) თუ რა ხარისხის განსვლაა გლობალურ საზრისს და სტრესული სიტუაციისთვის მინიჭებულ შეფასებას შორის, თავის მხრივ, განსაზღვრავს დისტრესის ხარისხს რასაც ადამიანები ამ დროს განიცდიან; დ) დისტრესი, რომელიც გამოწვეულია არსებული განსვლით საზრისის ხელახალი ძიების პროცესის დასაწყისი ხდება; ე) საზრისის ხელახალი პოვნის მცდელობით, ადამიანები ცდილობენ იმ განსვლის შემცირებას, რომელიც გლობალურ და სიტუაციურ საზრისს შორის წარმოიქმნა; ამით ისინი ცხოვრებას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ; ვ) საბოლოოდ ეს პროცესი, წარმატების შემთხვევაში, ხელს უწყობს სტრესული სიტუაციისადმი უკეთეს მორგებას (as cited in Park, 2010).

1.2. გლობალური და სიტუაციური საზრისი

პარკის და ფოლკმანის მიერ (1997) საზრისი შექმნის შემოთავაზებული მოდელი მოიცავს გლობალურ და სიტუაციურ საზრისს. გლობალური საზრისი (global meaning) წარმოადგენს ადამიანის ზოგად საორიენტაციო სისტემებს (Pargament, 1997), რომელიც თავის მხრივ მოიცავს რწმენებს, მიზნებს და სუბიექტურ განცდებს (Dittman-Kohli & Westerhof, 1999; Reker & Wong, 1988). გლობალური რწმენები (global beliefs) შედგება სამართლიანობის, კონტროლის, პროგნოზის/წინასწარმეტყველების და ასევე საკუთარ თავზე შეხედულებებისგან (Janoff-Bulman, 1992; Leary & Tangney, 2003; Parkes, 1993; Koltko-Rivera, 2004). გლობალური რწმენები ქმნიან სქემას რომელითაც ადამიანები საკუთარი ცხოვრების და გამოცდილების ინტერპრეტირებას ახდენენ (Janoff-Bulman & Frantz, 1997; Mischel & Morf, 2003).

გლობალური მიზნები (global goals) წარმოადგენს სურვილების და მისწრაფებების შინაგან რეპრეზენტაციას (Austin & Vancouver, 1996). მიზნები შესაძლოა იყოს სასურველი შედეგები (Karoly, 1999) ან მდგომარეობები, რომლის შენარჩუნებასაც ადამიანები ცდილობენ, მაგალითად ჯანმრთელობა ან არსებული ურთიერთობები მათთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან (Klinger, 1998). ყველაზე ხშირად არსებულ მიზნებს შორის არის: ურთიერთობები, სამსახური, რელიგია, ცოდნა და მიღწევები (Emmons, 2003 as cited in Park, 2010).

საზრისის სუბიექტური (subjective sense of meaning) განცდა ეხება ადამიანის მიერ „აზრიანობის“ განცდას (Klinger, 1977 as cited in Park, 2010), მიზანს ან მიმართულებას ცხოვრებაში (Reker & Wong, 1988), მომავალში სასურველ მდგომარეობას (cf. King et al., 2006; McGregor & Little, 1998 as cited in Park, 2010).

მიღებულია, რომ გლობალური საზრისი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე აიგება და იცვლება ადამიანის პიროვნული გამოცდილების საფუძველზე (Austin & Vancouver, 1996; Singer & Salovey, 1991). თუ რამდენად კარგად აცნობიერებენ ადამიანები გლობალურ რწმენებს და მიზნებს მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული (Austin &

Vancouver, 1996; Klinger, 1998; Martin & Tesser, 1996; Uleman, 1996), თუმცა ცნობილია, რომ ის ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის აზრებზე, ქცევებსა და ემოციონალურ პასუხებზე.

სიტუაციური საზრისი ეხება კონკრეტულ სიტუაციურ კონტექსტში არსებულ საზრისს. სიტუაციური საზრისი აღმოცენდება პოტენციურად სტრესულ მოვლენასთან ერთად და აღწერს მიმდინარე პროცესსა და შედეგებს. მაგალითად, არსებული მოვლენისთვის შეფასების მინიჭება აღნიშნულ შეფასებასა და გლობალურ საზრისს შორის განსვლა, საზრისის ძიების პროცესი, ნაპოვნი საზრისი და სტრესულ მოვლენასთან შეგუება (Park, 2010)

სიტუაციური საზრისი, როგორც ვხედავთ, რამოდენიმე კომპონენტს მოიცავს. პირველი კომპონენტი წარმოადგენს სიტუაციისთვის შეფასების მინიჭება რომელიც გარკვეულ განსაზღვრებებს აერთიანებს, როგორცაა, მაგალითად, არის თუ არა ეს მოვლენა საფრთხის შემცველი, შესაძლოა თუ არა ამ მოვლენის კონტროლი, რატომ მოხდა და რა გავლენა ექნება მას მომავალზე. ტომპსონმა და ჯანივიანმა (1998) ამ პირველად შეფასებას შეარქვეს *იმპლიციტური საზრისი*. სიტუაციისთვის მინიჭებული შეფასება შესაძლოა ეგრევე განისაზღვროს, თუმცა შემდგომ ხდება ხელახალი განხილვის საგანი (Bonanno & Kaltman, 1999; Janoff-Bulman, 1992; Lazarus, 1991). საზრისის ძიების მოდელის მიხედვით, პირველადი შეფასების შემდგომ, ადამიანები განსაზღვრავენ გლობალურ და ამ შეფასებულ საზრისს შორის განსვლის ხარისხს. განსვლის აღქმა, რაც შესაძლოა ადამიანს გაუჩნდეს იმის გამო რომ კონკრეტულ სიტუაციაზე კონტოლი დაკარგა ან გაუგებარია რატომ მოხდა ეს მოვლენა, ითვლება რომ წარმოქმნის დისტრესს და თავისმხრივ უბიძგებს საზრისის ძიების პროცესის დაწყებას (Carver & Scheier, 1998; Dalgleish, 2004; Horowitz, 1975; Janoff-Bulman & Frieze, 1983). სწორედ ამ განსვლის ხარისხი არის შემდგომში დისტრესის ხარისხის განმსაზღვრელი (Everly & Lating, 2004; Koss & Figueredo, 2004 as cited in Park, 2010).

კვლევები (Pargament, 1997; Park & Folkman, 1997) მოწმობენ გლობალური საზრისის ძიების ძლიერ გავლენას ინდივიდის როგორც აზრებზე, ქმედებებსა და ემოციურ

რეაქციებზე, ასევე ფიზიკური და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ზოგად დონეზე. მაგალითად, ცხოვრებაში მოვლენების გაკონტროლების ძლიერი რწმენა, აღმოჩნდა კავშირში უკეთეს ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან (Lachman, 2006 and Park, 2010b). არსებობს კვლევები რომლებიც არა რომელიმე ერთ კონკრეტულ რწმენას განიხილავენ, არამედ მთელ რიგ გლობალურ რწმენებს. ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტს, რომლითაც აფასებენ გლობალურ საზრისს ჯანოფ-ბულმანის (1989) სამყაროს დაშვებების სკალა წარმოადგენს. კვლევები აჩვენებს იღბალის, საკუთარი თავის ღირსების და სამართლიანობის სკალების ზომიერ კავშირს კარგად ყოფნასთან; სუსტ ან კავშირის უქონლობას კონტროლს, თვითკონტროლს და კეთილმოსურნეობას/კეთილგანწყობილებას (benevolence) და კარგად ყოფნას შორის; და უარყოფით კავშირს შემთხვევითობას და კარგად ყოფნას შორის (Elklit, Shevlin, Solomon, & Dekel, 2007; Kaler et al., 2008; Solomon, Iancu, & Tyano, 1997; Tomich & Helgeson 2002).

კვლევა (Park & Gutierrez, 2013) რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტებზე, მიზნად ისახავდა გლობალურ და სიტუაციური საზრისის, ასევე ღმერთის რწმენის პრედიქტორული როლის შესწავლას ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნისთვის. საკუთარი თავის შესახებ დადებითი შეხედულებები და ადამიანების კეთილმოსურნეობა პოზიტიურ კორელაციაში აღმოჩნდა კარგად ყოფნის ისეთ საზომებთან, როგორცაა სუბიექტური ბედნიერება და ცხოვრებით კმაყოფილება. სამყაროს კეთილმოსურნეობის და ცხოვრების საზრისი (sense of meaning in life) ასევე დადებით კავშირში იმყოფებოდა ბედნიერების და ცხოვრების კმაყოფილებასთან. კარგად ყოფნასთან კორელაცია არ აჩვენა საერთოდ კონტროლის, თვითკონტროლის, შემთხვევითობის და ღმერთის რწმენამ. რაც შეეხება სიტუაციური საზრისის და კარგად ყოფნის კავშირს, აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მაღალი იყო აღქმული დარღვევა, მით უფრო მაღალი იყო დეპრესიული, შფოთვის და სტრესის მაჩვენებელი. სხვა სიტყვებით, სტრესული სიტუაციის შეფასება, როგორც გლობალური საზრისის დამარღვეველი, უარყოფით კავშირშია კარგად ყოფნასთან. რეგრესიული ანალიზის შედეგად,

გამოვლინდა, რომ ორივე, გლობალურ და სიტუაციურ საზრისს უნიკალური პრედიქტორული წონა გააჩნიათ კარგად ყოფნისთვის.

1.3. საზრისის ძიების პროცესი

საზრისის ძიების პროცესი გვთავაზობს სტრესული სიტუაციის შემდგომ გამოჯანმრთელებას სიტუაციურ და გლობალურ საზრისს შორის გასვლის შემცირებით. საზრისის ძიების შესახებ არსებულ ლიტერატურაში განიხილავენ ოთხ ძირითად კატეგორიულ სქემას, რომელიც თავად ამ პროცესს უფრო ნათლად წარმოაჩენს. ერთ-ერთ ასეთ სქემას წარმოადგენს *ავტომატური -განზრახული* (automatic vs. deliberate) პროცესი. საზრისის ძიება მოიაზრება ორივე, როგორც ავტომატური და არაცნობიერი (Creamer, Burgess, & Pattison, 1992; Horowitz, 1986) და ასევე ძალისხმევის მომცველი დაძლევის სტრატეგიები (Boehmer, Luszczynska, & Schwarzer, 2007; Folkman, 1997). სტრესული სიტუაციის შესახებ განმეორებითი აზრების თავიდან არიდება, რომელიც ავტომატურად ხდება, შესაძლოა ხელს უწყობდეს არსებული განსვლის შემცირებას (Lepore, 2001). ფოლკმანმა (1997) მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევა განმარტა, როგორც (ა) ხელახალი პოზიტიური შეფასება, (ბ) მიზნების ხელახალი გადახედვა და პრობლემაზე ფოკუსირებული დაძლევის დაგეგმვა და (გ) სულიერი რწმენების და გამოცდილების გააქტიურება. გლობალურ და სიტუაციურ საზრისს შორის განსვლის შემცირება შესაძლოა ასევე მოხდეს ჰოპოთეტურად უარესი სიტუაციის წარმოდგენით ან უფრო მეტად უიღბლოებთან საკუთარი თავის შედარებით (Buunk & Gibbons, 2007; White & Lehman, 2005). მეორე სქემა რომელსაც განვიხილავთ ეწოდება *ასიმილაცია-აკომოდაციის* (assimilation vs. accomodation) პროცესი. საზრისის ძიების პროცესი რომელიც მოიცავს სიტუაციისთვის მინიჭებული შეფასების შეცვლას გლობალურ საზრისთან შეთავსებულობის მიზნით, განისაზღვრება როგორც ასიმილიაცია, ხოლო ამ უკანასკნელის ცვლილების შემთხვევაში საქმე გვაქვს აკომოდაციასთან (Joseph & Linley,

2005; Parkes, 2001). ზოგიერთი ავტორის (Janoff-Bulman, 1992) აზრით, ასიმილაცია უფრო ხშირად ხდება ვიდრე აკომოდაცია. თუმცა ავტორები ჯოზეფი და ლინლი (2005) ამტკიცებენ, რომ მხოლოდ აკომოდაციის პროცესს მივყავართ პოსტტრავმულ ზრდამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პროცესი მაინც მეტაფორულია და შესაძლოა ხშირად ერთდროულად განხორციელდეს. მესამე სქემა ეხება *გაგება- და მნიშვნელობის (comprehensibility vs. significance) ძიების* პროცესს. ჯანოფ-ბულმანი და ფრანცი (1997) გვთავაზობენ ამ ორ პროცესს შორის განსხვავებას. გაგების ქვეშ მოიაზრებენ იმას, თუ რამდენად გასაგებია/ნათელია კონკრეტული მოვლენა ინდივიდისთვის; ხოლო მნიშვნელობის ძიება მოიცავს ამ მოვლენისთვის მნიშვნელობის ან ღირებულების მინიჭებას. ეს ორი პროცესი დროში თანმიმდევრულად ხორციელდება. ბოლო სქემას წარმოადგენს *კოგნიტურ - ემოციურ (cognitive vs. emotional) გადამუშავების პროცესს*. სტრესული მოვლენის შემდგომ ინფორმაციის ემოციური გადამუშავება მოიცავს ემოციური გამოცდილების აქტივირებას, მაგალითად როგორცაა შიშების აქტივირება (Foa et. al., 2006). ეს არის ასევე საკუთარი გრძნობების გაგების მცდელობა (Stanton, Kirk, Cameron, & Danoff-Burg, 2000). საპირისპიროდ, კოგნიტური გადამუშავება მოიცავს საკუთარი გამოცდილების ხელახალ შეფასებას და მუდმივ შედარებას არსებულ შეხედულებებთან რომელიმეს შეცვლის მიზნით (Creswell et al., 2007, DuHamel et al., 2004; Greenberg, 1995). საზრისის ხელახალი ძიების პროცესში ორივე ასპექტი მნიშვნელოვანია.

1.4. საზრისისეული დაძლევა და ნაპოვნი/აღმოჩენილი საზრისი (meanings made)

ნაპოვნი საზრისი წარმოადგენს საზრისის ძიების საბოლოო შედეგს. ეს შესაძლოა იყოს სწორედ ის ცვლილება, რომლიც სიტუაციურ და გლობალურ საზრისს შორის განსვლის შემცირების შედეგია. გამოყოფენ სხვადასხვა სახის ნაპოვნი საზრისს. საზრისის ძიების ყველაზე ხშირად გავრცელებულ შედეგს წარმოადგენს ე.წ. „აზრი აქვს“ (made

sense) განცდა. თუმცა ხშირად ადამიანები რაზეც ამბობენ, რომ აზრი შესძინეს, არ არის მკაფიო. კვლევები, რომელიც ცდილობდა გაერკვია რას მოაზრებენ ადამიანები საზრისის პოვნაში სხვადასხვა პასუხზე მიუთითებს. მაგალითად, ოჯახები, სადაც დანაკარგია და გლოვა, აზრის პოვნაში გულისხმობენ მიმდებლობას, პიროვნულ ზრდას და ა.შ. (Davis et al., 1998). მრავალმხრივი სკლეროზის მქონე ადამიანები საზრისის პოვნის მიღმა მოიაზრებენ ახალ შესაძლებლობებს, მიზნებსა და პიროვნულ ზრდას (Pakenham, 2007), რაც თავის მხრივ ძალიან გავს პოსტტრავმულ ზრდას. გავრცელებულ საზრისს შორის ასევე არანაკლებ ხშირია მიმდებლობა (Davis & Morgan, 2008). ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ კონკრეტული მოვლენისთვის საზრისის მინიჭებისთვის საჭიროა მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური) კავშირის გაგება, სხვა სიტყვებით, თუ რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა (Janoff-Bulman & Frantz, 1997; cf. Thompson & Janigian, 1988). თუმცა ითვლება, რომ მოვლენის ატრიბუცია დაუყოვნებლივ ხორციელდება და სიტუაციის შეფასების ნაწილს წარმოადგენს (Lazarus, 1991). მკვლევრები აფასებენ ატრიბუციებს მოვლენიდან დიდი ხნის შემდეგ და მოიაზრებენ მას როგორც საზრისის ძიების შედეგს/პროდუქტს (Davis et al., 1998; Dollinger, 1986). ყველაზე ხშირად შეფასებულ საზრისს პიროვნული ზრდის განცდა (perceptions of growth) და ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებები წარმოადგენს (Abbey & Halman, 1995). ბევრი ადამიანი სტრესულის გამოცდილების შედეგად, აღნიშნავს პოზიტიურ ცვლილებებს, როგორცაა გაუმჯობესებული ურთიერთობები, უკეთესი რესურსები, დამლევის უნარები და ცხოვრების უფრო მეტად დაფასება (Park & Helgeson, 2006).

ადამიანები ასევე ხშირად მიმართავენ სტრესული სიტუაციის ხელახალ შეფასებას. მაგალითად, მათ შესაძლოა საკუთარი თავი შეაფასონ შედარებით ილბლიანებად, რომ კონკრეტული მოვლენა არ იყო იმაზე უარესი ვიდრე არის (Thompson, 1985). გლობალურ და სიტუაციურ საზრისს შორის განსვლის შემცირება ასევე ხდება არამარტო სიტუაციური საზრისი შეცვლით, არამედ გლობალური რწმენების და მიზნების ცვლილებით. მაგალითად, სტრესული გამოცდილების შემდეგ ადამიანები აღიქვამენ ცხოვრებას, როგორც უფრო მყიფეს, ან იცვლიან აზრს ღმერთზე

როგორც უფრო ნაკლებ ძლევამოსილზე და კეთილმოსურნეზე (Epstein, 1991; Park, 2005a).

1.5. საზრისის ძიება და შეგუება

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ საზრისის ძიების მცდელობებს ინდივიდი მიყავს უკეთეს შეგუებამდე იმით რომ ეს ინდივიდები ამ პროცესის შედეგად ქმნიან „რაც პროდუქტს“ (Park and Folkman, 1997, Segerstrom, Stanton, Alden, & Shortridge, 2003). ეს ნიშნავს, რომ გლობალურ და სიტუაციური განსვლა წარმოადგენს მედიატორ ფაქტორს დისტრესისთვის. დისტრესის შემცირება სწორედ დამოკიდებულია ამ განსვლის/განსხვავების შემცირებაზე. ამიტომ, საზრისის ძიების პროცესი აუცილებლად არ არის დაკავშირებული შეგუებასთან, არამედ ის მარტივად მიუთითებს გლობალური და სიტუაციურ საზრისს შორის განსვლაზე. სანამ საზრისის ძიების მცდელობები არ დასრულდება რაიმე ცვლილებით ან ‘პროდუქტით’, რომელსაც მივყავართ გლობალურ და სიტუაციურ საზრისს შორის განსვლის შემცირებამდე, იქამდე შესაძლოა ის დისტრესთან იყოს დადებით კავშირში. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ კი, ნაპოვნი საზრისი (შემცირებული განსვლა) კავშირში იქნება შეგუებასთან (Park, 2010)

1.6. საზრისის ძიების ფენომენის გაზომვის მიდგომები

საზრისის ძიების თეორიული მოდელის კომპლექსურობის და აბსტრაქტულობის გამო ემპირიული კვლევები ამ მოდელს სრულყოფილად ვერ შეესაბამება. არსებობს რამდენიმე სირთულე სწორედ ამ კონტექსტში. ერთ-ერთ ასეთ დაბრკოლებას წარმოადგენს დროის ფაქტორი. საზრისის ძიება მოიაზრება როგორც დინამიური პროცესი, რომელიც დროთა განმავლობაში იშლება. არსებული კვლევების ძირითადი ნაწილი კი ამ მიმართულებით არის კროს-სექციური. მონაწილეების მხოლოდ ერთჯერ

შეფასება ამ კუთხით ხელს უშლის საზრისის ცვლილების შეფასებას დროის განმავლობაში. ამას გარდა, კვლევებში არსებული ტერმინოლოგია განსხვავდება ერთმანეთისგან. ბოვერი (Bower et.al., 1998) მოიხსენიებს ამ ფენომენს როგორც „პოზიტიურ აზრის აღმოჩენას.“ ქურიერი და მისი კოლეგები ხაზს უსვამენ (Currier et.al 2006) „აზრის პოვნის“ პროცესს, რეალურად კი აფასებენ ძიების შედეგს/პროდუქტს. ამას ემატება მეთოდოლოგიური სირთულე, კერძოდ ოპერაციული განსაზღვრება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხშირად იმის გარკვევა თუ რამდენად მოახერხეს ადამიანებმა საზრისის ხელახალი აღმოჩენა მხოლოდ ერთი კითხვით ხდება: „ რამდენად მიანიჭეთ აზრი ამა თუ იმ მოვლენას.“

მსგავსი კითხვები ყველა ადამიანისთვის სხვადასხვა შინაარს ატარებს (Davis et.al 1998). ერთ-ერთ კვლევაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ძვლის გადანერგვის გამოცდილების მქონე ბავშვების დედები, დებულებები, როგორცაა „საზრისის ძიება“ და „პოზიტიური საზრისის ძიება“ არ აღმოჩნდა ერთმანეთთან კორელაციაში (Wu et al., 2008).

1.6.1. საზრისის ძიების საკვლევო ინსტრუმენტები

1.6.1.1. სამყაროს შესახებ წარმოდგენების საკვლევო სკალა „World Assumptions Scale“ (WAS)

სამყაროს შესახებ წარმოდგენების სკალა ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტია ტრავმის შემდგომ სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების და შეხედულებების შესაფასებლად. სკალა მჭიდროდ უკავშირდება ჯანოფ-ბულმანის (1992) “დანგრეული წარმოდგენების“ თეორიას, რომელმაც ტრავმის ფსიქოლოგიაში ფართო აღიარება მოიპოვა. ტრავმული გამოცდილების მქონე ადამიანებზე დაკვირვების საფუძველზე, ავტორი გვთავაზობს, რომ ტრავმის შემდგომ არსებული წარმოდგენები შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ან უფრო მეტიც,

დაინგრეს/დაირღვეს. კითხვარი შედგება რვა სუბსკალისგან: საკუთარი თავის ღირსება, ილბალი, სამართლიანობა, შემთხვევითობა, ადამიანების კეთილგანწყობილება, სამყაროს/ცხოვრების კეთილმოსურნეობა (benevolence), თვითკონტროლი და კონტროლი. თითოეული სუბსკალა თავის მხრივ ოთხ დებულებას მოიცავს. რვა სუბსკალა ერთიანდება სამ ძირითად სკალაში:

1. სამყაროს მიმართ კეთილმოსურნეობა (ადამიანების და სამყაროს კეთილმოსურნეობის სუბსკალეების გაერთიანება),
2. სამყაროს აზრიანობა (სამართლიანობის, შემთხვევითობის და კონტროლის სუბსკალეები)
3. საკუთარი თავის ღირსება (საკუთარი თავის ღირსების, ილბლიანობის და თვითკონტროლის სუბსკალეები).

1.6.1.2. სტრესის შეფასების საზომი (SAM)

საზრისის ძიების მოდელის მიხედვით, სტრესული გამოცდილების მიღების შემთხვევაში ხდება სიტუაციური ანუ კონკრეტული სტრესული მოვლენის შეფასება. ასეთი სიტუაციური საზრისის შეფასებისთვის ფართოდ იყენებენ კვლევებში სტრესის შეფასების საზომს (Peacock & Wong, 1990). ეს საზომი იძლევა სტრესული სიტუაციის როგორც პირველადი ასევე მეორადი შეფასებების გაზომვის საშუალებას. სტრესის შეფასების სკალა შედგება ექვსი სუბსკალისგან:

- მუქარა
- ცენტრალურობა
- გამოწვევა

- უკონტროლობა
- თვითკონტროლი
- სხვების მიერ კონტროლი

თითოეული სუბსკალა წარმოდგენილია ოთხი დებულებით. მუქარის განზომილება მოიცავს მომავალში პოტენციურ დანაკარგს /ზიანს. ცენტრალურობა ეხება კონკრეტული მოვლენის მნიშვნელობას ადამიანის კარგად ყოფნის სფეროში. მეორადი შეფასების სამი სუბსკალა ეხება კონტროლის აღქმას. ადამიანები აფასებენ კონტროლს სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განზომილებით: საკუთარი თავის მიერ სიტუაციის კონტროლის ხარისხი, სხვების მიერ კონტროლის და სხვების მიერ უკონტროლობის ხარისხი. პირველადი და მეორადი შეფასებების სკალების გარდა, სტრესის შეფასების საზომი მოიცავს აღქმული სტრესის საერთო ინდექსის სკალას.

1.6.1.3. სტრესული გამოცდილები ინტეგრაციის სკალა (ISLES)

საზრისის ძიების მოდელის რიგით ბოლო მნიშვნელოვან კომპონენტს მოძიებული საზრისი წარმოადგენს. სწორედ ამ კომპონენტის გაზომვას ისახავს მიზნად სტრესული გამოცდილების ინტეგრაციის სკალა. ავტორები (Holland, Currier, Coleman, & Neimeyer, 2010) გვთავაზობენ საზომს, რომელიც მოიცავს ორ განზომილებას: ცხოვრებაზე მორგებას (footing in the world) და აზრის მინიჭებას (comprehensibility) მთლიანი კითხვარი შედგება 16 დებულებისგან. შეფასება ხდება 1 -დან(სრულიად ვეთანხმები) 5 -მდე (სრულიად არ ვეთანხმები) ლაიკერტის ტიპის სკალაზე.

საზომი ეყრდნობა სტრესული გამოცდილების ასიმილაციის და აკომოდაციის პროცესებსა (Janoff-Bulman, 1989; Neimeyer, 2006) და საზრისის ძიების შედეგებს/პროდუქტს (Park & Folkman, 1997). არსებული საზომი ასევე კავშირშია სტრესული გამოცდილების „გაგებასთან“ და მისთვის მნიშვნელობის მინიჭებასთან

(Janoff-Bulman & Frantz, 1997). სწორედ ამ კონტექსტში განხილვისას, ამათუიმ მოვლენის „გაგება“ უფრო ასიმილაციური პროცესია. ამ დროს ხდება მოვლენის უკვე არსებულ სქემებში ჩასმა; ხოლო, მნიშვნელობის მინიჭება კი მეტად ჰგავს აკომოდაციის პროცესს - არსებული სტრუქტურების მოდიფიკაცია უკეთესი შეგუებისთვის (Joseph & Linley, 2005). სკალზე მიღებული მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს საზრისის ძიების პროცესის წარმატებით დასრულებას და საზრისის პოვნას.

1.6.1.4. კაუზალური განზომილების სკალა (CDS-II)

ვეინერის (1985, 1986 as cited in McAuley et.al., 1992) ატრიბუციული მოდელის საფუძველზე, რომელიც სამ ძირითად განზომილებას მოიცავს, როგორცაა კაუზალობის ლოკუსი, სტაბილურობა და კონტროლი, ავტორებმა (McAuley, Duncan, & Russell, 1992) კაუზალური გამზომილების სკალა შექმნეს. არსებული ინსტრუმენტი წარმოადგენს მოვლენის მიზეზ-შედეგობრიობის, კონტროლის და სტაბილურობის შეფასების საზომს.

- მიზეზ-შედეგობრიობის სკალა ეხება იმას თუ სად ეძებს ადამიანი ამათუიმ მოვლენის მიზეზს: შიგნით თუ გარეთ, სხვა სიტყვებით მიზეზის ლოკუსს.
- სტაბილურობა ეხება თუ დროში რამდენად უცვლელი ან ცვალებადია გამომწვევი მიზეზი.
- კონტროლის სკალა ზომავს თუ რამდენად კონტროლირებადია გამომწვევი მიზეზი.

საზომი მთლიანად შედგება 12 დებულებისგან. თითოეული დებულება ფასდება 9-დან 1-ის ჩათვლით სკალაზე და აღწერს ადამიანის მიერ მოვლენის გამომწვევი მიზეზის შეფასების ხარისხს.

1.7. საზრისის ძიება და რელიგია

1.7.1. რელიგია როგორც გლობალური საზრისი

რელიგიური რწმენები წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისეული საზრისის მრავალმხრივს ჩარჩოს, რომლებიც გარკვეულ მოვლენებს ახსნას უძებნის (Hood et al. 2003). სვილქა და სხვა ავტორები (Spilka et.al, 1985) პირველად გვთავაზობენ საზრისის კონტრუქციაში რელიგიის როლის ექსპლიციტურ თეორიას. მათ მიერ შემოთავაზებული რელიგიის ატრიბუციული თეორია ეხება სამ ძირითად გარემოებას, სადაც ადამიანები რელიგიურ რწმენებს (religious beliefs) იყენებენ მოვლენების ასახსნელად. პირველ გარემოებას წარმოადგენს ახალი და მოულოდნელი მოვლენები რომლებიც ინდივიდში უკვე არსებულ საზრისთან დაკავშირებულ სისტემებს (meaning system) თითქოს გამოწვევას უკეთებს, რაც რელიგიური ატრიბუციის ინიცირებას უწყობს ხელს. მეორე გარემოება არის ისეთი მოვლენები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ადამიანის მიერ მოვლენების კონტროლის და წინასწარგანჭვრეტის განცდას; ხოლო მესამე გარემოება ეხება ადამიანის თვითშეფასების დაზიანების შემთხვევაში პოზიტიური მე-კონცეფციის აღდგენის მცდელობებს.

ექსპლიციტური რელიგიური რწმენების გარდა, როგორცაა ღმერთის არსებობა და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის შესაძლებლობა, რელიგია გავლენას ახდენს ისეთ გლობალურ შეხედულებებზე, რომლებიც ნაკლებად ექსპლიციტურია. მაგალითად, სამართლიანობა, კონტროლი, სამყაროს და ადამიანების კეთილმოსურნეობა და მოწყვლადობა (Pargament, 1997). როდესაც რელიგია შერწყმულია ინდივიდის გლობალურ საზრისის სისტემაში, ღმერთის ან ღვთიური სამყაროს შესახებ მათეული გაგება უკავშირდება ადამიანების ბუნებას (მაგ: თანდაყოლილი სიკეთე, ადამიანის ცოდვილი ბუნება), საკუთარ თავს (მაგ: რჩეული) და გარესამყაროს (მაგ: მოახლოებული აპოკალიფსი); ასევე მომავალს (მაგ: სამოთხე, რეინკარნაცია) (McIntosh, 1995; Silberman, 2005 as cited in Park, 2005a).

რელიგია ხშირად მჭიდროს არის დაკავშირებული ადამიანების ცხოვრებისეულ მიზნებთან. ეს მიზნები ხშირად მოიცავს კეთილმოსურნეობით ცხოვრებას, პატიებას, ალტრუიზმს, ხსნის პოვნას, ღმერთთან მიახლოებას ან ტრანსცენდენტალური სამყაროს გამოცდილებას (Emmons, 1999; Pargament et al., 2005).

რელიგიური რწმენები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლს თამაშობს დანაკარგისა და გლოვის გააზრებაში (Kotarba, 1983). იგი ბევრი ადამიანისთვის წარმოადგენს ძირითად ფილოსოფიურ ორიენტაციას, რომელიც გავლენას ახდენს ერთის მხრივ იმაზე, თუ როგორ უყურებენ ადამიანები სამყაროს, ხოლო მეორეს მხრივ, თუ როგორ იაზრებენ დანაკარგს და იტანენ ამ მდგომარეობას (Pargament, 1997). რელიგია ცენტრალურ ადგილს იკავებს ბევრი ადამიანის ცხოვრებისეულ მიზანთან მიმართებაში, რომელიც თავის მხრივ, არსებული მიზნების მიღწევის გარკვეულ მიმართულებებს განსაზღვრავს (Baumeister, 1991; Pargament, 1997).

1.7.2. რელიგია და რელიგიური დაძლევა

რადგან რელიგია ბევრი ადამიანისთვის, გლობალური საზრისის საფუძველს წარმოადგენს, იგი განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს სტრესის დაძლევის პროცესში (Pargament, 1997). ეს პროცესი მოიცავს როგორც ამათუიმ მოვლენის შეფასებას, ასევე დისტრესის შემცირებისთვის საჭირო რესურსების გამკლავების გზების ძიებას. რა თქმა უნდა, თუ რამდენად მიმართავენ ადამიანები რელიგიას სტრესული სიტუაციის დროს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რელიგიას მათ ცხოვრებაში. თუმცა რელიგიის გამოყენება ასევე დამოკიდებულია სტრესული თუ ტრავმული მოვლენის ტიპზე. ისეთი გამოცდილება, როგორცაა მძიმე დაავადება ან სიკვდილი, რომელიც ვერ „გამოსწორდება“ საზრისის ძიების მცდელობები უფრო ცენტრალური ხდება (Mattlin, Wethington, & Kessler, 1990). სწორედ მსგავს სიტუაციებში შესაძლოა რელიგიამ დიდი გავლენა მოახდინოს ისეთი რწმენების აღდგენაში

როგორცაა, რომ სამყარო უსაფრთხო და სამართლიანი ადგილია, და რომ ამის ყველაფრის მიღმა არსებობს კეთილმოსურნე ღმერთი (Pargament, 1997).

ტრავმული სიტუაციის შეფასებისას, ადამიანები ხშირად რელიგიას მიმართავენ (Pargament, 1997). მაგალითად, ხშირად რელიგია ასეთი მოვლენების შემდგომ ჩართულია *მიზეზ-შედეგობრივ* ატრიბუციაში (Spilka, Shaver, & Kirkpatrick, 1997).

ბულმანის და ვორტმანის (1977) წლებში ჩატარებულ კლასიკურ კვლევაში, ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ინდივიდების მესამედზე მეტი ამ დაზიანების მიზეზად სპონტანურად ახსენებდა ღმერთს. რა თქმა უნდა, ერთიდაიგივე სიტუაციის აღქმა დამოკიდებულია ადამიანების რელიგიურ შეხედულებებზე. ზოგიერთის წარმოდგენით, ღმერთი იმაზე მეტ განსაცდელს არ უგზავნის ადამიანებს ვიდრე მათ ამას შეუძლია გაუმკლავდნენ; ხოლო ზოგიერთი გარკვეულ მოვლენებს მიიჩნევს, როგორც ღმერთისგან დასჯას (Furnham & Brown, 1992).

კვლევები (Maltby & Day, 2003; Maynard, Gorsuch, & Bjorck, 2001), რომლებიც მიმართული იყოს რელიგიის და სტრესული სიტუაციის შეფასებას შორის ურთიერთმიმართების აღმოჩენაზე, საინტერესო შედეგებს გვიჩვენებს. აღმოჩნდა რომ რელიგიურობა დადებით კავშირია სტრესორის როგორც გამოწვევის შეფასებასთან (აქმა რომ სტრესული სიტუაციიდან შესაძლოა რამე დადებითიც გამოვიდეს) და უარყოფით კავშირში სტრესორის როგორც მუქარის შეფასებასთან (აქმა რომ სტრესული სიტუაცია ზიანს მოიტანს). რელიგია ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრესული მოვლენების დროს საზრისის ძიების მცდელობებში (Park, 2006). მგლოვიარე მშრობლების, რომელთაც შვილები დაკარგეს ჩვილ ბავშვთა უცაბედი სიკვდილის სინდრომით, რელიგიურობის მნიშვნელობის მაღალი მაჩვენებელი დადებით კავშირში აღმოჩნდა ამ ტრავმის შემდგომ საზრისის ძიების პროცესში ჩართულობასთან (McIntosh, Silver, & Wortman, 1993).

სტრესული სიტუაციების პირველადი შეფასების გარდა, რელიგია ჩართულია მსგავსი სიტუაციების გამკლავებაში, კერძოდ, იგი გავლენას ახდენს იმაზე თუ დაძლევის რა მექანიზმებს ირჩევს ინდივიდი ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ იყენებენ

რელიგიური გამკლავების/დაძლევის სხვადასხვა გზებს, როგორცაა, სიტუაციის პოზიტიური შეფასება, „დამსჯელი ღმერთის“ ხელახალი შეფასება, რელიგიური პატიება და რელიგიური მხარდაჭერის ძიება (Pargament, Koenig, & Perez, 2000). პარგამენტი აზრით (1997) რელიგია სტრუქტურული სიტუაციის პოზიტიური შეფასების მრავალნაირ საშუალებას იძლევა. მაგალითად, ინდივიდები განიხილავენ არსებულ მოვლენას როგორც ადამიანური ცოდვების შედეგს და აქედან სულიერი გამოცდილების მიღებას ცდილობენ.

ხანდახან მოვლენები იმდენად მატრავმირებელია, რომ რთულია არსებული სიტუაციის შეფასება მოვარგოთ უკვე არსებულ რწმენებს და მიზნებს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა რადიკალურად შეიცვალოს სამყაროს, საკუთარი თავის, სხვების თუ ღმერთის შესახებ გლობალური შეხედულება (Park, 2005). მაგალითად, ადამიანები განიხილავენ ღმერთს როგორც უფრო ნაკლებად ძლევამოსილს, (Kushner, 1981) ან სრულად წყვეტენ მისი არსებობის შესახებ რწმენას, სჯერათ, რომ ეშმაკი უფრო ძლიერია, რომ თვითონ არიან ცოდვილნი ან საერთოდაც შეუძლებლად მიაჩნიათ რომ იმ ყველაფერს ახსნას მოუძებნიან სამყაროში რაც ხდება (Pargament, 1997).

1.7.3. რელიგია , პოსტტრავმული ზრდა და კარგად ყოფნა

რელიგიის და კარგად ყოფნის (well-being) ურთიერთკავშირს ბოლო წლების განმავლობაში დიდი ყურადღება, სტატია თუ წიგნი დაეთმო (Baumeister, 2002; Hill & Pargament, 2003). ჩატარდა უამრავი კვლევა, მათ შორის რამდენიმე მეტა-ანალიტიკურიც. კონიგმა და ლარსონმა (2001) გაანალიზეს 850 კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიის და ჯანმრთელობას შორის ურთიერთკავშირის შესწავლას.

ძირითადი დადებითი კორელაციები, რომლებიც ავტორებმა ამ კვლევების საფუძველზე აღმოაჩინეს, ეხებოდა რელიგიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის ურთიერთკავშირს. რელიგიურობის მაღალი დონე მნიშვნელოვნად კავშირშია

დეპრესიის და შფოთვის დაბალ დონესთან. განსაკუთრებით რელიგიური ხასიათის მატარებელია სტრესთან დაკავშირებული ზრდა (Park et al. 1996).

კიდევ ერთი მეტა-ანალიტიკური კვლევა, რომელიც 2005 წელს ანო და ვასკონჩელეს (Ano & Vasconcelles, 2005) მიერ ჩატარდა, ეხებოდა რელიგიური დაძლევის და შეგუებას. 49 სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, ავტორები მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: ინდივიდებს ვინც სტრესული სიტუაციების გამკლავების მიზნით იყენებს რელიგიური დაძლევის (დადებითი რელიგიური შეფასებები, სულიერი სიმშვიდის ძიება და ა.შ.), ჩვეულებრივ აღენიშნებათ სტრესთან დაკავშირებული და სულიერი ზრდა, პოზიტიური განწყობილება და უფრო მაღალი თვითშეფასება.

კვლევები რომლებიც რელიგიურობას და კარგად ყოფნას შორის თუ უკეთ ფსიქოლოგიურ შეგუების კავშირზე მიუთითებს, სხვადასხვა კულტურულ კონტექსტს მოიცავს. ფრანსის და კალდორის (2002) მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც დაახლოებით 1000 ავტრალიელს მოიცავდა, აჩვენა, რომ ეკლესიაში სიარული, ღმერთის რწმენა და ლოცვა კორელაციაში აღმოჩნდა კარგად ყოფნასთან. რელიგიურობას პრედიქტორული წონა აღმოაჩნდა ალჯირში მცხოვრები მუსულმანი სტუდენტების ცხოვრებით კმაყოფილებასთან (Tiliouine & Belgoumidi, 2009). დადებითი კავშირი აჩვენა რელიგიურობას და უკეთეს ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას შორის აბდელ-ხალეკის (2007) მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ეხებოდა ქუვეითში მცხოვრებ მუსულმან მოზარდებს.

კრაუსის (2003) მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელშიც აფრო-ამერიკელები იღებდნენ მონაწილეობას, რელიგიური საზირისი ასევე კავშირში აღმოჩნდა ცხოვრებით კმაყოფილებას, ოპტიმიზმსა და თვითშეფასებასთან (Kraus, 2003).

რელიგიურობა ასევე კავშირშია პოსტრავმულ ზრდასთან (Pargament, 1997; Tedeschi & Calhoun, 1995). კვლევა რომელიც ჩატარდა მგლოვიარე ადამიანებზე, მიზნად ისახავდა გლოვის სიმწვავის, რელიგიურობის და პოსტრავმულ ზრდას შორის კავშირის შესწავლას (Currier et.al., 2013). გარკვეული ცვლადების გაკონტროლების შემთხვევაში, რელიგიურობა დადებით კავშირში აღმოჩნდა პოსტრავმულ ზრდასთან.

პოსტტრავმულ ზრდასთან კორელაციაში აღმოჩნდა როგორც რელიგიური დაძლევა, ასევე ეკლესიაში სიარული ან სხვა ფორმალურ ჯგუფებში ჩართულობა. როგორც ჩანს კვლევებიდან, სტრესული სიტუაციის შემდგომ ზრდასთან დადებით კავშირში იმყოფება არა მხოლოდ რელიგიურობა, არამედ რელიგიური დაძლევის სტრატეგიაც (Park, 2006).

რაოდენობრივ კვლევებთან ერთად, თვისებრივი კვლევები (Parappully et al, 2002) ასევე აჩვენებს რელიგიურობის კავშირს პოსტტრავმულ ზრდასთან. კვლევაში სადაც მონაწილეობდნენ მშობლები, რომელთა შვილები დაეღუპათ, ღმერთის რწმენა, ლოცვები, რიტუალები და სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის რწმენა, კავშირში იყო მშობლების პოსტტრავმული ზრდის მცდელობებთან .

მიუხედავად მრავალი კვლევისა, რომელიც დადებით კავშირს აჩვენებს რელიგიურობას/რელიგიურ დაძლევას შორის, მაინც შევხვდებით, არაერთმნიშვნელოვან შედეგებს ამ მიმართულებით (Pargament, 1997, Falsetti, Resick & Davis, 2003).

კვლევის (Pargament, 1997) შედეგების მიხედვით, აღმოჩნდა რომ რელიგიურობა წარმოადგენს დაძლევის წარმატებული სტრატეგიას რომელიც გვიცავს სტრესული მოვლენების დამაზიანებელი შედეგებისგან. ასევე, რელიგიურობა კავშირშია ცხოვრებაში გაუმჯობესებული აზრის და მიზნის არსებობასთან, პიროვნების პოსტტრავმულ ზრდასთან, კონტროლთან, ბედნიერებასთან და კმაყოფილებასთან (Pargament, 1997)

ტრავმული გამოცდილების შემდგომ შესაძლოა რელიგიური და სულიერი რწმენები გაძლიერდეს ან მოიმატოს რელიგიური ქმედებების სიხშირემ; თუმცა ასევე დასაშვებია რელიგიურ რწმენებზე უარის თქმა და რელიგიური ჩართულობის შემცირება (Lilly, 2008).

ემპირიული კვლევები რელიგიას და დადებით შეგუებას შორის კავშირის გარდა ასევე აჩვენებს, მის უარყოფით გავლენას სტრესული თუ ტრავმული გამოცდილების შემდგომ. უფრო მეტიც, შესაძლოა რელიგიური საზრისი (religious meaning system)

შესაძლოა ზიანის მომტანიც კი აღმოჩნდეს ინდივიდისთვის. მაგალითად, გლოვის შესახებ კვლევები აჩვენებს, რომ რელიგიური რწმენები თავდაპირველად კავშირშია დისტრესის მაღალ მაჩვენებელთან და გლობალური საზრისის უფრო მეტ ნგრევასთან (Park 2005; McIntosh et al.1993). ამას გარდა, რელიგიურობა გარკვეულ შემთხვევებში აძლიერებს საკუთარი თავის დადანაშაულების და ბრალეულობის განცდას, რომელიც თავის მხრივ ხელს უშლის სტრესული მოვლენის შემდგომ უკეთ შეგუებას (Exline & Rose, 2005)

უფრო მეტიც, ხანდახან ადამიანები ფიქრობენ, რომ ღმერთმა მათ განზრახ, პასიურობით თუ უგულვებელყოფით ზიანი მიაყენა. საზრისის ძიების ამ უარყოფითი შედეგებს ადამიანები მიყავს უნდობლობის, ბრაზის და იმედგაცრუებისკენ ღმერთის მიმართ ან თუნდაც ღმერთის არსებობის დაეჭვებისკენ (Exline & Rose, 2005). ჰერმანის (1992) აზრით, ტრავმის შემდგომ ადამიანის რწმენა „ბუნებრივი და ღვთაებრივი წესრიგის“ შესახებ ინგრევა, რაც თავის მხრივ უბიძგებს მათ სულიერ სამყაროს ზურგი შეაქციონ (Herman, 1992 as cited in Caldwell, 2008).

რესიკი, შნიქე და მარქვეი (Resick, Schnicke, and Markway, 1991) იკვლევდნენ სწორედ ტრავმის შემდგომ ადამიანების შეხედულებებს და აღმოაჩინეს ცვლილებები უსაფრთხოების, ნდობის, ძალაუფლების, შეფასების და ინტიმურობის სფეროებში. შესაძლოა ასევე შეიცვალოს ე.წ. "სამართლიან სამყაროში" ცხოვრების რწმენის

ტენდენცია (მაგ: კარგ ადამიანებს ცუდი არ ემართებათ Lerner & Miller, 1978). ვიქტიმიზაციას ასევე შეიძლება მივყავდეთ რელიგიური და სულიერი რწმენების მსხვრევამდე. ამ დროს ადამიანები ერთვებიან დაძლიერების ძველი სტრატეგიის შეცვლის პროცესში ახალი საზრისის ძიებით და შემდეგი კითხვით: "რატომ მსჯის მე ღმერთი?" და მიდიან დასკვნამდე, რომ მათ აუცილებლად რაიმე ცუდი ჩაიდინეს და ეს დაიმსახურეს. სხვები ფიქრობენ, რომ ღმერთის აღარ სჯერათ, რადგად ღმერთის არსებობის შემთხვევაში ასეთი საშინელი რამეები არ უნდა ხდებოდეს (Pargament, 1997) . ზოგიერთი ადამიანი კი ინარჩუნებს რწმენებს და აღნიშნავს, რომ რელიგიური

რწმენების გარეშე ვერ გადარჩებოდნენ და გაუძლებდნენ იმ ტკივილს, რაც გაიარეს ტრავმული გამოცდილების პროცესში (Pargament, 1997) .

თავი 2 პოსტტრავმული ზრდა

2.1. პოსტტრავმული ზრდის თეორიული მოდელი

პოსტტრავმული ზრდის (Tedeschi and Calhoun, 1996) მიმართ ინტერესი ბოლო ათი წლის განმავლობაში ინტენსიურად გაიზარდა. ეს ჰენომენი წარმოადგენს ინდივიდის სტრესულ თუ ტრავმული გამოცდილებასთან ბრძოლის პოზიტიურ ფსიქოლოგიურ ცვლილებას და შედეგს (Calhoun & Tedeschi, 1999, 2001). პოსტტრავმული ზრდა არის მატრავმირებელი სიტუაციების შედეგად დანგრეული წარმოდგენების და შეხედულებების აღდგენისა და ხელახალი მნიშვნელობის მინიჭების კოგნიტური მცდელობის პოტენციური შედეგი (Calhoun & Tedeschi, 2006; Janoff-Bulman, 1992, 2006).

თავად ეს ფენომენი, ავტორთა თქმით (Tedeschi & Calhoun 1996), არ წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს, რადგან სტრესული თუ ტრავმული გამოცდილების შემდეგ პოზიტიურ ცვლილებების არსებობას ვხვდებით უძველეს ლიტერატურაში, ფილოსოფიასა თუ რელიგიაში (Prati & Pietrantonio, 2009). განსაკუთრებული წვლილი ამ ჰიპოთეტური კონცეფციის ჩამოყალიბებაში შეიტანეს რონი ჯანოფ-ბულმანმა (1992) და ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა - ვიქტორ ფრანკლმა (1969) და როლო მეიმ (1969).

ამ ფენომენს ხშირად ავტორები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, როგორცაა სტრესთან დაკავშირებული ზრდა, ტრანსფორმაციული დაძლევა, აღქმული სარგებელი და სხვა (Park et al. 1996, Tedeschi & Calhoun, 2004).

სტრესული სიტუაციის შემდგომ ზრდა შესაძლოა გამოიხატოს როგორც ინტერპერსონალურ ასევე ინტრაპერსონალურ დონეზე. მაგალითად, ეს ეხება ახალი, სოციალური მხარდამჭერი ქსელების ჩამოყალიბებას ან საკუთარი თავის უფრო მეტ რწმენას, ემპათიას და ცხოვრების ახალ ფილოსოფიას (Schaefer & Moos, 1992; Tedeschi &

Calhoun, 1995). თეორიული მოდელები გვთავაზობენ ზრდის განხილვას ორი მიმართულებით: საკუთარი თავის და ურთიერთობების (Armeli et. al, 2001).

პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი ყველაზე გავრცელებულ საზომებს შორის გამოიყოფა პარკის და ავტორების (1996) და ტედესკის და კალჰოუნის (1996) მიერ შექმნილი ინტრუმენტები. ტედესკის და კალჰოუნის (1996) მიერ შექმნილი სკალისგან განსხვავებით, რომელიც ხუთ ფაქტორს მოიცავს (ცხოვრების მეტად დაფასება და შეცვლილი პრიორიტეტები, სხვებთან უფრო ახლო და დადებითი ურთიერთობები, პიროვნული სიძლიერის განცდა, ახალი შესაძლებლობების ამოცნობა და სულიერი განვითარება/ცვლილება), პარკის (Park et. al 1996) მიერ შემუშავებულ სტრესთან დაკავშირებული ზრდის სკალაზე სამი ძირითადი ფაქტორი გამოიყოფა, როგორცაა პიროვნული, სოციალური და დაძლევის რესურსები. არ არის ნათელი ეს ფენომენი კონცეპტუალიზებული უნდა იქნეს როგორც ერთი კონტრუქტის ცვლილება (Park et. al 1996) თუ როგორც რამოდენიმე ცალკეულ ფაქტორის (Tedeschi & Calhoun, 1996).

ტედესკის და კალჰოუნის (1995) სახელს უკავშირდება პოსტტრავმული ზრდის ფენომენის ემპირიული შესწავლის პირველი კვლევები. ისინი ტრავმული გამოცდილების მქონე ადამიანებთან ინტერვიუების შედეგად მივიდნენ სწორედ პოსტტრავმული ზრდის განმარტებამდე და სფეროებამდე. ამ შესწავლის საფუძველზე ავტორებმა აღმოაჩინეს მრავალი ფაქტორი რომელიც კავშირში იყო პოსტტრავმულ ზრდასთან, კერძოდ, როგორც პიროვნულ ასევე გარემო ფაქტორებთან. პიროვნული ფაქტორებიდან ექტსრავერსია და გამოცდილებისადმი ღიაობა აღმოჩნდა კავშირში პოსტტრავმულ ზრდასთან (Costa & McCrae, 1992 as cited in Tedeschi & Calhoun, 2004). პრატის და პიეტრანტონის (2009) მეტა-ანალიტიკურ კვლევაში აღმოჩნდა, რომ ოპტიმიზმი, პოზიტიური შეფასება, სულიერება და მიმღებლობა დადებით კავშირშია პოსტტრავმულ ზრდასთან. გარემოსთან დაკავშირებულ ფაქტორებს წარმოადგენს მატრავმირებელი მოვლენის სიძლიერე, ტრავმული მოვლენიდან გასული დრო, სოციალური მხარდაჭერის სისტემა, რელიგიურ ორგანიზაციებში გაწევრიანება და სხვა (Kilmer et al., 2014).

პოსტტრავმული ზრდის კონცეფციის სრულად გასაგებად, კოგნიტური ელემენტის გარდა, ბევრი სხვა კომპონენტის გათვალისწინებაა საჭირო. მძიმე მატრავმირებელი მოვლენები ანგრევენ ადამიანის წარმოდგენებს სამყაროს, სხვების და საკუთარი თავის შესახებ. მათ აღსადგენად კი საჭიროა როგორც ინტელექტუალური ასევე ემოციონალური კომპონენტი (Aldwin & Levenson, 2004).

პოსტტრავმული ზრდას შესაძლოა ასევე თან ახლდეს დისტრესი. ადამიანები, რომლებსაც აღენიშნებათ პოსტტრავმული ზრდა, არ უარყოფენ ტრავმული გამოცდილების ნეგატიურ ასპექტებს. მაგალითად, მგლოვიარე მშობლები წლების განმავლობაში განიცდიან მძიმე ტკივილს, მაგრამ ამავდროულად, აღნიშნავენ რომ გამოცადეს პოსტტრავმული ზრდა (Tedeschi & Calhoun, 2004).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს განსხვავება პოსტტრავმულ ზრდასა და ფსიქოლოგიურ მდგრადობას (resilience) შორის. თუმცა ზოგიერთი ავტორი ამ ორ ტერმინს ურთიერთშემცვლელი მნიშვნელობით იყენებს (Kilmer et al., 2014). ამ ორ ფენომენს შორის არსებობს მსგავსება, კერძოდ, ორივე შემთხვევაში ინდივიდებს აღენიშნებათ მატრავმირებელი გამოცდილების პოზიტიური შედეგები (Clay, Knibbs, & Joseph, 2009). ფსიქიკური მდგრადობა წარმოადგენს დინამიურ პროცესს, რომელიც მძიმე ცხოვრებისეული პირობების მიუხედავად ინდივიდის პოზიტიურ ადაპტაციას ასახავს (Bonanno, Galea, Bucciarelli, & Vlahov, 2006). იმისათვის რომ მოხდეს ტრავმული გამოცდილების გადალახვა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ან სხვა კლინიკური სიმპტომების გარეშე, ეს პროცესი უნდა მოიცავდეს ადამიანის რწმენებს, დამოკიდებულებებს, ქცევებსა და უნარ-ჩვევებს (Levine, Laufer, Stein, Hamama-Raz, & Solomon, 2009). რაც შეეხება პოსტტრავმული ზრდას, იგი წარმოადგენს ტრანსფორმაციულ პროცესს, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ტრავმასთან ბრძოლის შედეგად განიცდის პოზიტიურ ცვლილებებს (Kilmer et al., 2014). აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ ეს ორი პროცესი ერთანეთისგან განსხვავდება. აღმოჩნდა, რომ ინდივიდებს, რომლებიც ავლენენ პოსტტრავმულ ზრდას, მათ ემოციური კარგად

ყოფნის და პოზიტიური ადაპტაციის უფრო ნაკლები მაჩვენებელი აღნიშნებათ ფსიქიკური მდგრადობის მქონე ადამიანებთან შედარებით (Kilmer et al., 2014). გარდა ამისა, როგორც უკვე ზემოთ ავლინებთ, პოსტტრავმული ზრდა არ გამორიცხავს დისტრესის თანაარსებობას გასხვავებით ფსიქიკური მდგრადობისგან, რომელიც პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ალტერნატივას წარმოადგენს (Tedeschi et al., 2007).

2.2. პოსტტრავმული ზრდა და საზრისის ძიება

პოსტტრავმული ზრდის შესახებ კვლევები შედარებით ახალია და ჯერ კიდევ კარად არის შესასწავლი თუ როგორ ხდება აღნიშნული ზრდა. ამასთან მიმართებაში, არსებობს სამი ძირითადი თეორიულ მოდელი. ერთ-ერთი ასეთი მოდელი გვთავაზობს, რომ პოსტტრავმული ზრდა იწყება მაშინ, როდესაც ტრავმული ან სტრესული გამოცდილების შედეგად ინგრევა მსოფლმხედველობა (Janoff-Bulman, 1989; Tedeschi & Calhoun, 2004). ტრავმა ხშირად ანგრევს ადამიანების წარმოდგენებს სამყაროს და საკუთარი თავის შესახებ, რაც თავის მხრივ ამ წარმოდგენების ხელახალ გადახედვას აუცილებელს ხდის ახალი პოსტტრავმული რეალობის გასაგებად (Janoff-Bulman, 1992). სწორედ ეს 'გადახედილი' შეხედულებები და წარმოდგენები შესაძლოა გახდეს ზრდის განმაპირობებელი (Tedeschi & Calhoun, 2004).

მეორე ასეთი თეორიულ მოდელს წარმოადგენს საზრისის ძიების მოდელი (Park & Fenster, 2004). აღნიშნული მოდელი გვთავაზობს, რომ ტრავმული ან სტრესული გამოცდილების გააზრების/გადახარშვის განმეორებადი მცდელობებით, ადამიანები თავიდან აფასებენ ამ გამოცდილებას და მის ახალ შესწორებულ მახასიათებლებს აღმოაჩენენ (Tedeschi & Calhoun, 2004).

მესამე თეორიული მოდელი რომელიც მოიცავს ლაზარუსის და ფოლკმანის (1984) ტრანსაქციული სტრესის და დაძლევის ჩარჩოს, მიმართულია დაძლევის პროცესებზე.

ეს მოდელი გვთავაზობს, რომ პიროვნული რესურსები, კოგნიტური შეფასებები და დაძლევის მექანიზმები გავლენას ახდენს სტრესული გამოცდილების შედეგზე (Park & Ai, 2006).

სტრესთან დაკავშირებული თეორიული მოდელები გვთავაზობს, რომ ზრდა განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით, როგორცაა პიროვნული რესურსები, სტრესორის შეფასება და კონკრეტული დაძლევის სტრატეგიების გამოყენება (Holahan, Moos, & Schaefer, 1996; Tedeschi & Calhoun, 1995 as cited in Armeli et al, 2001). ეს ცვლადები ასახავს ლაზარუსის და ფოლკმანის (1984) სტრესის და დაძლევის ტრანსქციულ მოდელს და ასევე ქარვერის და ავტორების (Carver, Scheier & Weintraub, 1989) დაძლევის მექანიზმებს. უნდა აღინიშნოს, რომ სტრესული სიტუაციის შეფასებისას ერთზე მეტი შეფასებაა ჩართული და ასევე რამდენიმე დაძლევის სტრატეგია.

პოსტტრავმული ზრდის განხლვის შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია ვახსენოთ ის დამცავი ფაქტორები რომლებიც ინდივიდს იცავს პოსტტრავმული სიმპტომების განვითარებისგან. კვლევების მიხედვით, გლობალური საზრისი შესაძლოა სწორედ პოსტტრავმული სტრესის დამცველი ფაქტორი აღმოჩნდეს. მაგალითად, ტრავმული გამოცდილების მქონე ლტოლვილებს მყარი სულიერი და ფილოსოფიური რწმენები ეხმარებოდა ტრავმის შემდგომ მდგომარეობის გაუმჯობესებასა და პოსტტრავმული სიმპტომების შემცირებაში (Brune et.al 2002).

კვლევის შედეგად, რომელიც ეხებოდა თავდასხმის მსხვერპლებს, აღმოჩნდა, რომ მათთან ვისაც უფრო პოზიტიური შეხედულებები ჰქონდათ ამ თავდასხმამდე, ნაკლები იყო აღნიშნულითავდასხმის შემდგომ პოსტტრავმული სიმპტომების განვითარების ალბათობა. სხვა სიტყვებით, შესაძლოა პოზიტიური წარმოდგენები თავდასხმის გავლენის ბუფერიზაციას და მინიმიზაციას ახდენდეს (Ali et al. 2002).

მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის საფუძველზე პოსტტრავმული ზრდის ზოგიერთი შედეგი საკმაოდ ღრმა და აბსოლუტურია, როგორცაა მაგალითად, საკუთარ ცხოვრებაში პრიორიტეტების რადიკალური ცვლილება. თუმცა ასევე აღსანიშნავია

ისეთი ცვლილებები, რომლებიც არ არის ასეთი 'მასშტაბური.' მსგავს ცვლილებებს მიეკუთვნება, მაგალითად, სტრესის გამკლავების უკეთესი გზის მონახვა, საყვარელ ადამიანთან მეტი სიახლოვე, საკუთარ და სხვა ადამიანებზე მეტი ზრუნვა, ღმერთთან მეტი სიახლოვე, ყოველდღიური ცხოვრების მეტი დაფასება და ახალი გამოცდილების მიღებისთვის მეტი მზაობა (Park, 2005).

აღსანიშნავია, რომ პოსტტრავმული ზრდის შესახებ კვლევების უმეტესობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ კონტექსტს მოიაზრებს (მაგ; სიმსივნე) (e.g., Cordova et al., 2001; Tomich & Helgeson, 2002). ასევე პოსტტრავმულ ზრდას შესაძლოა ადგილი ქონდეს სხვადასხვა ტრავმული მოვლენების შედეგად, როგორცაა მაგალითად, სექსუალური ძალადობის (Frazier, Tashiro, Berman, Steger, & Long, 2004), მასობრივი მკვლელობა, საჰაერო უბედური შემთხვევა ან ტორნადო (McMillen, Smith, & Fisher, 1997); ბავშვებთან სქესობრივი ურთიერთობა (McMillen, Zuravin, & Rideout, 1995); ტერორისტული შეტაკებები (მაგ; 11 სექტემბერი) (Ai et al., 2005); ომის და შეიარაღებული კონფლიქტის გამოცდილებები (Elder & Clipp, 1989), მშვიდობიანი მისიები სამხედრო ზონებში (Britt, Adler, & Bartone, 2001 as cited in Park, 2005).

2.3. პოსტტრავმული ზრდა და სტრესის დაძლევის სტრატეგიები

პოსტტრავმული ზრდის შესახებ კვლევების მიხედვით, ტრავმული გამოცდილების მქონდე ადამიანების 50%-ზე მეტი აღნიშნავს გარკვეული ტიპის პოზიტიურ შედეგს, როგორცაა მაგალითად, ახალი უნარ-ჩვევების განვითარება ან გაუმჯობესებული ურთიერთობები (Tedeschi & Calhoun, 1995). უნდა აღინიშნოს, რომ პოსტტრავმული ზრდა არ არის ტრავმის შემდგომ მდგომარეობის მხოლოდ უბრალოდ გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიური სიმპტომების შემცირებას და ფუნქციონირების პრემორბიდულ საფეხურზე დაბრუნებას, არამედ, ინდივიდებს ვინც განიცდის პოსტტრავმულ ზრდას, აღნიშნებთ მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები და გაუმჯობესებული ცხოვრების აზრი (Calhoun & Tedeschi, 2001).

კალჰოუნის და ტედესკის აზრით (2001) ინდივიდმა პოსტტრავმულ ზრდამდე წარმატებით უნდა მოახდინოს ტრავმის პირველადი დაძლევა დისტრესის შემცირებაზე აქტიური მუშაობით და საზრისის ხელახალი რეკონსტრუირებით. ეს რეკონსტრუირება მოიცავს ტრავმამდე არსებული ცხოვრების, ტრავმის შემდგომ ბრძოლისა და ცხოვრების ახალი გზების ერთად ახალი საზრისის სისტემაში ინტეგრაციას.

ფოსტნერის (1997) (as cited in Wild & Paivio, 2003) აზრით, ეფექტური დაძლევა მოიცავს ქცევით, კოგნიტურ და ემოციურ კომპონენტებს. იგი ამ პროცესს განიხილავს როგორც აქტიურს, რომელიც აერთიანებს გამოცდილების ხელახალ გააზრებას და ტრავმასთან გამკლავების უნარის რწმენას (Farran, Herth, & Popovich, 1995 as cited in Wild and Paivio, 2003), ტრავმის დაძლევისკენ მიმართული პირდაპირი ქმედებას, დახმარების ძიებას და ტრავმის პოზიტიურ ჭრილში განხილვას (Carver, Scheier, & Wintraub, 1989). ემოციური დაძლევის სტრატეგია, მეორეს მხრივ, მოიცავს განრიდებას და ემოციურ ვენტილაციას. თუმცა დაძლევის აღნიშნული სტრატეგიები ითვლება როგორც არაადაპტური და ასოცირებულია კონტროლის დაბალ აღქმასთან, დისტრესთან, ფუნქციონალურ შეზღუდვასა და დეპრესიულ სიმპტომატოლოგიასთან (Egert, 2000; Fostner, 1997; Krause & Long, 1993 as cited in Wild and Paivio, 2003).

კვლევები რომლებიც ეხება დაძლევის სტრატეგიების როლს პოსტტრავმულ ზრდაში არ არის ერთგვარი. კვლევების მიხედვით პოსტტრავმულ ზრდას მაშინ აქვს ადგილი როცა გამოყენებულია დაძლევის აქტიური სტრატეგიები, როგორცაა პირდაპირი ქმედების განხორციელება ტრავმის გადასალახად, დახმარების ძიება და ტრავმული გამოცდილების პოზიტიური ინტერპრეტაცია (Carver et al., 1989; Janoff-Bulman, 1992). სწორედ აქტიური დაძლევის სტრატეგიები, როგორცაა მაგალითად, ტრავმული აზრების და განცდების კონფრონტაცია (Cordova, Cunningham, Carlson, & Andrykowski, 2001), ახალი მიზნების განვითარება (Stroebe & Schut, 1999) შესაბამისად ემოციური კონტროლი, საზრისის ხელახალ ძიება და საკუთარი თავის უფრო ეფექტიანად აღქმა ვიდრე ტრავმამდე, აღმოჩნდა კავშირში პოსტტრავმულ ზრდასთან

(Calhoun & Tedeschi, 1998; Park & Folkman, 1997; Stroebe & Schut, 1999). ახლად ნაპოვნი ძალა და საკუთარი თავის “გაუმჯობესებელი” აღქმა ითვლება რომ ხელს უწყობს დაძლევის სტრატეგიების უფრო ეფექტურ გამოყენებას შემდგომი მძიმე მდგომარეობის დროს (Park et.al 1996) .

ემოციაზე ფოკუსირებული და განმარიდებელი დაძლევის სტრატეგიები და საკუთარი თავის დადანაშაულება ძირითადად დაბალი ხარისხის (poor) შეგუბასთან არის კავშირში (Aldwin, 2007).

კვლევა, რომელიც ჩატარდა კანადაში უნივერსიტეტის სტუდენტებზე, მიზნად ისახავდა პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორი ცვლადების შეწავლას. აღმოჩნდა, რომ პოსტტრავმულ ზრდას სწორედ აქტიური დაძლევის სტრატეგია, როგორცაა პოზიტიური რეინტერპრეტაცია, იუმორის გამოყენება, სოციალური და რელიგიური მხარდაჭერა, განაპირობებს დიდწილად. რაც შეეხება ემოციურ დაძლევის სტრატეგიას, მას მხოლოდ კორელაციური კავშირი აღმოაჩნდა პოსტტრავმულ ზრდასთან (Wild and Paivio, 2003).

კვლევაში, რომლის მიზანი იყო ხანშიშესული (საშუალო ასაკი 77) ადამიანების ცხოვრებისეულ ტრავმის შემთხვევაში პოსტტრავმული ზრდის შესწავლა, ავტორებმა (Park, Mills-Baxter & Fenster, 2005) საინტერესო შედეგები მიიღეს. კერძოდ, პოსტტრავმული ზრდა დადებით კავშირში აღმოჩნდა დაძლევის ისეთ სტრატეგიებთან, როგორცაა პოზიტიური შეფასება, დაგეგმვა, იუმორის გამოყენება, რელიგიური დაძლევა, ემოციონალური მხარდაჭერა და ემოციების ვენტილაცია.

პრატის და პიეტრანტონის (2009) მიერ ჩატარებული მეტა ანალიტიკური კვლევის მიზანი გახლდათ ოპტიმიზმის, სოციალური მხარდაჭერის და დაძლევის სტრატეგიების პოსტტრავმული ზრდისთვის პრედიქტორული როლის განსაზღვრა. 103 კვლევის განალიზების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ოპტიმიზმსა და სოციალურ მხარდაჭერაზე მეტად პრედიქტორული წონა დაძლევის სტრატეგიებს გააჩნიათ, როგორცაა პოზიტიური შეფასება და რელიგიური დაძლევა (Prati & Pietrantonio, 2009).

კვლევა რომელიც ჩატარდა ამერიკულ შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტის შემდგომ, მიზნად ისახავდა მსოფლმხედველობის პოზიტიური თუ ნეგატიური ცვლილებების, დაძლევის სტრატეგიების და პოსტრავმული სიმპტომების როგორც პრედიქტორების როლის შესწავლას პოსტრავმულ ზრდაში. აქაც, სხვა ზემოთ განხილული კვლევების მსგავსად, აქტიური დაძლევის სტრატეგია და დაგეგმვა აღმოჩნდა კავშირში პოსტრავმულ ზრდასთან, კერძოდ ახალი შესაძლებლობების განზომილებასთან. ასევე მიმდებლობა და პოზიტიური შეფასება მოგვიანებით კორელაციაში აღმოჩნდა ზრდის მაღალ დონესთან (Butler, Blasey, Garlan, McCaslin, Azarow, Xin-Hua Chen, Desjardins, DiMiceli, Seagraves, Hastings, Kraemer & Spiegel, 2005).

პოსტრავმული ზრდის მიმართ მზარდი ინტერესის მიუხედავად, ომის, ლტოლვილობის და დევნილობის შემთხვევაში, ამ ფენომენის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ კვლევები მაინც მწირია (Powell et al., 2003; Cakici & Cakici, 2008 Klaric et.al., 2013; Kroo & Nagy, 2011). აღმოჩნდა, რომ ლტოლვილობის და დევნილობის შემთხვევაში, პოსტრავმული ზრდა კავშირშია მხარდაჭერასთან, იმედთან და ინტერპერსონალურ ურთიერთობებში მაღალ მგრძობელობასთან (sensitivity in interpersonal relationships). უნგრეთში მყოფ სომალელ ლტოლვილებზე ჩატარებულ კვლევაში რელიგიური დაძლევა კავშირში აღმოჩნდა პოსტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის სკალასთან, მაშინ როცა რელიგიურობა პოსტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებლთან და სულიერი ცვლილების სკალასთან (Kroo & Nagy, 2011).

თავი 3 იძულებით გადაადგილებული პირები

იძულებით გადაადგილებული პირები არიან ადამიანები, ვინც იძულებული გახდნენ დაეტოვათ საკუთარი სახლები, რადგან მათი სიცოცხლე იყო საფრთხის ქვეშ, თუმცა ლტოლვილებისგან განსხვავებით მათ არ გადაკვეთეს ქვეყნის საზღვარი. მსოფლიოში, 2005 წლის სტატისტიკით 23,7 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია სულ მცირე 50 ქვეყანაში. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს სწორედ ადამიანების ეს ჯგუფი. საერთაშორისო გადაადგილების მონიტორინგის ცენტრის ცნობით (International Displacement Monitoring Center 2012), 2011 წლის ივლისისთვის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 256.000 ადამიანი რჩება იძულებით გადაადგილებული საქართველოში.

იძულებით გადაადგილება, რა თქმაუნდა, თავისთავად უკვე სტრესული და უარყოფითი გამოცდილებაა, რადგან ის ხშირად გამოიხატება გარკვეული სახის დანაკარგით. ასეთი დანაკარგი შესაძლოა იყოს სახლი, ქონება, სოციალური ქსელი და უფრო მეტიც, ხანდახან კულტურა და იდენტობა. იძულებით გადაადგილება ხშირად ცვლის ადამიანების ურთიერთობებს და იდენტიფიკაციას გარკვეული ადგილებში. არსებობს უამრავი სტრეოტიპული იდენტობა რომლებსაც ორივე იძულებით გადაადგილებულ პირებს და ლტოლვილებს აწებებენ. იძულებით გადაადგილებული პირები, როგორც წესი წარმოდგენილი არიან როგორც უძლურები, 'უსაკვლკარო' რომელთაც დახმარება ჭირდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ლტოლვილობის და დევნილობის დროს საცხოვრებელი ადგილის ცვლილება ხდება, ერთის შემთხვევაში ქვეყნის გარეთ ხოლო მეორის - ქვეყნის შიგნით, ეს ორი თვისობრივად განსხვავებული სტრესული მოვლენაა და განსხვავებული მოთხოვნების და გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანს. ეს განსხვავება ეხება ურო ლეგალურ/საკანონმდებლო მიდგომას, თუმცა ის გავლენას ახდენს ამ ჯგუფების ახალ გარემოსთან შეგუების ხარისხზე. კერძოდ, ის რომ

ლტოლვილობის შემთხვევაში ინდივიდი ახალი სტატუსის და უფლებების მინიჭების გარდა, სარგებლობს საერთაშორისო ყურადღებით და დაცვით? ხოლო დევნილობის დროს ინდივიდი კვლავ რჩება საკუთარი ქვეყნის შიგნით და იგივე უფლებებით სარგებლობს რითიც არადევნილები?

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის (1991-1993, 2008) შედეგად საკმაოდ ბევრი ადამიანი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების წინაშე აღმოჩნდა. საერთაშორისო გადაადგილების მონიტორინგის ცენტრის ცნობით (International Displacement Monitoring Center 2012), 2012 წლის ივლისისთვის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 250.000-275.000 ადამიანი რჩება იძულებით გადაადგილებული საქართველოში. ცხადია, იძულებით გადაადგილება თავისთავად სტრესული და უარყოფითი გამოცდილებაა, რომელიც მოიცავს გარკვეული ტიპის დანაკარგს, როგორცაა მაგალითად, ქონება, სოციალური კავშირები. ისინი ხვდებიან ახალ გარემოში რომელშიც ხელახლდა უნდა მოახდინონ საკუთარი თავის დამკვიდრება და ინტეგრაცია.

ძირითადი კვლევები ამ მიმართულებით, ეხება ეკონომიკური, სამედიცინო თუ სოციალური ინტეგრაციის პრობლემებს (Koch, 2009). საქართველოში ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, ხათუნა მარწყვიშვილის (2010) კვლევა, რომელიც იძულებით გადაადგილებული პირების მაგალითზე შეისწავლის პოსტტრავმული სტრესული აშლილობის განვითარებაში ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის და დაძლევის სტრატეგიების წვლილს. როგორც უკვე ავღნიშნეთ, დევნილების შემთხვევაში პოსტტრავმული ზრდის შესახებ მხოლოდ ერთი კვლევაა ჩატარებული (მარიამ ფანჯიკიძე, 2015).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილება იგივე დევნილობა, ამ ადამიანებს ახალ გარემოში ათავსებს, რომელსაც ჭირდება შეგუება. ყველაზე ხშირად გავრცელებული დაძლევის სტრატეგიები იძულებით გადაადგილების შემთხვევაში არის ხოლმე სოციალური მხარდაჭერი ძიება და ქსელის შექმნა, ჯგუფური იდენტობის

გაძლიერება და ა.შ. ამ 'კოლექტიური' დამღევს მექანიზმების გარდა, ისინი ინდივიდუალურად მიმართავენ სხვადასხვა სტრატეგიას.

თავი 4 სამყაროს შესახებ წარმოდგენები

4.1. დანგრეული/დამსხვრეული წარმოდგენების თეორია

ჯანოფ ბულმანის (Janoff-Bulman, 1992) დანგრეული წარმოდგენების (shattered assumptions) თეორია გვთავაზობს ტრავმულ გამოცდილებაზე ფსიქოლოგიური რეაქციის სიღრმისეულ თეორიას რომელიც თავის მხრივ, მრავალი ფსიქოლოგის, სოციოლოგის და ანთროპოლოგის ნაშრომს აერთიანებს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ყველა ინდივიდი დროთა განმავლობაში აყალიბებს ფუნდამენტურ წარმოდგენებს და შეხედულებებს სამყაროს და საკუთარი თავის შესახებ. ეს წარმოდგენები მნიშვნელოვანია ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის. მხოლოდ ტრავმულ გამოცდილებას შეუძლია გავლენა იქონიოს და დაამსხვრიოს ისინი. თანაბრად ორაზროვანია ტრავმული მოვლენები ანგრევს აღნიშნულ წარმოდგენების თუ ეს დამსხვრეული შეხედულებები განაპირობებს ტრავმულ რეაქციებს.. ემპირიული კვლევების ნაკლებობის გამო, თავისთავად „დამსხვრეული წარმოდგენები“ გარკვეულწილად თავად რჩება წარმოდგენად.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ამ თეორიას საფუძვლად უდევს ის იდეა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია გარკვეული შეხედულებები სამყაროს კანონზომიერების და პროგნოზირებადობის შესახებ, რაც მათ ჯანსაღ ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებას და დაცულობის განცდას უზრუნველყოფს (Janoff-Bulman, 1992). აღნიშნული წარმოდგენებს ადამიანები იძენენ გარემოდან (მშობლები, კულტურრი გარემო) და საკუთარი გამოცდილებების საფუძველზე. ეს დაშვებები არის მყარი და ადამიანები არიან რეზისტენტული მათი ცვლილების მიმართ. თუმცა ტრავმული მოვლენები არის მეტად არაპროგნოზირებადი, უსიამოვნო და იწვევენ უმწეობის განცდას და ამ დაშვებებს ეჭვის ქვეშ აყენებენ (Bolton & Hill, 1996).

ჯანოვ ბულმანი (1992) აღნიშნული თეორიის ფორმულირებაში გამოყოფს სამ ძირითად დამკვირვებას: სამყაროს კეთილმოსურნეობის, სამყაროს საზრიანობის და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების.

სამყაროს კეთილმოსურნეობის წარმოდგენა ფართო მნიშვნელობით აღნიშნავს იმას, რომ ზოგადად ადამიანები და მოვლენები უფრო კარგია ვიდრე ცუდი. ადამიანები თავიანთ ცხოვრებას და გამოცდილებებს უფრო პოზიტიურად უყურებენ და ოპტიმისტურად არიან განწყობილი მომავლის მიმართ. თეორიის მიხედვით, ინდივიდები გარემოს აფასებენ როგორც უფრო დაცულს და კეთილმოსურნეს, ხოლო ადამიანებს, როგორც უფრო მზრუნველს და კარგს. უფრო მეტიც, ადამიანები ამ დადებით შეხედულებებს და მოლოდინებს მთელ სამყაროზე ავრცელებენ და ამით იქმნიან დაცულობის და თანმიმდევრულობის (coherence) განცდას

სამყაროს საზრიანობის წარმოდგენა ეხება ადამიანის და მის გამოცდილებას შორის თანმხვედრ განზომილებას. საზრიანობის შესახებ შეხედულება გაცემს პასუხს არა მარტო კითხვაზე „რატომ?“ არამედ კითხვაზე - „რატომ მე?“ ან „მე რატომ არა?“ ლერნერის (Lerner et.al. 1978) „სამართლიანი სამყაროს თეორიაზე“ დაყრდნობით, დამსხვრეული წარმოდგენების თეორია გვთავაზობს, რომ ადამიანებს გააჩნიათ ბაზისური მოთხოვნილება სჯეროდეთ, რომ სამყაროში ისინი იღებენ იმას რასაც იმსახურებენ.

საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება ეხება საკუთარი თავის როგორც უნარიანის, მორალურის და წესიერის შეხედულებებს. აღნიშნული წარმოდგენა სამყაროს საზრიანობის კომპონენტებს (მაგ; სამართლიანობა) მოიცავს საკუთარი თავის შესახებ. სხვა სიტყვებით, ადამიანებს სჯერათ როგორც საკუთარი ‘სიკარგის’ და მორალურობის, ასევე იმ უნარების რითიც სასურველ შედეგებს მიაღწევენ.

4.2. სამყაროს შესახებ წარმოდგენების მსხვრევა: ტრავმული გამოცდილების გავლენა

4.2.1. სამყაროს შესახებ წარმოდგენები, დაძლევა და პოსტტრავმული ზრდა

ტრავმული მოვლენები, როგორ უკვე ავლნიშნეთ, გავლენას ახდებს ადამიანის სამყაროს შესახებ წარმოდგენებზე, ექვექვემ აყენებს მათ და შესაძლოა დაამსხვრიოს კიდევ ისინი (Calhoun & Tedeschi, 1998b). ბუნებრივია, რომ ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდების წარმოდგენები და შეხედულებები ნაკლებად დადებითია, ვიდრე მათი ვისაც არ ჰქონია მსგავსი გამოცდილება (Janoff-Bulman, 1989).

ტრავმული მოვლენა, რომელიც ამსხვრევს აღნიშნულ წარმოდგენებს, ითვლება რომ პოსტტრავმული ზრდის აუცილებელი პირობაა (Bayer, Lev-Wiesel, and Amir, 2007). ხშირად ტრავმა წარმოადგებს ინდივიდისთვის პიროვნული ზრდის შესაძლებლობას (DeCarvalho, 1990; Levington & Gmba-McCallister, 1993) რადგან ის უბიძგებს ადამიანებს ეძიონ პასუხები გარკვეულ კითხვებზე.

ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავებისთვის, ინდივიდმა ხელახლა უნდა ჩამოაყალიბოს სამყაროს შესახებ შეხედულებები, ტრავმული გამოცდილების ასიმილაციით ან აკომოდაციით, რაც თავისთავად, არ გახლავთ ადვილი პროცესი. ამისთვის საჭიროა, მიგნებულ იქნეს სად დაიკარგა საზრისი და აღდგეს (Calhoun & Tedeschi, 1998b; Janoff-Bulman, 1992).

ტრავმული გამოცდილების გამკლავებისას, ადამიანები თითქოს დილემის წინაშე აღმოჩნდებიან. მათ სურთ რომ სტაბილური რწმენათა სისტემა შეინარჩუნონ, თუმცა სწორედ ტრავმული გამოცდილება ეწინააღმდეგება ძველ რწმენებს. არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები სამყაროს შესახებ წარმოდგენებში, რომლებიც ტრავმულ გამოცდილებას მოყვება შედეგად (Janoff-Bulman, 1989), ზოგიერთი ადამიანისთვის რთულია შეინარჩუნოს ან ხელახლა ჩამოაყალიბოს პოზიტიური

რწმენათა სისტემა და ხშირად ისინი იძენენ სტაბილურ, მაგრამ ნეგატიურ კონცეპტუალურ სისტემას. სხვა სიტყვებით, მათ უყალიბდებათ სამყაროს მიმართ როგორც ბოროტის, აზრსმოკლებული და საკუთარი თავის მიმართ, როგორც უღირსი შეხედულებები. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ხშირია, შფოთვა, დეპრესია და უიმედობის განცდა. თუმცა, ადამიანების უმეტესობა მეტად დაბალანსებულ ხედვის წერტილს აღწევს, რომელიც მათ აძლევს საშუალებას სამყაროს და საკუთარ თავს შეხედონ პოზიტიურად. აღნიშნულ პროცესში ინდივიდები სწორედ დაძლევის სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ.

კვლევაში, რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტებზე, რომელთა ერთ ჯგუფს აღენიშნებოდა ტრავმული გამოცდილება, ხოლო მეორეს არა, ეხებოდა სამყაროს შესახებ წარმოდგენების, პოსტტრავმული ზრდის და ორაზროვნებისადმი მიმდებლობის ურთიერთკავშირს. აღმოჩნდა, რომ ტრავმული გამოცდილების მქონე სტუდენტებს უფრო მეტად აღენიშნებოდათ პოსტტრავმული ზრდა, ვიდრე მათ ვისაც არ ჰქონდა ასეთი გამოცდილება. დამატებით, სამყაროს შესახებ წარმოდგენები აღმოჩნდა მედიატორი ორაზროვნებისადმი მიმდებლობას და პოსტტრავმულ ზრდას შორის იმ ჯგუფთან, რომელსაც არ ჰქონდა ტრავმული გამოცდილება. სხვა სიტყვებით, იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდი ნაკლებ მუქარის შემცველად თუ უსიამოვნოდ ხედავს ორაზროვან სიტუაციას, მით უფრო დადებითია სამყაროს შესახებ წარმოდგენები და შესაბამისად პოსტტრავმული ზრდა (Bayer, Lev-Wiesel & Amir, 2007).

არსებობს კვლევები (Dekel, Solomon, Elklit, & Ginzburg, 2004) სადაც ირიბად ნაჩვენებია ცვლილებები სამყაროს შესახებ წარმოდგენები, რომელიც გარკვეულ ტრავმულ გამოცდილებას მოჰყვება, როგორცაა შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობა ან ომთან დაკავშირებულ ძალადობას და წამებას (Magwaza, 1999). დანაკარგის შემთხვევაში, მაგალითად, სტუდენტები, რომელთაც მშობელი დაკარგეს, სამყაროს ნაკლებ საზრიანს ხედავენ, თუმცა განსხვავება სამყაროს კეთილმოსურნეობის და საკუთარი თავის ღირსებას შორის საკონტროლო და ძირითად ჯგუფთან განსხვავება

არ აღმოჩნდა (Schwartzberg & Janoff-Bulman, 1991). მშობლების, ვინც შვილი დაკარგეს, პირიქით, აღენიშნებოდათ დაბალი დონე სამყაროს კეთილმოსურნეობის და საკუთარი თავის ღირსების სკალაზე და არა სამყაროს საზრიანობის (Matthews & Marwit, 2004).

თავი 5 კვლევის საკითხის განსაზღვრა

მრავალი თეორიული სპეკულაციის და შესაბამისად, ემპირიული კვლევების მომრავლების მიუხედავად, საზრისის ძიების მოდელის ემპირიული დადასტურების შესახებ კვლევები მაინც მწირია. ეს შესაძლოა ამ თეორიის მრავალკომპონენტურობის და მეთოდოლოგიური სირთულის გამოა.

მიმოხილული კვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ პოსტტრავმულ ზრდაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. საზრისის ძიების მოდელის მიხედვით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ შეაფასებს ინდივიდი ტრავმულ სიტუაციას? რა ტიპის შეფასება შეიძლება უწყობდეს ხელს პოსტტრავმული ზრდას? რამდენად დიდია განსვლა მის ზოგად შეხედულებებსა და სიტუაციურ საზრისს შორის და გლობალური საზრისის რომელი კომპონენტები ირღვევა არსებული შეფასებით? დაძლევის რომელი სტრატეგიაა უფრო ეფექტიანი რელიგიური თუ მნიშვნელობის მინიჭების გზით დაძლევა? წინამდებარე კვლევა სწორედ ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად. წინამდებარე კვლევა ეფუძნება საზრისის ძიების თეორიას და მის მიზანს წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის ცალკეული სავარაუდო პრედიქტორების, როგორცაა სამყაროს შესახებ წარმოდგენების, რელიგიურობის, დაძლევის სტრატეგიების, გლობალური საზრისის დარღვევის და ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების კვლევა იძულებით ადგილნაცვალი პირების, როგორც ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდების მაგალითზე.

კვლევის პირველი ნაწილის ჰიპოთეზებია:

(1) სამყაროს შესახებ წარმოდგენების, რელიგიურობა, გლობალური საზრისის დარღვევა და დაძლევის სტრატეგიები პოზიტიურ კავშირში უნდა იყოს პოსტტრავმული ზრდასთან;

(2) ტრავმული სიტუაციის შეფასება კავშირში უნდა იყოს პოსტტრავმულ ზრდასთან, კერძოდ, ტრავმული სიტუაციის, როგორც გამოწვევის შეფასების შემთხვევაში, ინდივიდებს უნდა აღენიშნებოდეთ პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი.

კვლევის მეორე ნაწილის მიზანი და ჰიპოთეზები:

ზემოთაღნიშნული ჰიპოთეზების გარდა, კვლევა ასევე ისახავს მიზნად ჰიპოთეტური მოდელის შექმნას, რომელიც ერთის მხრივ დაგვანახებს სხვადასხვა ცვლადს შორის პირდაპირ და მედიაციურ კავშირებს და მეორეს მხრივ, კონცეპტუალური მოდელის ჩვენ შერჩევაზე მორგებას. ამ მოდელის მიზანია რელიგიურობის როგორც პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორი ფაქტორის შესწავლა, ამავე დროს რელიგიური და საზრისისეული დაძლევის მედიატორ ფაქტორებად მოაზრება.

აღნიშნული მოდელის სპეციფიკური მიზნებიდან გამომდინარე, პოსტტრავმული ზრდის ფენომენი პირობითად დავყავით „ზოგად“ და „სულიერ“ (spiritual) ასპექტებად და დავაკავშირეთ რელიგიურ და 'სეკულარულ' ანუ მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის სტრატეგიებთან.

კონკრეტული ჰიპოთეზები მდგომარეობს შემდეგში:

პირდაპირი კავშირები:

- რელიგიურობაკავშირში იქნება სულიერ პოსტტრავმულ ზრდასთან; კერძოდ, რელიგიური ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი სულიერი პოსტტრავმული ზრდის მაღალ მაჩვენებელთან იქნება კავშირში;
- რელიგიური დაძლევა კავშირში იქნება სულიერ პოსტტრავმულ ზრდასთან;

- რელიგიურობადა რელიგიური დაძლევა არ იქნებაპირდაპირ კავშირში ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან;
- მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევა კავშირში იქნება ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან;
- მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევა არ იქნება პირდაპირ კავშირში სულიერ პოსტტრავმულ ზრდასთან;
- სულიერი პოსტტრავმული ზრდა კავშირში იქნება ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან.

მედიაციური კავშირები

- რელიგიურობისგავლენა ზოგად პოსტტრავმულ ზრდაზე მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის გავლით იქნება;კერძოდ, ინდივიდები ვისაც აღენიშნება მაღალი რელიგიურობა არ აღენიშნებათ ზოგადი პოსტტრავმული ზრდა, თუ არ მიმართეს მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევას;
- რელიგიურობისგავლენა სულიერ პოსტტრავმულ ზრდაზე რელიგიური დაძლევის გავლით იქნება; კერძოდ, მაღალი რელიგიურობის მაჩვენებლის მქონე ინდივიდებს სულიერი პოსტტრავმული ზრდა აღენიშნებათ რელიგიური დაძლევის გამოყენების გავლით;
- მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევისგავლენა სულიერ პოსტტრავმულ ზრდაზე რელიგიური დაძლევის გავლით მოხდება; კერძოდ, მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდებს სულიერი პოსტტრავმული ზრდა აღენიშნებათ რელიგიური დაძლევის გამოყენების გავლით.

კვლევის მესამე ნაწილის ჰიპოთეზებია:

- გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტი იმეორებს ავტორების მიერ შემოთავაზებულ ფაქტორულ სტრუქტურას ქართულ რეალობაში

წინამდებარე კვლევის მიზნიდან და შესამოწმებელი ჰიპოთეზებიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. სამყაროს შესახებ წარმოდგენების, რელიგიურობის და პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლების განსაზღვრა და ამ სამ ცვლადს შორის ურთიერთმიმართების ბუნების კვლევა. აღნიშნული საფეხურის შესაბამისი ამოცანები:

- სამყაროს შესახებ წარმოდგენების ძირითადი ფაქტორების და სკალების მაჩვენებლების მიმართების განსაზღვრა პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და სკალებთან კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეშვეობით;
- რელიგიურობის სკალის საერთო ქულის და ძირითადი ფაქტორების მიმართების განსაზღვრა პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და სკალებთან კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეშვეობით;
- მნიშვნელობის მინიჭებით დამღვევის მიმართების განსაზღვრა პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და სკალებთან კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეშვეობით;
- გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევი სკალის საერთო ქულის და ძირითადი ფაქტორების მიმართების განსაზღვრა პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და სკალებთან კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეშვეობით;

- ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების ძირითადი ფაქტორების მიმართების განსაზღვრა პოსტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და სკალებთან კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეშვეობით;
- რელიგიურობის საერთო ქულის და ძირითადი ფაქტორების მიმართების განსაზღვრა ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების ფაქტორებთან კორელაციური ანალიზის მეშვეობით.

2. საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმებისთვის დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

- კონცეპტუალური მოდელის მიხედვით SPSS Amos-ის დახმარებით პოსტრავმული ზრდის პრედიქტორი ფაქტორების ჰიპოთეტური მოდელის შექმნა;
- ჰიპოთეტური მოდელის მორგების მაჩვენებლების შემოწმება;
- რელიგიურობის რელიგიური და მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის პირდაპირი კავშირების დადგენა პოსტრავმულ ზრდასთან;
- რელიგიური და მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის მედიატორი როლის ნახვა პოსტრავმული ზრდისთვის.

3. გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევი კითხვარის (GMVS) ქართული ვერსიის შექმნა, რაც თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ინსტრუმენტის თარგმნა
- თარგმანის გადამოწმება საპირისპირო თარგმანის საშუალებით
- ექსპერტების მიერ შინაარსის ვალიდობის შეფასება
- კითხვარის პილოტაჟი

- კითხვარის რედაქტირება
- კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენა

თავი 6 კვლევის მეთოდი

სადისერტაციო ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება:

I ნაწილი - რელიგიურობის, სამყაროს შესახებ წარმოდგენების, გლობალური საზრისის დარღვევის, ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართების კვლევა;

II ნაწილი - საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმება (სტრუქტურული განტოლების მოდელი);

III ნაწილი - გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევი კითხვარის (GMVS) ქართული ვერსიის შექმნა.

6.1. რელიგიურობის, სამყაროს შესახებ წარმოდგენების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება

კვლევის პირველი ნაწილი მიზნად ისახავდა 2008 წლის ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული პირების კვლევას, კერძოდ, რელიგიურობის, სამყაროს შესახებ წარმოდგენების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართების დადგენას.

კვლევის მონაწილეები

კვლევის პირველ ნაწილში მონაწილეობას იღებდა 190 იძულებით გადაადგილებული პირი.

- ✓ სქესი - 102 (53.7%) მდედრობითი და 88 (46.3%) მამრობითი სქესის წარმომადგენელი
- ✓ ასაკი - კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 17- დან 85 წლამდე (M=40.09 SD=15.52)
- ✓ განათლება- მონაწილეთა 3.2% -ს სტუდენტები წარმოადგენდნენ, 13.7%-ს პროფესიული განათლების მქონე, 51.6 % - უმაღლესი განათლების მქონე პირები, 30.5% საშუალო განათლების მქონე პირები, არასრული საშუალო განათლების მქონე პირები - 1.1 %
- ✓ ოჯახური მდგომარეობა - მონაწილეთა 56.3% დაოჯახებულია, 30%- დასაოჯახებელი, 4.2% - განქორწინებული, 8.4%- ქვრივი, 1.1% - უცნობია.
- ✓ დასაქმება - 42.1% დასაქმებულია, 45.3% -დაუსაქმებელია, 2.6% - უცნობია

პროცედურა

კითხვარების ადმინისტრირება ხდებოდა იძულებით ადგილნაცვალ პირთა დასახლებებში, მათ საცხოვრებელ კოტეჯებში, ინდივიდუალურად. კითხვარების ადმინისტრირებას ახორციელებდა მკვლევართა ჯგუფი (სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები და ერთი დოქტორანტი). თითოეული ოჯახის სხვადასხვა წევრთან პარალელურად კითხვარის ადმინისტრირებას რამდენიმე მკვლევარი ახორციელებდა. ოჯახებს თავდაპირველად მიეწოდებოდათ კვლევაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობის ფურცელი, სადაც ისინი ადასტურებდნენ მონაწილეობის სურვილს. შემდგომ მიეწოდებოდათ სტანდარტული ინსტრუქცია:

“გამარჯობა! ჩვენ გახლავართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტიდან. ვატარებთ კვლევას იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ. ჩვენს კვლევაში მონაწილეობის მიღებას შეუძლიათ 17-დან 85 წლამდე პირებს. კვლევა ეხება ტრავმული სიტუაციის შემდეგ ცვლილებების და გამკლავების გზების შესწავლას. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ პასუხების გაცემა ნებისმიერ დროს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ყველა თქვენი პასუხი ანონიმური იქნება და სახელი და გვარი არ დაფიქსირდება. თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია და კვლევის შედეგები დამოკიდებულია თქვენს თანმხმობაზე.”

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს წეროვანის დასახლებაში მცხოვრებმა პირებმა, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი.

კვლევის ინსტრუმენტები

I. პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი

თეორიული მოდელი. პოსტტრავმული ზრდის კითხვარი (Posttraumatic Growth Inventory, Tedeschi & Calhoun, 1996) ეფუძნება პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციულ მოდელს, რომელიც ტედესქის და ქალჰოუნის (1995) მიერ არის შემოთავაზებული. კითხვარი მოიცავს სამ ძირითად განზომილებას, რომელიც ეხება ცვლილებებს (1) საკუთარი თავის აღქმაში, (2) სხვებთან ურთიერთობებში და (3) ცხოვრების ზოგად ფილოსოფიაში. პოსტტრავმული ზრდის კითხვარში აღნიშნული სამი განზომილება ხუთი ძირითადი ფაქტორის სახით არის წარმოდგენილი.

კვლევის ინსტრუმენტი: პოსტტრავმული ზრდის კითხვარი (Tedeschi & Calhoun, 1996) წარმოადგენს თვით-ადმინისტრირებად საზომს და შედგება 21 დებულებისგან (შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებელი კრონბახის ალფა $\alpha = .90$)

თითოეული დებულების შეფასებისას, ინდივიდი მიუთითებს სტრესული/ტრავმული სიტუაციის შედეგად ცხოვრებაში გამოწვეული ცვლილებების ხარისხს. პასუხების შეფასება ხდება 6 ბალიანი ლაიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით 0-დან (ცვლილება სრულიად არ მომხდარა) 5-მდე (ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა). კითხვარი აფასებს ტრავმის შემდგომ ცვლილებას ხუთი განზომილების მიხედვით, ესენია:

1. სხვებთან ურთიერთობის სკალა აფასებს სხვა ადამიანებთან ძლიერი კავშირის განცდას, სიახლოვეს და სხვა ადამიანების მიმართ თანაგრძნობას, განსაკუთრებით, მათი გრძნობების გაზიარებას ვინც მსგავს მდგომარეობაში იმყოფება (მაგ. „სიახლოვის მეტი განცდა მაქვს სხვა ადამიანებთან“, სხვებს უფრო მეტად თანავუგრძნობ“).
2. ახალი შესაძლებლობები აფასებს ინდივიდის მიერ ახალი ცხოვრების გზის დასახვას, ახალი ინტერესების გაჩენას და ახალი საქმიანობით დაკავებას (მაგ. „ცხოვრების ახალი გზა დავისახე“, „ახლა ახალი შესაძლებლობები მაქვს, რაც სხვა შემთხვევაში არ მექნებოდა“)
3. პიროვნული სიძლიერე აფასებს ინდივიდის მიერ ტრავმული გამოცდილების გადალახვის შემდეგ განცდილ პიროვნულ სიძლიერეს. ის რაც ადამიანისთვის წარსულში იყო შეუძლებელი, ახლა ასე აღარ აღიქმება. (მაგ. „აღმოვაჩინე, რომ უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა,“ „უფრო დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია სირთულეების გადალახვა“).
4. სულიერი ცვლილება ეხება სულიერი, რელიგიური და სხვა ფუნდამენტური საკითხების შესახებ არსებული რწმენა-შეხედულებების გადაფასებას. ამ განზომილებაზე ცვლილებები შესაძლოა ასევე განიცადონ მათ ვინც არ არის რელიგიური. სხვა სიტყვებით, ინდივიდები შესაძლოა ჩაერთონ ფუნდამენტურ ეგზისტენციალურ კითხვებში და ეს ჩართულობა თავისთავად უკვე წარმოადგენს

ზრდას (მაგ. „ახლა მეტად მესმის სულიერი (არამხოლოდ რელიგიური) საკითხები,“, „უფრო მყარი რელიგიური რწმენა მაქვს“).

5. ცხოვრების დაფასება ეხება ცხოვრებისეული ღირებულებების ცვლილებას. აღნიშნული სკალა აფასებს ტრავმული გამოცდილების შემდეგ ინდივიდის მიერ ცხოვრების დაფასებას, ცხოვრებისეული პრიორიტეტების ცვლილებას. პრიორიტეტების ცვლილებას ხშირად მოყვება მეტი დაფასება იმის, რაც ადამიანს გააჩნია, თითქოს „დეტალების“ მნიშვნელობის გაზრდა, როგორცაა მაგალითად, ბავშვის ღიმილი და მასთან დროის გატარება, რაც თითქოს ადრე ითვლებოდა ისე რომ ეს ასეც უნდა იყოფილიყო (მაგ. „ჩემი სიცოცხლე ახლა უფრო დავაფასე“, „მე შევცვალე შეხედულებები იმის შესახებ თუ რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში“).

ჩვენი შერჩევითვის სანდოობის მაჩვენებელი ცალკეული სკალებისა და საერთო მაჩვენებლისთვის შემდეგია:

- სხვებთან ურთიერთობის - $\alpha = .77$
- ახალი შესაძლებლობების - $\alpha = .85$
- პიროვნული სიძლიერის - $\alpha = .72$
- სულიერი ცვლილებები - $\alpha = .87$
- ცხოვრების დაფასება - $\alpha = .66$
- პოსტტრავმული ზრდის სკალის საერთო მაჩვენებელი - $\alpha = .84$

II. სამყაროს შესახებ წარმოდგენების სკალა

თეორიული მოდელი: სამყაროს შესახებ წარმოდგენების სკალა (The World Assumptions Scale, Janoff-Bulman, 1989) მჭიდრო კავშირშია ჯანოფ-ბულმანის (Janoff-Bulman, 1992) დამსხვრეული წარმოდგენების თეორიასთან, რომელმაც ტრავმის ფსიქოლოგიაში დიდი

აღიარება დაიმსახურა. ამ თეორიის მიხედვით, ტრავმული მოვლენები გავლენას ახდენს ადამიანის კოგნიტურ სფეროზე და შესაძლოა მათი წარმოდგენები და შეხედულებები სამყაროს, სხვებისა და საკუთარი თავის შესახებ დაიმსხვრეს. სწორედ ამ შეხედულებების შეფასების მიზნით შეიქმნა აღნიშნული სკალა.

კვლევის ინსტრუმენტი:

ჯანოფ-ბულმანის სამყაროს შესახებ წარმოდგენების სკალა (The World Assumptions Scale, Janoff-Bulman, 1989), მოიცავს სამ ძირითად სკალას:

- (1) სამყაროს კეთილმოსურნეობის სკალა - ეხება ადამიანების მიერ სამყაროს პოზიტიური თუ ნეგატიური შეფასების ხარისხსა და შეხედულებებს კარგი და ცუდი მოვლენების თანაფარდობის შესახებ. ეს შეხედულება განსაკუთრებით მოიცავს სამყაროს და სხვა ადამიანების კეთილმოსურნეობის იმპლიციტურ ბაზისს ადამიანში. რაც უფრო მეტად სჯერათ ადამიანებს სამყაროს კეთილმოსურნეობის, მით უფრო მეტად აქვთ რწმენა, რომ ეს სამყარო კარგი ადგილია და უიღბლობებიც ნაკლებად ხდება. რაც უფრო მეტად სჯერათ მათ სხვების კეთილმოსურნეობის, მით უფრო მეტად აქვთ რწმენა, რომ ადამიანები საერთოდ არიან კარგების, კეთილები, დამხმარე და მზრუნველები.
- (2) სამყაროს საზრიანობის სკალა - ეხება ადამიანების მიერ სამყაროში არსებული სამართლიანობის, კარგი და ცუდი მოვლენების კანონზომიერების და შემთხვევითობის შესახებ შეხედულებებს. ეს განზომილება სამი ძირითადი პრინციპის მიხედვით შეიძლება აიხსნას. პირველი პრინციპის მიხედვით, ადამიანებს სჯერათ, რომ ის რასაც ცხოვრებაში იღებენ შედეგად, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით ხდება. სხვა სიტყვებით, ადამიანები იღებენ იმას, რასაც იმსახურებენ. მეორე პრინციპი ეხება იმას, თუ ისინი თავად რამდენად აკონტროლებენ საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, მაგალითად, შეუძლიათ თუ არა თავიდან აიცილონ მათთვის

ნეგატიური მოვლენები. მესამე პრინციპი ეხება მოვლენების მოხდენის შემთხვევითობას. ამ შემთხვევაში ადამიანები გამორიცხავენ ამათუიმ მოვლენის გამომწვევ მიზეზად სამართლიანობას თუ კონტროლირებადობას და აღიქვამენ, როგორც შემთხვევითს. ეს კონკრეტული შეხედულება ხშირად ასოცირდება ადამიანის მოწყვლადობის მაღალ დონესთან.

(3) საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების სკალა ეხება ადამიანის საკუთარ თავზე წარმოდგენებს, როგორცაა რომ ისინი არიან კარგი და ღირსეული ადამიანები.

აღნიშნული ინსტრუმენტი 32 დებულებისაგან შედგება. თითოეულ დებულება ფასდება ლაიკერტის ტიპის 6 ბალიან სკალაზე, (1– სრულიად ვეთანხმები და 6 – სრულიად არ ვეთანხმები). აღნიშნული სამი ძირითადი განზომილება მოიცავს 8 სუბსკალას:

- სამყაროს კეთილმოსურნეობა
- ადამიანების კეთილმოსურნეობა
- სამართლიანობა
- სამყაროს კონტროლირებადობა
- შემთხვევითობა
- თვითკონტროლი
- საკუთარი მე
- იღბალი

ჩვენი შერჩევითვის სანდოობის მაჩვენებელი ცალკეული სკალებისა და საერთო მაჩვენებლისთვის შემდეგია:

- სამყაროს კეთილმოსურნეობის სკალა - $\alpha = .71$
- სამყაროს საზრიანობის სკალა - $\alpha = .70$

- საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების სკალა - $\alpha = .71$
- სამყაროს შესახებ წარმოდგენების სკალის საერთო მაჩვენებელი - $\alpha = .75$

III. დაძლევის სტრატეგიების კითხვარი

თეორიული მოდელი: დაძლევის სტრატეგიების კითხვარის (COPE Inventory, Carver, Scheier, & Weintraub, 1989) თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქარვერის და შეიერის (Carver & Scheier, 1998) მიერ შემოთავაზებული თვით-რეგულაციის თეორია. თავად ეს ავტორები ასევე ეყრდნობიან ლაზარუსის და ფოლკმანის (Lazarus & Folkman, 1984) სტრესის და დაძლევის ტრანსაქციულ მოდელს, რომლის მიხედვით, სტრესი განისაზღვრება ადამიანის და გარემოს ურთიერთქმედებით. აღნიშნული ინსტრუმენტი აერთიანებს პრობლემაზე და ემოციაზე ფოკუსირებულ დაძლევას. პირველი სტრატეგიის დროს, ადამიანი ცდილობს პრობლემის პირდაპირ გადაჭრას ან სტრესული სიტუაციის გამომწვევი წყაროს შეცვლას; ხოლო მეორე შემთხვევაში - სტრესული სიტუაციის მიერ გამოწვეული დისტრესის შემცირებას/მართვას.

კვლევის ინსტრუმენტი: დაძლევის სტრატეგიების საკვლევი ინსტრუმენტი მოიცავს დაძლევის დისფუნქციურ და ფუნქციურ სტრატეგიებს. თითოეული სუბსკალა არის უნიპოლარული, რაც ნიშნავს იმას, რომ სკალის ერთი პასუხის არარსებობა, არ ნიშნავს მეორე, საწინააღმდეგო პასუხის არსებობას. დებულებები ძირითადად 3 ფორმატით არის წარმოდგენილი: (1) „დისპოზიციური“ ან პიროვნული ნიშნის ვერსია, სადაც ადამიანები გამოხატავენ თუ რამდენად ებმებიან კითხვარში ჩამოთვლილ ქცევებში სტრესული სიტუაციის დროს; (2) წარმოადგენს უფრო დროში შეზღუდულ ვერსიას, როცა ადამიანები კონკრეტულად გამოხატავენ თუ რამდენად ხშირად მიუმართავთ ამათუიმ ქცევისთვის წარსულში; (3) წარმოადგენს ასევე დროში შეზღუდულ ვერსიას,

როცა ადამიანები გამოხატავენ თუ რამდენად არიან ჩართული ამათუიმ ქცევაში კონკრეტული პერიოდიდან დღემდე. სრული კითხვარი შედგება სულ 15 სკალისა და 60 დებულებისგან. მონაწილეები თითოეულ დებულებას ლაიკერტის ტიპის 4 ბალიან სკალაზე აფასებენ (1 - ჩვეულებრივ, ამას საერთოდ არ ვაკეთებ და 4 - ჩვეულებრივ, ამას ხშირად ვაკეთებ). აღნიშნული კვლევის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა მხოლოდ სამი სუბსკალა:

- პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა - სტრესული სიტუაციის პოზიტიური ინტერპრეტაცია, ასევე ნეგატიური ემოციების მართვა. მაგალითად: „ვეძებ რაიმე კარგს იმაში, რაც მოხდა.“
- მიმდებლობა - დაძლევის ორ ასპექტს მოიცავს, რომელთაგან ერთი ნიშნავს პირველადი შეფასებისას სტრესორის როგორც რეალურად/ადექვატურად შეფასებას; ხოლო მეორე მიუთითებს დაძლევის აქტიური სტრატეგიების არ ქონის მიმდებლობაზე. მაგალითად: „ვეფუები და ვეჩვევი იმ აზრს, რომ ეს მოხდა.“
- რელიგიური დაძლევა - სტრესული სიტუაციის დროს რელიგიისთვის მიმართვა, რადგან ხშირად რელიგია არის ემოციური მხარდაჭერის წყარო, ასევე დადებითი შეფასების და ზრდის ბიძგის მიმცემი. მაგალითად: „ვცდილობ შვების პოვნას საკუთარ აღმსარებლობაში.“

ჩვენი შერჩევითვის სანდოობის მაჩვენებელი ცალკეული სკალებისათვის შემდეგია:

- რელიგიური დაძლევა- $\alpha = .75$
- პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა - $\alpha = .66$
- მიმდებლობა - $\alpha = .55$

IV. ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების სკალა

თეორიული მოდელი: ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების სკალა (ALE - Appraisal of Life Events Scale, Ferguson, Matthews & Cox, 1999) ეყრდნობა ლაზარუსის და ფოლკმანის (1984) სტრესის ტრანსაქციულ მოდელს. სტრესის ტრანსაქციული მოდელი მოიცავს სტრესული სიტუაციის/სტრესორის შეფასების ორ ტიპს: პირველადს (ინდივიდი აფასებს კონკრეტული სიტუაციის ბუნებას საკუთარ კარგად-ყოფნასთან მიმართებაში) და მეორადს ((ინდივიდი აფასებს დამღევის არსებული რესურსების ხელმისაწვდომობას).

კვლევის ინსტრუმენტი აღნიშნული სკალა წარმოადგენს სტრესული სიტუაციის სამი პირველად შეფასების სამგანზომილებიან ინსტრუმენტს. ეს განზომილებებია:

- (1) საფრთხე გარემო, რომელიც არამხოლოდ საფრთხის შემცველია, არამედ შესაძლოა ფიზიკურად იყოს დამაზიანებელი და ზოგად შფოთვას უწყობდეს ხელს (მაგ: ზიანის მომტანი, საშიში)
- (2) გამოწვევა გარემო, რომელიც აღქმულია როგორც პიროვნული ზრდის და განვითარების საშუალების მიმცემი (მაგ: ინფორმატიული, სტიმულის მომცემი)
- (3) დანაკარგი გარემო, რომელიც დაკავშირებულია დარდთან
(მაგ: ტკივილი, გაუსაძლისობა) და დამწუხრებასთან (დეპრესიული).

კითხვარი შედგება ზედსართავი სახელების ჩამონათვალისგან და ერთიანდება აღნიშნულ 3 სკალაზე. ინსტრუმენტი მთლიანად მოიცავს 16 დებულებას. მონაწილეები ზედსართავ სახელებს აფასებენ ლაიკერტის ტიპის სკალაზე 0-დან (საერთოდ არა) 5 - მდე (სრულიად). კითხვარი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რეტროსპექტულად (წარსული სტრესული სიტუაციების) და ასევე მიმდინარე სტრესული მოვლენების

შესაფასებლად. თუმცა პირველადი შეფასებები ეხება სიტუაციურ მახასიათებლებს, ადამიანის მიერ სიტუაციის აღქმას, გარკვეულწილად, ის ასევე კავშირშია ფსიქოლოგიური რეაქციების აღმოცენებთან (Locke & Pennington, 1982). ჩვენი შერჩევითვის სანდოობის მაჩვენებელი ცალკეული სკალებისა და საერთო მაჩვენებლისთვის შემდეგია:

- საფრთხე - $\alpha = .88$
- გამოწვევა - $\alpha = .71$
- დანაკარგი - $\alpha = .79$
- საერთო მაჩვენებელი - $\alpha = .86$

V. რელიგიურობის სკალა

თეორიული მოდელი. რელიგიურობის სკალა (The Religious Commitment Inventory-10, Worthington, Wade, Hight, Ripley, McCullough, Berry, Schmitt, Berry, Bursley, & O'Conner, 2003) ეყრდნობა ვორსინგტონის (1988) რელიგიური ღირებულებების მოდელს, რომელიც შექმნილ იქნა კონსულტირების დროს როგორც მოკლე სკრინინგ ინსტრუმენტი.

კვლევის ინსტრუმენტი წარმოადგენს ინდივიდის რელიგიურობის მოკლე 10-დებულებიან შესაფასებელ სკალას. კერძოდ, იგი ზომავს თუ რამდენად იცავს და მიჰყვება ადამიანი საკუთარ რელიგიურ რწმენებს, ღირებულებებს და წესებს და შესაბამისად რამდენად იყენებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მონაწილეები თითოეულ დებულებას ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე აფასებენ 1 (საერთოდ არ ვეთანხმები) და 5 (სრულიად ვეთანხმები). რელიგიურობის ინსტრუმენტი მოიცავს, როგორც საერთო მაჩვენებელს, ასევე ინტერპერსონალურ (მაგ: „მე მიყვარს დროის

გატარება მრევლის სხვა წევრებთან“)და ინტრაპერსონალურ (მაგ: „რელიგიური რწმენები ყველაფერზე ახდენს გავლენას ჩემ ცხოვრებაში“) სკალებს.

ჩვენი შერჩევითვის სანდოობის მაჩვენებელი ცალკეული სკალებისა და საერთო მაჩვენებლისთვის შემდეგია:

- ინტრაპერსონალური - $\alpha = .86$
- ინტერპერსონალური - $\alpha = .76$
- საერთო მაჩვენებელი - $\alpha = .88$

6.2. საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმება (სტრუქტურული განტოლების მოდელი)

კვლევის მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა ასევე 2008 წლის ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული პირების შერჩევაზე საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიულ შემოწმებას, კერძოდ, სულიერი და ზოგადი პოსტრავმული ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების (რელიგიურობა, რელიგიური და 'სეკულარული' დაძლევა) ცალკეული და კომბინაციური გავლენის კვლევას.

კვლევის მონაწილეები

კვლევის მეორე ნაწილის მონაწილეებს წარმოადგენენ კვლევის პირველი ნაწილის მონაწილეები, სულ 190 იძულებით გადაადგილებული პირი (დეტაური ინფორმაცია იხ. კვლევის პირველი ნაწილის მონაწილეების სექციაში).

პროცედურა

კვლევის პროცედურაც მეორე ნაწილისთვის იყო კვლევის პირველი ნაწილის იდენტური (დეტაური ინფორმაცია იხ. კვლევის პირველი ნაწილის პროცედურის სექციაში).

კვლევის ინსტრუმენტები

I. პოსტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი

კვლევის სპეციფიკური მიზნებიდან გამომდინარე, მეთოდოლოგიური შესაბამისობისთვის, პოსტრავმული ზრდის კითხვარი გაყოფილ იქნა ორ ნაწილად,

კერძოდ, სულიერ და ზოგად პოსტტრავმულ ზრდად. ორივე სულიერი და ზოგადი პოსტტრავმული ზრდის ფაქტორები წარმოადგენილია ლატენტური ცვლადებით. პოსტტრავმული ზრდის კითხვარის (Posttraumatic Growth Inventory, Tedeschi & Calhoun, 1996) შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია კვლევის პირველი ნაწილის ინსტრუმენტების სექციაში.

II. დაძლევის სტრატეგიების კითხვარი

კვლევის სპეციფიკური მიზნებიდან გამომდინარე, რელიგიურ დაძლევა, რომელიც ჩვენს ჰიპოთეტურ მოდელში წარმოადგენილია ლატენტური ცვლადის სახით, აერთიანებს აღნიშნული კითხვარის ერთ სუბსკალას, კერძოდ, ე.წ. რელიგიურ დაძლევას. რაც შეეხება 'სეკულარულ' იგივე, საზრისისეულ დაძლევას, ეს ლატენტური ცვლადი მოიცავს აღნიშნული კითხვარის ორ სუბსკალას, კერძოდ, პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა და მიმღებლობა. დაძლევის სტრატეგიების კითხვარის (COPE Inventory, Carver, Scheier, & Weintraub, 1989) შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია კვლევის პირველი ნაწილის ინსტრუმენტების სექციაში.

III. რელიგიურობის სკალა

რელიგიურობის სკალის (The Religious Commitment Inventory-10, Worthington, Wade, Hight, Ripley, McCullough, Berry, Schmitt, Berry, Bursley, & O'Conner, 2003) შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია კვლევის პირველი ნაწილის ინსტრუმენტების სექციაში.

6.3. გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევ კითხვარის (GMVS) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე

გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევ კითხვარის ადაპტაციის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. კითხვარის ადაპტაციის პირველ ეტაპზე გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევ კითხვარი ინგლისურიდან ითარგმნა და შეიქმნა კითხვარის ქართულენოვანი ვერსია. ადაპტაციის შემდეგი საფეხურები მოიცავდა კითხვარის ადმინისტრირებას, მიღებული შედეგების დამუშავებასა და ანალიზს. განვიხილოთ თითოეული ეტაპი დეტალურად:

(1) პირველი ეტაპზე კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად მომზადდა ორი ურთიერთდამოუკიდებელი თარგმანი. კითხვარი ითარგმნა სფეროს ექსპერტისა და კვალიფიციური თარჯიმნის მიერ. დამოუკიდებელი თარგმანების შეჯერებისა და თითოეული თარგმნილი დებულების შედარების შედეგად შეიქმნა კითხვარის პირველი ქართული ვერსია.

(2) შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით კითხვარის 14 დებულება შეფასდა 3 ექსპერტის (აკადემიურ და პრაქტიკულ სფეროში მომუშავე ფსიქოლოგების) მიერ. ექსპერტები 5 ბალიანი ლიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით აფასებდნენ თუ, რამდენად შეესაბამებოდა კითხვარის ამა თუ იმ სკალას კითხვარში მოცემული დებულებები. ექსპერტების შეფასების მიხედვით კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე სამი დებულება (#10,11,12) გაერთიანდა.

(3) პილოტური კვლევის (50 მონაწილე) მონაცემთა განხილვის შედეგად, დამუშავდა და შეიცვალა ის დებულებები (სულ 3 დებულება), რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებდა სანდოობის დონეს.

(4) კითხვარის საბოლოო ვერსიის რედაქტირება მოხდა ქართული ენის ფილოლოგის მიერ

კვლევის მონაწილეები

კითხვარის ქართული ვერსიის შექმნის პროცესში მონაწილეობა მიიღო 392-მა ინდივიდმა.

შერჩევის აღწერა:

- ✓ კვლევის მონაწილეთა სქესი - კვლევაში მონაწილეობდა 238 (39.3 %) მდედრობითი და 154 (60.7%) მამრობითი სქესის წარმომადგენელი;
- ✓ ასაკი - კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 16- დან 85 წლამდე ($M=32.68$ $SD=14.49$)
- ✓ განათლება- მონაწილეთა 29.8% -ს სტუდენტები წარმოადგენდნენ, 6.6%-ს პროფესიული განათლების მქონე, 46.4 % - უმაღლესი განათლების მქონე პირები, 16.6% საშუალო განათლების მქონე პირები, არასრული საშუალო განათლების მქონე პირები - 0.5 %
- ✓ ოჯახური მდგომარეობა - მონაწილეთა 39.3% დაოჯახებულია, 39.5%- დასაოჯახებელი, 3.8% - განქორწინებული, 4.6%- ქვრივი, 12.8% - უცნობია.
- ✓ დასაქმება - 46.2% დასაქმებულია, 40.3% -დაუსაქმებელია, 13.5% - უცნობია
- ✓ საცხოვრებელი ადგილი - მონაწილეთა 51.5% არის დიდი ქალაქის მაცხოვრებელი, ხოლო 48.5% წეროვანის დასახლებაში მაცხოვრებელი პირები

კვლევის პროცედურა

კითხვარის საბოლოო ვერსიის მიღების შემდეგ კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 392-მა მონაწილემ. კითხვარის ადმინისტრირება ხდებოდა ჯგუფში და ინდივიდუალურად. კითხვარის ადმინისტრირებისას კვლევის მონაწილეები კითხვარის პასუხების ფურცელს ავსებდნენ სტანდარტული ზეპირი ინსტრუქციის შემდეგ. ზეპირი ინსტრუქცია მოიცავდა კვლევის მიზანს, კითხვარის

შესახებ ინფორმაციას და მითითებებს კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით. კითხვარის შევსების ინსტრუქცია, ასევე, მოცემული იყო კითხვარის დასაწყისშიც.

კვლევის ინსტრუმენტი

თეორიული მოდელი

გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევო ინსტრუმენტი ეფუძნება საზრისის ძიების თეორიულ მოდელს. ამ მოდელის მიხედვით (Park, 2005) სტრესული/ტრავმული სიტუაციის შედეგად დარღვეული გლობალური საზრისის აღდგენა მოხდება მაშინ, თუ აღნიშნული სტრესული/ტრავმული სიტუაციის შეფასება დიდ განსვლაში იმყოფება ადამიანის ზოგად/გლობალურ საზრისთან. სწორედ ამ განსხვავების შედეგად იწყება საზრისის ხელახალი ძიების მცდელობები. სტრესული ან ტრავმული სიტუაციით გამოწვეული დისტრესი, ამ მოდელის მიხედვით, განისაზღვრება იმით თუ რა ხარისხით ირღვევა ადამიანის გლობალური შეხედულებები ამავე სტრესული სიტუაციის შეფასებით. აღნიშნულ თეორიულ მოდელში გადამწყვეტი როლი სწორედ ამ დარღვევების შეფასებას ენიჭება.

კვლევის ინსტრუმენტი

გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევო ინსტრუმენტი (global meaning violation scale) აფასებს გლობალური საზრისის დარღვევის ხარისხს (Park, 2008; Park & Edmondson, 2009). გლობალური საზრისი შედგება გლობალური შეხედულებებისგან და მიზნებისგან. ეს ინსტრუმენტი გვაწვდის ინფორმაციას თუ რამდენად დაირღვა გლობალური შეხედულებები და მიზნები ტრავმული თუ სტრესული სიტუაციის შედეგად. რაც უფრო დიდია განსვლა სტრესული სიტუაციის შეფასებას და გლობალურ შეხედულებებს/მიზნებს შორის, მით უფრო მაღალია დისტრესი. სწორედ ეს განსვლა,

მოგვიანებით, ახალი გლობალური საზრისის შექმნის საფუძველი ხდება. პასუხების შეფასება ხდება 5 - ბალიანი ლიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით 1-დან (სრულიად არა) 5-მდე (სრულიად კი). კვლევის მონაწილეები აფასებენ თითოეულ დებულებას იმის მიხედვით, თუ რამდენად განსხვავებულია მათი შეხედულებები სტრესული სიტუაციის შემდგომ. ინსტრუმენტი მოიცავს სამ სკალას:

- რწმენების (beliefs) რღვევის სკალა შედგება 5 დებულებისგან, რომელიც აფასებს სტრესული სიტუაციის მიერ სამყაროს სამართლიანობის, სიკეთის, კანონზომიერების თუ სხვა გლობალური რწმენების დარღვევის ხარისხს. (მაგ: „რამდენად დაგერღვათ რწმენა სამყაროს სამართლიანობის შესახებ?“). მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს აღენიშნებათ გლობალური რწმენების დარღვევა სტრესულ სიტუაციის გამო.
- შინაგანი მიზნების (intrinsic goals) სკალა წარმოადგენს გარკვეულწილად შინაგან ღირებულებებს და ინდივიდებისთვის შინაგანი კმაყოფილების მომტანია.. აღნიშნული სკალა შედგება 7 დებულებისგან, რომელიც ეხება არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, როგორცაა მაგალითად, ურთიერთობების, ფიზიკური ჯანმრთელობის და შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნება. ამ სკალაზე მოცემული დებულებები მიუთითებს სწორედ შინაგანი მიზნების დარღვევაზე (მაგ: „რამდენად გეშლებათ ხელი იზრუნოთ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე?“). მაღალი ქულების მქონე ინდივიდები სტრესულ სიტუაციას აფასებენ მათთვის არსებული მდგომარეობის ხელისშემშლელად.
- გარეგანი მიზნების (extrinsic goals) სკალა შედგება 2 დებულებისგან, რომელიც აფასებს ინდივიდის მიღწევის სურვილებს და მისწრაფებებს, მაგალითად, სწავლა-განათლება ან სამსახურეობრივი წინსვლა (მაგ: „რამდენად გეშლებათ ხელი სწავლა-განათლებასა და სამსახურეობრივ ან სხვა ნებისმიერ საქმიანობის (მაგ. სასოფლო-სამეურნეო) კეთებაში?“). მაღალი ქულების მქონე ადამიანები

სტრუქტურულ სიტუაციას აფასებენ მათთვის სასურველი მდგომარეობის მიღწევის ხელისშემშლელად.

ჩვენი შერჩევითვის სანდოობის მაჩვენებელი ცალკეული სკალებისა და საერთო მაჩვენებლისთვის შემდეგია:

- რწმენები $\alpha = .64$
- შინაგანი მიზნები $\alpha = .85$
- გარეგანი მიზნები $\alpha = .67$
- საერთო მაჩვენებელი $\alpha = .84$

თავი 7 შედეგების აღწერა

7.1. სამყაროს შესახებ წარმოდგენების, რელიგიურობას, მნიშვნელობის მინიჭების გზით დ აძლევის და პოსტტრავმულ ზრდას შორის ურთიერთმიმართება

7.1.1. სამყაროს შესახებ წარმოდგენებსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის ურთიერთკავშირი

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-19-ის (SPSS Inc, Chicago, IL) დახმარებით. მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პიროსონის r კორელაციის კოეფიციენტი)² აღმოჩნდა, რომ პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელს, ცალკეულ ფაქტორებსა და სამყაროს შესახებ წარმოდგენების მაჩვენებლებს შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N1).

პოსტტრავმული ზრდის გლობალურ მაჩვენებელს და სამყაროს შესახებ წარმოდგენების ცალკეულ მაჩვენებლებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- პოსტტრავმული ზრდის საერთო ქულა საშუალო დადებით კავშირშია სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამყაროს კეთილმოსურნეობის ($r = .35, p < .01$), სამყაროს საზრიაანობის ($r = .25, p < .01$), და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების სკალასთან ($r = .35, p < .01$).

რაც შეეხება პოსტტრავმული ზრდის საერთო ქულის მიმართებას სამყაროს შესახებ წარმოდგენების სუბსკალებთან, აღმოჩნდა, რომ

პოსტტრავმული ზრდის საერთო ქულა საშუალო დადებით კავშირშია სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამყაროს კეთილმოსურნეობის ($r = .35, p < .01$), ადამიანების სიკეთის ($r = .25, p < .01$), სამართლიანობის ($r = .16, p < .01$),

კონტროლის ($r = .25, p < .01$), თვითკონტროლის ($r = .25, p < .01$) და იღბალის ($r = .25, p < .01$) სუბსკალებთან.

- პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს სტატისტიკურად სანდო კავშირი არ აქვს შემთხვევითობის და საკუთარი მე-ს სკალებთან.

პოსტტრავმული ზრდის ცალკეულ სკალებს და სამყაროს შესახებ წარმოდგენების ცალკეულ სკალებს შორის შემდეგი კავშირები გამოვლინდა:

- *სხვებთან ურთიერთობის სკალა* საშუალო დადებით კორელაციურ კავშირშია ($r = .35, p < .01$) სამყაროს კეთილმოსურნეობის სკალასთან და სამყაროს საზრიანობის სკალასთან ($r = .25, p < .01$).

კორელაცია არ არის სტატისტიკურად სანდო სხვებთან ურთიერთობის სკალასა და საკუთარი თავისადმის დამოკიდებულების სკალას შორის.

- *ახალი შესაძლებლობების სკალა* სუსტ დადებით კორელაციაშია ($r = .16, p < .05$) საკუთარი თავის დამოკიდებულების სკალასთან.

კორელაცია არ არის სტატისტიკურად სანდო ახალი შესაძლებლობების სკალასა, სამყაროს კეთილმოსურნეობის სკალას და სამყაროს საზრიანობის სკალებს შორის.

- *პიროვნული სიძლიერის სკალა* დადებით კავშირშია სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამივე სკალასთან: სამყაროს კეთილმოსურნეობის ($r = .19, p < .01$), სამყაროს საზრიანობის ($r = .19, p < .01$) და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების ($r = .33, p < .01$) სკალებთან.

- *სულიერი ცვლილების სკალა* სუსტ კორელაციურ კავშირშია სამყაროს კეთილმოსურნეობის სკალასთან ($r = .27, p < .01$).

სულიერი ცვლილების სკალა არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო კორელაციაში სამყაროს საზრიანობის და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების სკალებთან.

- ცხოვრების დაფასების სკალა დადებით კავშირშია სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამივე სკალასთან: სამყაროს კეთილმოსურნეობის ($r = .30, p < .01$), სამყაროს საზრიანობის ($r = .19, p < .01$) და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების ($r = .25, p < .01$) სკალებთან.

ცხრილი N1 . პოსტტრავმული ზრდის და სამყაროს შესახებ წამორდგენების სკალებს შორის კორელაცია

	სამყაროს კეთილმოსურნე ობა	სამყაროს საზრიანობა	საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება
სხვებთან ურთიერთობა	.356**	.255**	.117
ახალი შესაძლებ.	.075	.071	.166*
პიროვნული სიძლიერე	.194**	.199**	.337**
სულიერი ცვლილება	.271**	.092	.061
ცხოვრების დაფასება	.300**	.194**	.252**
საერთო ქულა (PTGI)	.353**	.250**	.253**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

² $r = .10$ -დან $r = .29$ -მდე ან $r = -.10$ -დან $r = -.29$ -მდე - ცვლადებს შორის სუსტი (დადებითი/უარყოფითი) კორელაცია

$r = .30$ -დან $r = .49$ -მდე ან $r = -.30$ -დან $r = -.49$ -მდე - ცვლადებს შორის საშუალო, ზომიერი სიძლიერის (დადებითი/უარყოფითი) კორელაცია

$r = .50$ -დან $r = 1.0$ -მდე ან $r = - .50$ -დან $r = -1.0$ -მდე - ცვლადებს შორის ძლიერი (დადებითი/უარყოფითი) კორელაცია

ცხრილი N2. პოსტტრავმული ზრდის და სამყაროს შესახებ წარმოდგენების სუბსკალებს შორის კორელაცია

	სამყაროს კეთილმ ოსურნეო ბის	ადამიანე ბის სიკეთე	სამართლ იანობა	შემთხვევ კონტროლი ითობა	საკუთარი მე	თვითყო ნტროლი	იღბალი	
სხვებთან ურთიერთობა	.329**	.281**	.199**	.169*	.155*	-.003	.122	.108
ახალი შესაძლებ.	.106	.022	.001	.191**	-.034	-.081	.184*	.207**
პიროვნული სიძლიერე	.232**	.101	.116	.187**	.110	.086	.301**	.273**
სულიერი ცვლილება	.236**	.228**	.069	.063	.056	-.043	.000	.145*
ცხოვრების დაფასება	.303**	.211**	.114	.262**	.033	.073	.213**	.207**
საერთო ქულა (PTGI)	.353**	.252**	.160*	.251**	.107	.004	.233**	.251**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

7.1.2. რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ სამყაროს შესახებ წარმოდგენების სკალები წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს. აღნიშნული სკალები (3 სკალა) ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 18.8%-ს ($R_{2ADJ} = 0.175$, $F(3,186) = 14.385$, $p < .001$) და წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის. სამივე სკალა აღმოჩნდა სანდო პრედიქტორი, კერძოდ, სამყაროს კეთილგანწყობის სკალა ($\beta = .310$, $p < .001$), სამყაროს საზრიანობის ($\beta = .172$, $p < .05$) და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების ($\beta = .142$, $p < .05$).

აღნიშნული სამი სკალიდან ორ სკალას - სამყაროს საზრიანობის (ხსნის ვარიაციულობის 2% -ს, $R_{2ADJ} = 0.57$, $F = 12.482$, $p < .001$) და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების (ხსნის ვარიაციულობის 1% -ს, $R_{2ADJ} = 0.59$, $F = 12.895$, $p < .001$) თითქმის თანაბარი წვლილი შეაქვთ ვარიაციულობაში. შედარებით მეტია სამყაროს კეთილგანწყობის სკალის (ხსნის ვარიაციულობის 9% -ს, $R_{2ADJ} = 0.120$, $F = 26.734$, $p < .001$) პროცენტული წვლილი ვარიაციულობის განსაზღვრისას.

რაც შეეხება სამყაროს შესახებ წარმოდგენების ცალკეული სუბსკალების წვლილს პოსტტრავმული ზრდის გამოვლენაში, 8 სუბ-სკალიდან მხოლოდ სამი აღმოჩნდა სანდო პრედიქტორი პოსტტრავმული ზრდისთვის. კერძოდ, სამყაროს კეთილგანწყობის ($\beta = .193$, $p < .05$), ადამიანების კეთილგანწყობის ($\beta = .165$, $p < .05$) და კონტროლის ($\beta = .177$, $p < .05$) სუბ-სკალებს აქვთ სანდო პრედიქტორული წონა პოსტტრავმული ზრდისთვის.

სამართლიანობის, შემთხვევითობის, საკუთარი მე-ს, თვითკონტროლის და იღბლის სკალებს არ აღმოაჩნდათ პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისთვის.

7.1.3. რელიგიურობას და პოსტრავმულ ზრდას შორის ურთიერთკავშირი

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირობის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ პოსტრავმული ზრდის მაჩვენებელს, ცალკეულ ფაქტორებსა და რელიგიურობის მაჩვენებლებს შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N3).

პოსტრავმული ზრდის გლობალურ მაჩვენებელს და რელიგიურობის საერთო მაჩვენებელს და ცალკეულ სკალებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- პოსტრავმული ზრდის საერთო ქულა სუსტ დადებით კავშირშია რელიგიურობის საერთო მაჩვენებელთან ($r = .26, p < .01$), ინტრაპერსონალურ სკალასთან ($r = .22, p < .01$) და ინტერპერსონალურ ($r = .27, p < .01$) სკალებთან.

რაც შეეხება რელიგიურობის საერთო ქულის კავშირს პოსტრავმული ზრდის სკალებთან, აღმოჩნდა, რომ

- რელიგიურობის საერთო ქულა სუსტ დადებით კავშირშია სხვებთან ურთიერთობის ($r = .25, p < .01$), ცხოვრების დაფასების ($r = .14, p < .05$) სკალებთან, სამუალო დადებით კავშირშია სულიერების სკალასთან ($r = .37, p < .01$).

რელიგიურობის საერთო ქულას სტატისტიკურად სანდო კავშირი არ აქვს პოსტრავმული ზრდის პიროვნული სიძლიერის და ახალი შესაძლებლობების სკალებთან.

რელიგიურობის ინტრაპერსონალურ და ინტერპერსონალურ სკალებს სანდო სტატისტიკური კავშირი აღმოაჩნდათ პოსტრავმული ზრდის ცალკეულ სკალებთან, კერძოდ,

- ინტრაპერსონალური რელიგიურობა სუსტ დადებით კორელაციაშია სხვებთან ურთიერთობის ($r = .21, p < .01$) და სამუალო დადებით კორელაციაშია სულიერების ($r = .38, p < .01$) სკალებთან.
- ინტერპერსონალური რელიგიურობა სუსტ დადებით კავშირშია სხვებთან ურთიერთობის ($r = .25, p < .01$), ახალი შესაძლებლობების ($r = .18, p < .05$) და სულიერების სკალებთან ($r = .28, p < .01$).

ცხრილი N3 . რელიგიურობის და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის კორელაცია

	ინტრაპერსონალური რელიგიურობა	ინტერპერსონალ- ური რელიგიურობა	საერთო ქულა (RCI-10)
სხვებთან ურთიერთობა	.218**	.255**	.255**
ახალი შესაძლებლობები	.047	.185*	.112
პიროვნული სიძლიერე	.028	.075	.051
სულიერი ცვლილება	.381**	.287**	.376**
ცხოვრების დაფასება	.139	.131	.149*
საერთო ქულა (PTGI)	.224**	.275**	.268**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

7.1.4. რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ რელიგიურობის საერთო ქულა ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 7.2 %-ს ($R^2_{ADJ} = 0.67$, $F(1,188) = 14.513$, $p = .001$) და წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის ($\beta = .268$, $p < .001$).

რაც შეეხება რელიგიურობის ცალკეული სკალის წვლილს პოსტტრავმული ზრდის გამოვლენაში, ცვლადების ეს მოდელი ხსნის მონაცემთა 7.9% -ს ($R^2_{ADJ} = 0.69$, $F(2,187) = 8.016$, $p < .001$) და ორი სკალიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა სახლო პრედიქტორი, კერძოდ, ინტერპერსონალური რელიგიურობა ($\beta = .223$, $p < .05$).

7.1.5. მნიშვნელობის მინიჭების გზით დაძლევის და პოსტტრავმულ ზრდას შორის ურთიერთკავშირი

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პიროსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელს, ცალკეულ ფაქტორებსა და მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N4).

პოსტტრავმული ზრდის გლობალურ მაჩვენებელს და მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის საერთო მაჩვენებელს და ცალკეულ კომპონენტებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- პოსტტრავმული ზრდის საერთო ქულა სუსტ დადებით კავშირშია მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის საერთო მაჩვენებელთან ($r = .28$, $p < .01$),

- პოსტტრავმული ზრდის საერთო ქულა ასევე სუსტ დადებით კავშირშია მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის სამივე კომპონენტთან, როგორცაა პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა ($r = .20, p < .01$), რელიგიური დაძლევა ($r = .23, p < .01$) და მიმღებლობა ($r = .27, p < .05$).

რაც შეეხება მნიშვნელობის მინიჭების გზით დაძლევის თითოეული კომპონენტის კორელაციას პოსტტრავმული ზრდის სკალებთან, აღმოჩნდა, რომ

- პოზიტიური რეინტერპრეტაციის და ზრდის კომპონენტი სუსტ დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის მხოლოდ ორ სკალასთან, კერძოდ, სხვებთან ურთიერთობის ($r = .17, p < .05$) და ახალ შესაძლებლობებთან ($r = .17, p < .05$).

პოზიტიური რეინტერპრეტაციის და ზრდის კომპონენტი კავშირში სტატისტიკურად სანდო კავშირში არ აღმოჩნდა პიროვნული სიძლიერის, სულიერების და ცხოვრების დაფასების სკალებთან.

- რელიგიურობის კომპონენტი სუსტ დადებით კავშირშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის სკალასთან ($r = .27, p < .01$) და საშუალო სიძლიერის კავშირში სულიერების სკალასთან ($r = .36, p < .01$).

რელიგიურობის კომპონენტი სტატისტიკურად სანდო კავშირში არ აღმოჩნდა პიროვნული სიძლიერის, ახალი შესაძლებლობების და ცხოვრების დაფასების სკალებთან.

- მიმღებლობის კომპონენტი სუსტ დადებით კავშირში აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სკალასთან, როგორცაა სხვებთან ურთიერთობის სკალა ($r = .24, p < .01$).

მიმღებლობის კომპონენტი სტატისტიკურად სანდო კავშირში არ აღმოჩნდა პიროვნული სიძლიერის, ახალი შესაძლებლობების, ცხოვრების დაფასების სკალებთან და სულიერების სკალებთან.

ცხრილი N4 . მნიშვნელობის მინიჭების გზით დაძლევის და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის კორელაცია

	პოზიტიური რელიგიური რეინტერპრეტაცია და ზრდა	რელიგიური დაძლევა	მიმღებლობა	საერთო ქულა
სხვებთან ურთიერთობა	.170*	.277**	.240**	.325**
ახალი შესაძლებლობები	.171*	-.017	-.002	.062
პიროვნული სიძლიერე	.132	.060	.076	.120
სულიერება	.092	.362**	.099	.285**
ცხოვრების დაფასება	.103	.127	.095	.153*
საერთო ქულა (PTGI)	.203**	.234**	.170*	.287**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

7.1.6. რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევისკომპონენტებიდან, რომელიც ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 8.3%-ს ($R^2_{ADJ} = 0.068$, $F=5.587$, $p=.001$) მხოლოდ რელიგიური დაძლევა აღმოჩნდა სანდო სტატისტიკური პრედიქტორი პოსტტრავმული ზრდისთვის ($\beta = .180$, $p < .05$).

7.1.7. გლობალური საზრისის დარღვევას და პოსტტრავმული ზრდას შორის ურთიერთმიმართება

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-19-ის (SPSS Inc, Chicago, IL) დახმარებით. მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პიროსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ გლობალური საზრისის დარღვევის საერთო მაჩვენებელს, მის სკალებს და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და ასევე ცალკეულ ფაქტორებს შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N5).

გლობალური საზრისის დარღვევის საერთო მაჩვენებელს და პოსტტრავმული ზრდის ცალკეულ მაჩვენებლებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- გლობალური საზრისის დარღვევის საერთო ქულა სუსტი დადებით კავშირშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის სკალასთან ($r = .23$, $p < .01$)

კორელაცია არ არის სტატისტიკურად სანდო გლობალური საზრისის დარღვევის საერთო ქულას და პოსტტრავმული ზრდის სხვა სკალებს შორის.

გლობალური საზრისის დარღვევის სკალებს და პოსტტრავმული ზრდის ცალკეულ მაჩვენებლებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- გლობალური საზრისის დარღვევის რწმენების სკალა სუსტი დადებით კავშირშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის ($r = .20, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალასთან ($r = .19, p < .01$)
- გლობალური საზრისის დარღვევის გარეგანი მიზნების სკალა სუსტი დადებით კავშირშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის ($r = .27, p < .01$) და სულიერების სკალასთან ($r = .14, p < .01$).

კორელაცია არ არის სტატისტიკურად სანდო გლობალური საზრისის დარღვევის შინაგან მიზნებსა და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის.

გლობალური საზრისის დარღვევის საერთო ქულა სუსტი დადებით კავშირშია პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელთან ($r = .18, p < .05$).

ცხრილი N5. გლობალური საზრისის დარღვევის საერთო მაჩვენებელს, მის სკალებს და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და ცალკეულ ფაქტორებს შორის კავშირი

	რწმენები	შინაგანი მიზნები	გარეგანი მიზნები	საერთო ქულა (GMVS)
სხვებთან ურთიერთობა	.200**	.136	.274**	.230**
ახალი შესაძლებლობები	.091	.008	-.119	.016
პიროვნული სიძლიერე	.086	.037	.077	.076
სულიერება	.136	.073	.148*	.134
ცხოვრების დაფასება	.190**	.039	.028	.107
საერთო ქულა (PTGI)	.209**	.098	.146*	.180*

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

7.1.8. რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ გლობალური საზრისის დარღვევის საერთო მაჩვენებელი ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 3.2 %-ს ($R_{2ADJ} = 0.27$, $F(1,188) = 6.269$, $p < .05$) და წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს ($\beta = .180$, $p < .05$).

რაც შეეხება გლობალური საზრისის დარღვევის ცალკეული სკალების რეგრესიულ ანალიზს, აღნიშნული სკალები (3 სკალა) ხსნის მონაცემთა ვარიანობის 6%-ს ($R^2_{ADJ} = 0.45$, $F(3,186) = 3.938$, $p < 0.01$) და წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის.

გლობალური საზრისის დარღვევის მხოლოდ შეხედულებების სკალა აღმოჩნდა სანდო პრედიქტორი პოსტტრავმული ზრდისთვის ($\beta = .229$, $p < .05$).

7.1.9. ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებას და პოსტტრავმული ზრდას შორის ურთიერთმიმართება

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-19-ის (SPSS Inc, Chicago, IL) დახმარებით. მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პიროსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ ცხოვრებისეული მოვლენების სკალებს და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და ასევე ცალკეულ ფაქტორებს შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N6).

ცხოვრებისეული მოვლენების სკალებს და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელსა და ცალკეულ მაჩვენებლებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელი სუსტი დადებით კავშირშია ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების საფრთხის ($r = .14$, $p < .05$) და გამოწვევის სკალებთან ($r = .28$, $p < .01$)

კორელაცია არ არის სტატისტიკურად სანდო პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს და დანაკარგის სკალას შორის.

პოსტტრავმული ზრდის ცალკეულ სკალებს და ცხოვრებისეული მოვლენების ცალკეულ მაჩვენებლებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- *გამოწვევის* სკალა სუსტ დადებით კავშირშია სხვებთან ურთიერთობის სკალასთან ($r = .19, p < .01$)
- *გამოწვევის* სკალა სუსტ დადებით კავშირშია ახალი შესაძლებლობების სკალასთან ($r = .26, p < .01$)
- *გამოწვევის* სკალა სუსტ დადებით კავშირშია პიროვნული სიძლიერის სკალასთან ($r = .19, p < .01$)
- *გამოწვევის* სკალა სუსტ დადებით კავშირშია სულიერების სკალასთან ($r = .15, p < .05$)
- *გამოწვევის* სკალა სუსტ დადებით კავშირშია ცხოვრების დაფასების სკალასთან ($r = .18, p < .05$)
- საფრთხის სკალა სუსტ დადებით კავშირშია ცხოვრების დაფასების სკალასთან ($r = .22, p < .01$)

კორელაცია არ არის სტატისტიკურად სანდო პოსტტრავმული ზრდის სხვადასხვა სკალას და დანაკარგის სკალას შორის.

ცხრილი N6. ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებას და პოსტტრავმული ზრდას შორის ურთიერთმიმართება

	საფრთხე	გამოწვევა	დანაკარგი
სხვებთან ურთიერთობა	.137	.191**	.034
ახალი შესაძლებლობები	-.022	.263**	-.087
პიროვნული სიძლიერე	.067	.191**	.057
სულიერება	.124	.152*	.073
ცხოვრების დაფასება	.224**	.182*	.133
საერთო მაჩვენებელი (PTGI)	.146*	.283**	.047

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

7.1.10. რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების სკალები წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს. აღნიშნული სკალები (3 სკალა) ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 11.3%-ს ($R^2_{ADJ} = 0.99$, $F(3,186) = 7.885$, $p < .001$) და წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის.

ცხოვრებისეული მოვლენების საფრთხის ($\beta = .288$, $p < .01$) და გამოწვევის ($\beta = .293$, $p < .001$) სკალებს პრედიქტორული ღირებულება აღმოაჩნდა პოსტტრავმული ზრდისთვის.

7.1.11. რელიგიურობის და ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებას შორის ურთიერთმიმართება

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-19-ის (SPSS Inc, Chicago, IL) დახმარებით. მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პიროსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ ცხოვრებისეული მოვლენების სკალებს და რელიგიურობის საერთო მაჩვენებელსა და ასევე ცალკეულ ფაქტორებს შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N7).

რელიგიურობის საერთო მაჩვენებელს და ცხოვრებისეული მოვლენების ცალკეულ სკალებს შორის შემდეგი კავშირი გამოვლინდა:

- *გამოწვევის* სკალა სუსტ დადებით კავშირშია რელიგიურობის საერთო მაჩვენებელთან ($r = .16, p < .05$)
- *გამოწვევის* სკალა სუსტ დადებით კავშირშია რელიგიურობის როგორც ინტრაპსონალურ ($r = .15, p < .05$) ასევე ინტერპსონალურ სკალასთან ($r = .15, p < .05$)

კორელაცია არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო რელიგიურობის მაჩვენებლებს და ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების საფრთხის და დანაკარგის სკალებს შორის.

ცხრილი N7. რელიგიურობის და ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებას შორის ურთერთმიმართება

	საფრთხე	გამოწვევა	დანაკარგი
ინტრაპერსონალური	.105	.152*	.086
ინტერპერსონალური	-.101	.154*	-.13
საერთო მაჩვენებელი (RCI-10)	.025	.168*	.000

*** $p \leq .01$; * $p \leq .05$*

7.1.12. სამყაროს შესახებ წარმოდგენების, ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებას, რელიგიურობას, გლობალური საზრისის დარღვევას და დაძლევის სტრატეგიებს შორის ურთერთმიმართება

აღნიშნული ცვლადების კომბინაციური მოდელის რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამყაროს კეთილმოსურნეობის, ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების და გლობალური საზრისის დარღვევის სკალები წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს. აღნიშნული სკალები (5 სკალა) ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 29%-ს ($R^2_{ADJ} = 0.25$, $F(11, 178) = 6.900$, $p < .001$) და წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის.

ცხრილი N8. პრედიქტორი ცვლადების რეგრესიული მოდელი


ცვლადები	<i>B</i>	<i>SE B</i>	<i>β</i>
სამყაროს კეთილმოსურნეობა	.742	.189	.269**
სამყაროს საზრიანობა	.239	.154	.106
საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება	.235	.155	.104
საფრთხე	.538	.228	.243*
გამოწვევა	.604	.187	.223**
დანაკარგი	-.973	.391	-.258*
რელიგიურობა	.107	.151	.056
გლობალური საზრისის დარღვევა	.216	.102	.139*
პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა	.035	.506	.005
რელიგიური დაძლევა	.364	.418	.070
მიმღებლობა	.325	.544	.043
<i>R</i> ²		.25	
<i>F</i>		6.900**	

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

7.2. საზრისის ძიების თეორიული მოდელის ერთ-ერთი სეგმენტის ემპირიული შემოწმება (სტრუქტურული განტოლების მოდელი)

სტრუქტურული განტოლების მოდელირება იქნა გამოყენებული ჰიპოთეტური რელიგიური და ზოგადი პოსტრავმული ზრდის მოდელის შესამოწმებლად. როგორც ავლნიშნეთ, პოსტრავმულ ზრდასთან რელიგიური და 'სეკულარული' კავშირების დასადგენად, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საჭირო შეიქმნა პოსტრავმული ზრდის კითხვარის რელიგიურ და ზოგად განზომილებებად გამოყოფა. თითოეული ამ ფაქტორთაგანი წარმოდგენილია ჩვენს მოდელში როგორც ლატენტური ცვლადი.

ფიგურა1. პოსტრავმული ზრდის პრედიქტორების ჰიპოთეტური მოდელი



ჰიპოთეტური მოდელი გვიჩვენებს პირდაპირ (მწვანე) და მედიაციურ (ყვითელი) კავშირებს; წყვეტილი ისრებით აღნიშნულია სტატისტიკურად არასანდო მიმართებები
 *** $p \leq .01$; ** $p \leq .05$ * $p =$ ტენდენცია

7.2.1. ჰიპოთეტური მოდელის მორგების ინდიკატორები

ჰიპოთეტურმა მოდელმა არსებულ მონაცემების საფუძველზე კარგი მორგება აჩვენა : X^2 (67) = 122.82, CMIN/DF = 1.83; $p < .00$, RMSEA = .06 (.04 - .08), CFI = .92, GFI = .92, AGFI = .87, PCLOSE = .07.

7.2.2. პირდაპირი კავშირები

რელიგიურობა, როგორც ეს ჩამოყალიბებული იყო ჩვენ ჰიპოთეზაში, არ აღმოჩნდა პირდაპირ კავშირში ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან; როგორც მოდელიდან ჩანს, მისი გავლენა არ არის სტატისტიკურად სანდო პოსტტრავმულ ზრდაზე ($\beta = -.07$, $p > .05$). თუმცა მისი კავშირი რელიგიურ დაძლევისთან ($\beta = .59$, $p < .001$) და საზრისიესეულ დაძლევისთან ($\beta = .24$, $p < .05$) აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო. რელიგიურობის გავლენა სულიერ პოსტტრავმულ ზრდაზე აღმოჩნდა ტენდენცია ($\beta = .25$, $p = .07$). ეს ნიშნავს, რომ სულიერი პოსტტრავმულ ზრდაზე რელიგიურობა პირდაპირ არ ახდენს გავლენას, არამედ ამ შემთხვევაში რელიგიური დაძლევა წარმოადგენს მედიაციურ ფაქტორს. ლოგიკური კავშირი გამოვლინდა, რელიგიურობას და რელიგიურ დაძლევას შორის ($\beta = .59$, $p < .001$), რაც მიანიშნებს, რომ ტრავმული სიტუაციის დროს ინდივიდები ვისაც მაღალი მაჩვენებელი აქვთ რელიგიური ჩართულობის სკალაზე, მეტად მიმათავენ რელიგიურ დაძლევას.

მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევა პირდაპირი დადებითი კავშირი აღმოაჩნდა ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან ($\beta = .35, p < .05$). თუმცა კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო სულიერ პოსტტრავმულ ზრდასთან ($\beta = -.06, p > .05$). ასევე საზრისისეულ დაძლევას დადებითი პირდაპირი კავშირი აქვს რელიგიურ დაძლევასთან ($\beta = .34, p < .05$). ინდივიდები ვისაც მაღალი მაჩვენებელი აქვთ საზრისისეულ დაძლევის სკალაზე, მეტად გამოეხატებათ ზოგადი პოსტტრავმული ზრდა.

რელიგიური დაძლევა არ არის პირდაპირ კავშირში ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან ($\beta = -.31, p > .05$). როგორც ჰიპოთეზაში იყო ჩამოყალიბებული, რელიგიური დაძლევა პირდაპირი დადებითი კავშირი აქვს სულიერ პოსტტრავმულ ზრდასთან ($\beta = .36, p < .05$).

სულიერი პოსტტრავმული ზრდის ზოგად პოსტტრავმულ კავშირი სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ($\beta = .76, p < .001$). უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნული კავშირის რეგრესიული წონა საკმაოდ მაღალია. სულიერი პოსტტრავმული ზრდის სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდებს, აღენიშნებათ ზოგადი პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი.

7.2.3. მედიაციური კავშირები

სრული მედიაციური კავშირების დასადგენად, მოდელში არსებულ ცვლადებს შორის მარტივი პირდაპირი კავშირები იქნა შემოწმებული. რელიგიურობა გავლენას ახდენს ზოგად პოსტტრავმულ ზრდაზე მნიშვნელობის მინიჭების დაძლევის სრული გაშუალებით. სხვა სიტყვებით, ინდივიდები ვისთვისაც რელიგიური ღირებულებები და რწმენები მნიშვნელოვანია, ზოგადი პოსტტრავმული ზრდის გამოვლენა ხდება მაშინ თუ მიმართავენ საზრისისეულ პოსტტრავმულ დაძლევას. ასევე მათ ექნებათ მაღალი მაჩვენებელი სულიერ პოსტტრავმულ ზრდაზე, იმ შემთხვევაში თუ რელიგიურ

დაძლევის მიმართავენ. მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის გავლენა სულიერ პოსტტრავმულ ზრდაზე სრულად გაშუალებულია რელიგიურობის დაძლევით.

7.3. გლობალური საზრისის დარღვევის საკვლევი კითხვარის (GMVS) ქართული ვერსიის შექმნა

7.3.1. კონფორმატორული ფაქტორული ანალიზი გლობალური საზრისის დარღვევის სკალისთვის (CFA)

გლობალური საზრისის დარღვევის სკალის ფაქტორული სტრუქტურის დასადგენად გამოვიყენეთ კონფორმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA). მონაცემთა ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Amos 19 -ის გამოყენებით (Livak & Schmittgen, 2001).

კონფორმატორული ანალიზის ჩატარებამდე, რამოდენიმე დებულებამ მცირე მოდიფიკაცია გაიარა. ცვლილების აღწერამდე, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორების მიერ (Park & George, 2013) თავდაპირველად ჩატარებულ იქნა გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტის ფაქტორული ანალიზი (EFA), რომლის შედეგადაც ფინანსური უზრუნველყოფის დებულება პირველადი დატვირთვის დაბალი (.35) მაჩვენებლის გამო ამოღებულ იქნა ინსტრუმენტიდან. იმ სამიზნე ჯგუფისგან განსხვავებით (მხოლოდ სტუდენტები), რომელზეც აღნიშნული ინსტრუმენტის მორგება მოხდა ზემოთხსენებული ავტორების მიერ, წეროვანის სპეციალურ დასახლებებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ფინანსური უზრუნველყოფის კომპონენტი ძირითად შემთხვევებში განმსაზღვრელია. ამ მიზეზის გამო ეს დებულება შენარჩუნებულ იქნა და მსგავსად სხვა დებულებებისა გაიარა კონფორმატორული ფაქტორული ანალიზი. კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ქართული ინსტრუმენტის შექმნისას განხორციელდა ეხება გარეგან მიზნებს, რომელშიც ავტორები მოიაზრებენ ცალკეულად მიღწევებს განათლებაში, კარიერაში და მიღწევებს შემოქმედებით და ხელოვნების სფეროში. ისევდაისევ, იძულებით გადაადგილებული პირების გარემოს

კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც მკაფიო ზღვარის გავლება კარიერის და განათლების თუ სხვა მიღწევებში რთულია, ზემოთაღნიშნული სამი დებულება გაერთიანდა ერთ დებულებაში. ფინანსური უზრუნველყოფის და გაერთიანებული დებულება (სწავლა-განათლებლასა და სამსახურებრივ ან სხვა ნებისმიერ საქმიანობის (მაგ. სასოფლო-სამეურნეო საქმის კეთება) კონფორმატორული ანალიზის დროს გარეგანი მიზნების ფაქტორით იქნა წარმოდგენილი.


გლობალური საზრისის დარღვევის სკალის (GMVS) ფაქტორული ანალიზი განხორციელდა კონფორმატორული ფაქტორული ანალიზის შესაბამისი საფეხურების გავლით. თავდაპირველად შემოწმდა ჰიპოთეტური მოდელი მცირე მოდიფიკაციით რომელიც ავტორების (Park & George, 2013), მიერ განსაზღვრული იყო სამი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით, ესენია, რწმენები (ხუთი დებულება), შინაგანი მიზნები (ხუთი დებულება) და გარეგანი მიზნები (ორი დებულება).

კონფორმატორულმა ფაქტორულმა ანალიზმა (CFA) აღნიშნული ჰიპოთეტური მოდელის დაკვირვებად მოდელთან საუკეთესო მორგება არ აჩვენა ($CHI\ SQUARE = 179.39$, $DF=73$, $P=.000$ $CFI = 0.93$, $RMSEA=0.6$, $GFI=0.93$, $AGFI=0.91$, $PCLOSE=.063$). შესაბამისად, მოდიფიკაციის ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით განვახორციელეთ მოდელის მოდიფიკაციის შესაბამისი საფეხურები. მოდიფიკაციის ინდექსი წარმოადგენს ცვლილების შეთავაზებას, მაშინ როდესაც არის განსვლა ჰიპოთეტურ და დაკვირვებად მოდელს შორის. მოდიფიკაციის ინდექსის მონაცემების მიხედვით შევამოწმეთ თითოეული დებულების დატვირთვის მაჩვენებლები. მესამე (შინაგან/სულიერ სამყაროზე ზრუნვა) და მეხუთე დებულებას (ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა) შეხედულებების სკალიდან აღმოაჩნდათ დაბალი დატვირთვა, თუმცა მათი მოშორებით მაჩვენებლები საგრძნობლად არ გაზრდილა. გარდა დატვირთვის მაჩვენებლებისა, მოდიფიკაციის ინდექსის მიხედვით შევამოწმეთ დაკვირვებადი და ლატენტური ცვლადების ცდომილებებს შორის კოვარიაციების შესაძლებლობა. გლობალური საზრისის დარღვევის მოდელის შემთხვევაში კოვარიაცია

განხორციელდა შინაგანი მიზნების სკალის, $e_6 - e_{10}$ ცდომილებებს შორის. საბოლოოდ მივიღეთ მოდელი, საუკეთესო მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი N8) აღნიშნული მოდელი, შედეგა 3 ფაქტორისგან და 14 დებულებისგან (იხ. ფიგურა N1).

ცხრილი N9. კონფორმატორული ფაქტორული ანალიზი გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტისთვის

საზომი	მაჩვენებლები
CHI SQUARE	164.04
DF	73
P	.000
CFI	0.94
GFI	0.94
AGFI	0.91
RMSEA	.056
PCLOSE	.17



ფიგურა N2. გლობალური საზრისის დარღვევის სკალის ფაქტორული სტრუქტურა

ცხრილი N10. გლობალური საზრისის დარღვევის სკალის ფაქტორებს შორის კორელაცია

	რწმენები	შინაგანი მიზნები	გარეგანი მიზნები
რწმენები	-	-	-
შინაგანი მიზნები	.429**	-	-
გარეგანი მიზნები	.260**	.472**	-

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

7.3.2. სანდოობის შემოწმება

გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტის შინაგანი კონსისტენტობის დადგენის მიზნით შევამოწმეთ ცალკეული ფაქტორების სანდოობა. ცხრილში N10-ში მოცემულია სანდოობის მაჩვენებლები (კრონბახის ალფა) გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტის 3 ფაქტორისა და საზრისის დარღვევის გლობალური მაჩვენებლისათვის.


ცხრილი N11. აღწერილითი სტატისტიკა და შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებლები


	M	SD	Cronbach's alpha	No. of items	Skewness	Kurtosis
რწმენები	14.33	4.56	0.64	5	-.051	-.440
შინაგანი მიზნები	19.06	7.18	0.85	7	0.99	-.828
გარეგანი მიზნები	6.01	2.45	0.67	2	-.103	-.941
გლობალური მაჩვენებელი	39.40	11.36	0.84	14	.029	-.481


7.3.3. გლობალური საზრისის დარღვევის სკალის გლობალური მაჩვენებლის და ცალკეული სკალების ქულათა განაწილება


გლობალური საზრისის დარღვევის გლობალური მაჩვენებლის სიხშირეები შეესაბამება ნორმალური განაწილების მოდელს ($KS(392) = .20$, $ps = .20$).

სურათი 1. გლობალური საზრისის დარღვევის გლობალური მაჩვენებლის და ძირითადი ფაქტორების ქულების სიხშირეთა განაწილება









7.3.4. სქესთა შორისი განსხვავება გლობალური საზრისის დარღვევის ქულების განაწილების მიხედვით

გლობალური საზრისის დარღვევის სკალის ქულების შესადარებლად ქალთა და მამაკაცთა ჯგუფებისთვის გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი შერჩევის T-ტესტი (independent-samples t-test). გლობალური მაჩვენებლის მიხედვით სქესთა შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება ქალებისთვის ($M=39.90$, $SD=11.40$) და მამაკაცებისთვის [$(M=38.63$, $SD=11.29)$; $t(392)=-1.08$, $p = 0.281$ არ ვლინდება. აღნიშნულ ორ ჯგუფს შორის ქულათა საშუალოების განსხვავება მცირე აღმოჩნდა (Eta Squared = .002).

7.3.5. ასაკობრივი ჯგუფების შედარება

კვლევის მონაწილეები ასაკის მიხედვით დავყავით 5 ასაკობრივ ჯგუფად: I ჯგუფი 17 წლიდან 25 წლამდე; II ჯგუფი - 26 წლიდან 35 წლამდე; III ჯგუფი - 36 წლიდან 45 წლამდე; IV ჯგუფი - 46 წლიდან 55 წლამდე; V ჯგუფი - 56 წლიდან და ზევით.

სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ აღმოჩნდა გლობალური საზრისის დარღვევის სკალის გლობალურ ქულის მიხედვით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. თუმცა, ცალკეული სკალების მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება სანდოა.

კერძოდ, სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა განსხვავება ასაკის მიხედვით შემდეგი სკალებისთვის:

❖ შინაგანი მიზნების სკალა

ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა (One-Way ANOVA) აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება შინაგანი მიზნების სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(4,387) = 2.71, p < .05, \text{Eta Squared}=.02$. კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ პირველ ასაკობრივ ჯგუფს ($M= 17.95, SD= 6.79$) აქვს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მესამე ასაკობრივ ჯგუფთან ($M=20.98, SD= 6.38$) შედარებით.

❖ გარეგანი მიზნების სკალა

ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა (One-Way ANOVA) აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება გარეგანი მიზნების მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(4,387) = 6.19, p < .05, \text{Eta Squared}=.06$. კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ პირველ ასაკობრივ ჯგუფს ($M= 5.43, SD= 2.32$) აქვს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მეოთხე ($M=6.82, SD= 2.39$) და მეხუთე ($M=7.16, SD= 2.29$) ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.

ასაკობრივი განსხვავება რწმენების სკალისთვის სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა.

ცხრილი N12. აღწერითი სტატისტიკა გლობალური საზრისის დარღვევის ცალკეული სკალებისთვის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

	I (n = 175)		II (n = 77)		III (n = 63)		IV (n = 39)		V (n = 38)		F
	M	SD	M	SD	M	SD	M	SD	M	SD	
რწმენები	14.56	4.51	14.22	4.22	13.95	5.163	13.36	3.65	15.16	5.22	.982
შინაგანი მიზნები	17.95	6.79	19.05	7.66	20.98	6.38	20.64	7.75	19.39	7.9	2.717*
გარეგანი მიზნები	5.43	2.32	6.03	2.58	6.37	2.39	6.82	2.39	7.16	2.29	6.195**
გლობალური მაჩვენებელი	37.94	10.76	39.29	11.85	41.30	11.52	40.82	10.76	41.71	12.86	1.720

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

თავი 8 შედეგების განხილვა

(1) მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სამყაროს შესახებ წარმოდგენებს იგივე გლობალურ საზრისს, გააჩნია პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისთვის. კვლევაში წარმოდგენილ სხვა ბევრ ფაქტორთან ერთად, რომელთაც წვლილი შეაქვთ ამ ფენომენის გამოვლენაში, სამყაროს შესახებ წარმოდგენების მაჩვენებლები ერთობლივად მონაცემთა ვარიაბელობის 18.8%-ს ხსნის და მასში მოაზრებული სამივე ფაქტორი სანდო პრედიქტორს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროს კეთილგანწყობის, სამყაროს საზრიანობის და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების სკალებიდან შედარებით მეტია სამყაროს კეთილგანწყობის ფაქტორის უნიკალური წვლილი. აღნიშნული შედეგი ლოგიკურია. რადგან, ტრავმული გამოცდილების შემდგომ პოზიტიური გამოსავალს, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა ინდივიდი გარკვეულ ნეგატიურ მოვლენას დადებით ასპექტს მოუძებნის.

უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროს კეთილგანწყობის სკალა, რომელიც მოიცავს სამყაროს, მოვლენების და ადამიანების მიმართ უფრო დადებით ვიდრე უარყოფით შეხედულებებს, პოსტტრავმული ზრდის ისეთ სკალებთან იმყოფება კორელაციაში, რომელიც ეხება სწორედ სხვებთან ურთიერთობების გაუმჯობესებას და ცხოვრების მეტად დაფასებას. სხვა ადამიანების შესახებ დადებითი დამოკიდებულების ქონა სწორედ ხელს უწყობს მათთან უფრო პოზიტიურ და ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მსგავსად, ცხოვრების დაფასებას მეტად აქვს ადგილი მაშინ, როცა ადამიანები თვლიან, რომ ეს სამყარო სავსეა სიკეთით და რომ უფრო მეტი კარგი რამ ხდება, ვიდრე ცუდი. აღნიშნული შედეგი თანხმობაშია პრატის და პინტრანტონის (2009) მეტა-ანალიტიკურ კვლევასთან, სადაც სხვა ფაქტორებთან ერთად, პოზიტიური შეფასება და ოპტიმიზმი დადებით კავშირშია პოსტტრავმულ ზრდასთან. ადამიანების კეთილმოსურნეობა და სამყაროს კეთილგანწყობა, მსგავსად ჩვენი კვლევისა, ასევე კავშირშია პარკის (Park & Gutierrez, 2013) მიერ სტუდენტებზე ჩატარებულ კვლევაში

ცხოვრებით კმაყოფილებასა და ბედნიერებასთან. აღნიშნული კვლევაში, ასევე მნიშვნელოვან პრედიქტორს კარგად ყოფნისთვის საკუთარი თავის შესახებ დადებითი დამოკიდებულება წარმოადგენს, რასაც ჩვენ კვლევაში არ აღმოაჩნდა პრედიქტორული წონა. შესაძლოა, ისეთი სტრესული სიტუაციის დროს როგორცაა იძულებით გადაადგილება, რაც მაინც არ ეხება კონკრეტულ ინდივიდს არამედ ინდივიდებს ჯგუფს, საკუთარ თავზე დადებითი წარმოდგენა არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს პოსტტრავმული ზრდისთვის. სავარაუდოდ, ადამიანი ასეთ გარემოებაში მაინც მეტად მიმართულია გარემო ფაქტორებზე, როგორცაა მაგალითად მოვლენის კონტროლი თუ სამყაროს და სხვა ადამიანების როგორც სიკეთით სავსეს დანახვა.

თუ შევხედავთ სამყაროს შესახებ წარმოდგენებს კონკრეტული კომპონენტების მიმართებას პოსტტრავმული ზრდისთვის კორელაციური ანალიზის შედეგად, ვნახავთ, რომ პიროვნული სიძლიერის განცდა და ახალი შესაძლებლობების დანახვა მეტად გამოხატულია მაშინ, როცა ადამიანებს თვითკონტროლის, კონტროლის და იღბლის სუბსკალებზე აქვთ მაღალი მაჩვენებელი. თუმცა პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისთვის მხოლოდ სამყაროს კეთილგანწყობის, ადამიანების კეთილგანწყობის და კონტროლის სუბსკალებს აღმოაჩნდა. კვლევები, რომლებიც ეხება კარგად ყოფნას და სამყაროს შესახებ წარმოდგენების ცალკეული ფაქტორების ურთიერთმიმართებას, აჩვენებს, რომ იღბალი, საკუთარი მე და სამართლიანობა ზომიერ კავშირში იმყოფება კარგად ყოფნასთან; ხოლო კონტროლი და თვითკონტროლს სუსტი კავშირი აქვთ ან საერთოდ არ აქვთ კავშირი (e.g. Elklit, Shevlin, Solomon, & Dekel, 2007; Kaler et al., 2008; Solomon, Iancu, & Tyano, 1997; Tomich & Helgeson, 2002 as cited in Park & Gutierrez, 2013). კიდევ ერთი კვლევა (Park & Gutierrez, 2013), რომელიც მიზნად ისახავდა გლობალური და სიტუაციური საზრისის პრედიქტორული როლის შესწავლას ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისთვის, აჩვენებს, რომ საკუთარი თავის შესახებ დადებითი შეხედულებები და ადამიანების კეთილმოსურნეობა კავშირშია ბედნიერების და ცხოვრებით კმაყოფილებასთან. ჩვენი შედეგებისგან განსხვავებით, აღნიშნულ კვლევაში კონტროლის და თვითკონტროლის სკალები არ აღმოაჩნდა კორელაციაში

კარგად ყოფნასთან. ამის ახსნა, ისევ და ისევ შესაძლოა მდგომარეობდეს იმაში, რომ იძულებითი გადაადგილება წარმოადგენს სპეციფიკურ ტრავმულ მოვლენას, როდესაც ინდივიდისთვის მაინც მნიშვნელოვანი თუნდაც მცირე კონტროლის განცდა ფსიქოლოგიური ფუნქციონირების შესანარუნებლად. აღნიშნული შედეგი თანხმობაშია ჯანოფ-ბულმანის (Janoff-Bulman, 1992) დამსხვრეული დაშვებების თეორიასთან, რის მიხედვითაც, ყველა ადამიანს ჯანსაღი ფსიქოლოგიური ფუნქციონირებისა და დაცულობის განცდისთვის უყალიბდება სამყაროს კანონზომიერების და პროგნოზირების შესახებ შეხედულებები. სწორედ კონტროლის სუბსკალა სამყაროს კანონზომიერების ერთ-ერთი ინდიკატორია.

(2) მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა რელიგიურობის როგორც ცალკე აღებული ფაქტორის პრედიქტორული ღირებულება პოსტრავმული ზრდისთვის. რელიგიურობის საერთო ქულა ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 6.7%-ს. თუმცა ორი სკალიდან მხოლოდ ინტერპერსონალური რელიგიურობა აღმოჩნდა სანდო პრედიქტორი პოსტრავმული ზრდისთვის. აღნიშნული შედეგი ლოგიკურია, რადგან რელიგიური რწმენები, გარდა იმისა რომ საზრისის მრავალმხრივ ჩარჩოს თავაზობს ადამიანებს გარკვეული მოვლენების ასახსნელად (Spilka et. al. 2003), ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრესის დაძლევის პროცესში (Pargament, 1997). აღნიშნული კავშირი თანხმობაშია სხვა მრავალ კვლევასთან, რომლებშიც ჩანს, რელიგიურობის და ზოგადად ჯანმრთელობის და განსაკუთრებით ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან ან კარგად ყოფნასთან კავშირი (Koenig et.al. 2012). რაც შეეხება კონკრეტულად რელიგიურობის და პოსტრავმული ზრდის ურთიერთმიმართებას, მგლოვიარე ადამიანებზე ჩატარებულ კვლევაში აღნიშნული ორი ცვლადი ერთმანეთთან ასევე მჭიდრო კავშირშია (Currier et.al. 2013). საინტერესოა, რომ სანდო პრედიქტორი პოსტრავმული ზრდისთვის მხოლოდ ინტერპერსონალურ სკალას აღმოაჩნდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იძულებით გადაადგილების შემთხვევაში ყველაზე ხშირად ადამიანები მიმართავენ სოციალურ მხარდაჭრას, სოციალური კავშირების შექმნას და ჯგუფური იდენტობის გაძლიერებას, რელიგიის როგორც ადამიანთა და ინსტიტუციას შორის

ურთიერთობების გაძლიერების ფუნქცია გასაგები ხდება. რა თქმა უნდა, აღსანიშნავია საქართველოში არსებული კონტექსტი, სადაც 43 %-სთვის რელიგია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია (Caucasus Barometer, 2013).

(3) კვლევის ერთ-ერთ კითხვას წარმოადგენდა იმის გარკვევა გლობალური საზრისის დარღვევის რომელი ფაქტორები იყო კავშირში პოსტტრავმულ ზრდასთან. მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გლობალური საზრისის სკალები წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს და ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 6%-ს. გლობალური საზრისის დარღვევის მხოლოდ რწმენების სკალა აღმოჩნდა სანდო პრედიქტორი პოსტტრავმული ზრდისთვის. რწმენების სკალა ეხება იმის გარკვევას, თუ რამდენად დაერღვა ადამიანს რწმენა მაგალითად, სამყაროს სამართლიანობის, კანონზომიერების და კონტროლის შესახებ. აღნიშნული შედეგი საზრისის ძიების მრავალკომპონენტური მოდელის ერთ მცირე კავშირზე მიუთითებს. კერძოდ, პარკის (Park, 2005) მიხედვით, ტრავმული გამოცდილების შემდგომ საზრისის ხელახალ ძიებას, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება პოსტტრავმული ზრდა შეიძლება იყოს, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აღინიშნება გლობალურ და სიტუაციურ საზრისს შორის განსვლა, რაც თავის მხრივ დისტრესის წყაროა და შესაბამისად ამ დისტრესის შემცირების მიზნით ახალი აზრის აღმოჩენის ბიძგი. ის, რომ რწმენების რღვევის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი კავშირშია პოსტტრავმული ზრდასთან და პრედიქტორული ღირებულება გააჩნია, სწორედ ერგება ამ თეორიული ჩარჩოს მოდელს. კერძოდ, გლობალური საზრისის დარღვევის პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისთვის აჩვენებს, რომ თუ გვინდა მივაღწიოთ ზრდას ანუ შეიქმნას ახალი 'პროდუქტი' ტრავმული სიტუაციის შემდგომ, უნდა მოხდეს რღვევა იგივე განსვლა გლობალურ და სიტუაციურ საზრისს შორის. ეს შედეგი თანხმობაშია აქამდე არსებული ემპირიულ კვლევებთან, რომელიც ეხება ტრავმის (Park, 2008) და დანაკარგის (Park et al, 2012) შემდგომ კარგად ყოფნას.

(4) საზრისის ძიების თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სტრესული თუ ტრავმული სიტუაციის შეფასება წარმოადგენს (Park, 2005). სწორედ სიტუაციური შეფასება იგივე ე.წ. სიტუაციური საზრისი თამაშობს როლს იმაში თუ რამდენად დიდი იქნება გლობალურ და სიტუაციურ შეფასებას შორის განსვლა. ლოგიკურია, რომ რაც უფრო პოზიტიურად იქნება მოვლენა შეფასებული, მით მეტად უნდა იყოს კავშირი კარგად ყოფნასთან. მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების სკალები წარმოადგენს პოსტრავმული ზრდის პრედიქტორს და ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 11%-ს. აქედან გამოწვევის სკალას შეაქვს ყველაზე მეტი წვლილი პოსტრავმული ზრდის გამოვლენაში და ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 7%-ს. ადამიანის მიერ ამათუიმ მოვლენის როგორც გამოწვევის შეფასება ეხება პიროვნულ ზრდას განვითარებისკენ ბიძგს (Ferguson et.al. 1999) ამის გათვალისწინებით, ეს კავშირი სავსებით ლოგიკურია. თუმცა საინტერესოა ის, რომ დევნილების მიერ იძულებითი გადაადგილების შეფასება ნაწილობრივ როგორც გამოწვევა ისე არის აღქმული და არა მარტო როგორც დანაკარგი ან საფრთხე. ამის ახსნა შესაძლოა იმით, რომ აღნიშნული მონაცემები შეგროვილ იქნა დევნილთა საცხოვრებლების მხოლოდ ერთ კონკრეტულ დასახლებაში, კერძოდ წეროვანში. წეროვანის დასახლება, დევნილთა სხვა დასახლებებთან შედარებით, ბევრად განვითარებულია მრავალი მიმართულებით, თბილისთან ტერიტორიული სიახლოვით, მეტი ყურადღებით ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ა.შ. არაერთი პირისგან გვსმენია ინტერვიუს ჩატარებისას, რომ მათთვის ეს გარემო ბევრად ხელსაყრელია, ვიდრე ის სოფლები სადაც ისინი იმყოფებოდნენ და სადაც ხშირად 5-6 სული ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა. ამიტომ, შესაძლოა ისინი რეტროსპექტულად იძულებით გადაადგილებას უყურებენ როგორც მათთვის განვითარების საშუალებას ცხოვრებაში. ამას სხვა ახსნაც შეიძლება მოეძებნოს. ის რომ დევნილები იძულებით გადაადგილებას აფასებენ როგორც გამოწვევას, ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს რელიგიურ სფეროს; ანუ ადამიანები ამ 'განსაცდელს' ხედავენ როგორც 'ღვთისგან გამოგზავნილს' რომელიც სწორედ გაკვეთილის მომცემია. თუ გავითვალისწინებთ კიდევ იმას, რომ რელიგიურობა

დადებით კავშირშია მხოლოდ გამოწვევის სკალასთან, აღნიშნული ინტერპრეტაცია მეტად მისაღები ხდება.

კორელაციური ანალიზიდან ასევე ჩანს, რომ საფრთხის სკალაც დადებით კავშირშია პოსტრავმული ზრდის ცხოვრების დაფასების სკალასთან. ცხოვრების დაფასება, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ეხება ცხოვრებისეული პრიორიტეტების ცვლილებას. ისეთი ტრავმული მოვლენის დროს როგორცაა იძულებითი გადაადგილება, რაც ხშირად დანაკარგთან ასოცირდება, ბუნებრივია, ადამიანებს უჩნდებათ საფრთხის განცდა და მათ ცხოვრებაში არსებულ დადებით ასპექტებს თუ „სიკეთებს“ რასაც ადრე თითქოს 'ეს ასეც უნდა იყოს' ახლა სხვაგვარად აფასებენ.

ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებასთან დაკავშირებით ერთი მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი ასპექტი გამოიკვეთა კვლევიდან. კერძოდ, ცხოვრებისეული მოვლენების გამოწვევის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი კორელაციაში აღმოჩნდა რელიგიურობის მაღალ მაჩვენებელთან. რელიგიურობას როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, პირდაპირი და გაშუალებული კავშირი აქვს პოსტრავმულ ზრდასთან. როგორც ირკვევა, რელიგიურობა ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, სტრესული სიტუაციის შეფასებისას, რადგან ის კავშირშია ტრავმული მოვლენის როგორც გამოწვევის შეფასებასთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია მხოლოდ კორელაციურ კავშირზე.

აღნიშნული შედეგი თანხმობაშია კვლევებთან (Maltby & Day, 2003; Maynard, Gorsuch, & Bjorck, 2001), რომლებიც მიმართული იყოს რელიგიის და სტრესული სიტუაციის შეფასებას შორის ურთიერთმიმართების აღმოჩენაზე. კვლევებში აღმოჩნდა რომ რელიგიურობა დადებით კავშირშია სტრესორის როგორც გამოწვევის შეფასებასთან (აღქმა რომ სტრესული სიტუაციიდან შესაძლოა რამე დადებითიც გამოვიდეს) და უარყოფით კავშირში სტრესორის როგორც მუქარის შეფასებასთან (აღქმა რომ სტრესული სიტუაცია ზიანს მოიტანს).

(5) პოსტრავმული ზრდის პრედიქტორების ჰიპოთეტურმა მოდელმა, რომელიც ეხება რელიგიური და 'სეკულარული' დაძლევის სტრატეგიების როლს

რელიგიურობასთან ერთად პოსტრავმული ზრდის გამოვლენაში, აჩვენა საუკეთესო მორგება. ის გვიჩვენებს, რომ იძულებითი გადაადგილების, როგორც ტრავმული გამოცდილების შემდგომ გამოვლენილი პოზიტიური შედეგები, ერთის მხრივ, შესაძლოა რელიგიური და საზრისისეული დაძლევის სტრატეგიებით იყოს განსაზღვრული, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ფაქტორების ერთობლივი გავლენით. თუმცა, რელიგიურობა რწმენათა სისტემის „პირველად მაგალითს“ (“prime example”) წარმოადგენს (Kotarba, 1983), რომელიც თავისთავად გვთვავაზობს დანაკარგთან და წუხილთან შეხებისას გარკვეულ ჩარჩოს, ჩვენ მოდელში მას პოსტრავმულ ზრდასთან პირდაპირი კავშირი არ აღმოაჩნდა. მაგრამ რელიგიურობა თავის მხრივ, ტრავმული სიტუაციის შემდგომ პოზიტიური ცვლილებების მისაღებად ააქტიურებს დაძლევის სტრატეგიებს. მეტიც, რელიგიურობა ორივე, სულიერ და ზოგად პოსტრავმულ ზრდაზე ახდენს გავლენას, რელიგიურ და არარელიგიურ (საზრისისეულ) დაძლევის სტრატეგიების გავლით. ეს შედეგი საწინააღმდეგოა კვლევის (Kroo & Nagy, 2011) რომელიც ეხებოდა სომალელ ლტოლვილებს. აღნიშნული კვლევის მიხედვით, რელიგიურობა დადებით კავშირში იყო პოსტრავმულ ზრდასთან. შესაძლოა, რელიგიურობას არ გააჩნია ‘საკმარისი’ გავლენა პოსტრავმულ ზრდაზე², განსაკუთრებით მაშინ როცა ადამიანები ძლიერი სტრესული თუ ტრავმული სიტუაციის დროს მიმართავენ დაძლევის გარკვეულ სტრატეგიებს, რომლებიც მეტად ეფექტურია სიტუაციასთან გასამკლავებლად. ასევე კვლევა, რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტებზე, რომელთაც ცხოვრებაში ჰქონდათ ახლო ადამიანის სიკვდილის გამოცდილება, აჩვენებს, რომ რელიგიურობა პოსტრავმული ზრდის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორია და მისი გავლენა ნაწილობრივ გაშუალებულია საზრისისეული დაძლევით (Park, 2005). მიუხედავად ამისა, რელიგიურობას დადებითი კავშირი აქვს ორივე, სულიერ და ზოგად პოსტრავმულ ზრდაზე, როცა ის რელიგიურ და საზრისისეული დაძლევის გავლენას მიმართავს. ისეთ სტრესულ სიტუაციებთან

² სტრუქტურული განტოლების მოდელისგან განსხვავებით, სადაც რელიგიურობას არ აღმოაჩნდა პირდაპირი კავშირი პოსტრავმულ ზრდასთან, ცალკეული რეგრესიული ანალიზის საფუძველზე რელიგიურობა წარმოადგენს პრედიქტორს პოსტრავმული ზრდისთვის.

შეჯახება, როგორცაა ომი და იძულებით გადაადგილება, მარტივად ვერ 'გადაიჭრება.' ეს ისეთი გამოცდილებებია, რომელთაც ჭირდება 'ახალი' მისაღები ინტერპრეტაციები. როგორც უკვე ზემოთ ავლინეთ, საზრისისეული დაძლევის სტრატეგია განსაკუთრებით 'რელევანტურია ისეთი სიტუაციებისთვის, როგორცაა ტრავმა და დანაკარგი, რომელებიც მარტივად ვერ გადაიჭრება.' (Park, 2005). სწორედ, იძულებითი გადაადგილება, წარმოადგენს ისეთ მატრავმირებელ სიტუაციას, სადაც საზრისისეულ და რელიგიური დაძლევის მეტი წონა გააჩნია, ვიდრე ცალკე აღებულ რელიგიურობას. ეს შედეგი შეთავსებადია პარგამენტის (Pargament, 1997) პარადიგმასთან, რომელიც გვიჩვენებს, რომ ტრავმული გამოცდილების შემდგომ, რელიგიური დაძლევა მეტად არის კავშირში უკეთ შეგუებასთან, ვიდრე რელიგიურობა.

როგორც შედეგებიდან ჩანს, ჰიპოთეტურ მოდელში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები დამტკიცებულ იქნა. კერძოდ, რელიგიური დაძლევა საშუალო დადებით კავშირშია სულიერ პოსტტრავმულ ზრდასთან და მისი გავლენა ზოგად პოსტტრავმულ ზრდაზე სრულად არის გაშუალებული სულიერი ზრდით. მსგავსად, საზრისისეული დაძლევა საშუალო პოსიტიურ კავშირშია ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან და მისი ეფექტი სულიერ პოსტტრავმულ ზრდასზე სრულად გაშუალებულია რელიგიური დაძლევის სტრატეგიით. სულიერი პოსტტრავმული ზრდა, თავისმხრივ, ძლიერ დადებით კავშირში აღმოჩნდა ზოგად პოსტტრავმულ ზრდასთან. ეს კონკრეტული შედეგი თანხმობაშია კვლევებთან, რომლებშიც სულიერება პოსტტრავმული ზრდის თუ კარგად ყოფნის პრედიქტორად არის წარმოდგენილი (Cadell et al. 2003, 2014). ამ კონკრეტულ ასპექტს პრაქტიკული ღირებულება გააჩნია პრაქტიკულ სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის რომელთაც ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდებთან უწყვეტ მუშაობა. კერძოდ, ასეთ შემთხვევებში, ადამიანებს ტრავმულ სიტუაციებთან თუ დანაკარგთან გასამკლავებლად არ გააჩნიათ „ხელშესახები“ რესურსები. სწორედ სულიერი ასპექტზე მუშაობას და გაძლიერებას შესაძლოა მოჰყვეს კარგად ყოფნის თუ ზრდის გამოვლენა.

ჰიპოთეტური მოდელი ნათლად გვიჩვენებს კვლევის მთავარ შედეგს და ღირებულებას. კერძოდ, მასში არსებული პრედიქტორი და მედიატორი ცვლადების ერთობლივი გავლენა/წვლილი პოსტტრავმული ზრდისთვის განისაზღვრება საკმაოდ მაღალი (53%) რეგრესიული წონით. სხვა სიტყვებით, აღნიშნული ფაქტორები ხსნის პოსტტრავმული ზრდის გამოვლენის ვარიაბელობის 53%-ს.

მოდელის კიდევ ერთი აღმოჩენა, პოსტტრავმული ზრდის რელიგიურ და სეკულარულ სფეროებად (realm) დაყოფა, საკმაოდ იმედის მომცემია. ამას მოწმობს ჰიპოთეტური მოდელის არსებულ ემპირიულ მონაცემებზე მორგების საუკეთესო მაჩვენებლები (იხ. შედეგები). აღნიშნული დაყოფის გამართლება შესაძლოა შემდეგი ინტერპრეტაციით, კერძოდ, ადამიანები სტრესული თუ ტრავმული სიტუაციის გასამკლავებლად დაძლევის სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ. შესაბამისად, მათთვის ვისაც რელიგიურობის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, მიმართავს რელიგიურ დაძლევას, რომელსაც ისინი მიჰყავს სულიერი პოსტტრავმული ზრდისკენ და ირიბად (არაპირდაპირ) ზოგად პოსტტრავმულ ზრდამდე; ხოლო მათთვის ვისთვისაც, რელიგიურობა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მიმართავს საზრისისეულ დაძლევას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ზოგად პოსტტრავმულ ზრდაზე.

ემპირიული მონაცემები შეესაბამება ჰიპოთეტურ მოდელში აღნიშნული რელიგიური და 'სეკულარული' დაძლევის განცალკევების იდეას. შეჯამებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ მოდელი მკაფიოდ აჩვენებს, ერთისმხრივ, საზრისისეული, რელიგიური დაძლევის და რელიგიურობის ერთობლივ გავლენას პოსტტრავმულ ზრდაზე და მეორეს მხრივ, კონკრეტული ფაქტორების უნიკალურ წვლილს აღნიშნული ფენომენის გამოვლენაში.

თავი 9 დასკვნები

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საზრისის ძიების მოდელის ემპირიული დადასტურება ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ინიციაციის შედეგად შეიძლება მოიძებნოს ბევრი სხვადასხვა რესურსი, რაც ტრავმული გამოცდილების შემდგომ პოზიტიური ცვლილებებისა და საზრისის აღმოჩენის საშუალებას მისცემს. კვლევის შედეგების მიხედვით, ეს რესურსი შეიძლება იყოს გლობალური თუ სიტუაციურის საზრისის შემადგენელი კომპონენტები; დაძლევის რელიგიური თუ არარელიგიური გზები და თავად რელიგიურობა. ამ პრედიქტორებს განსხვავებული პრედიქტორული ღირებულება აქვთ და მათგან ყველაზე დიდი პრედიქტორული ღირებულება სამყაროს შესახებ წარმოდგენებია.

რაც შეეხება კვლევის კონკრეტულ ჰიპოთეზებზე პასუხებს:

I. კვლევის პირველი ნაწილი

სამყაროს შესახებ წარმოდგენები, რელიგიურობა, გლობალური საზრისის დარღვევა და დაძლევის სტრატეგიები პოზიტიურ კავშირშია პოსტტრავმული ზრდასთან; ტრავმული სიტუაციის შეფასების რაობა განსაზღვრავს პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელს.

კვლევის პირველი ნაწილის ჰიპოთეზები დადასტურდა. ცვლადების ეს კომბინაცია ერთად აღებული წინასწარმეტყველებს პოსტტრავმული ზრდის მნიშვნელოვან პროცენტს (29%) და ყველაზე დიდი პრედიქტორული ღირებულება აქვს სამყაროს შესახებ წარმოდგენებს და სტრესული სიტუაციის შეფასებას რაობას.

ცალკეული ცვლადი თავის მხრივ წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის, კერძოდ:

- სამყაროს შესახებ წარმოდგენების სამივე სკალას აღმოაჩნდა პრედიქტორული წონა პოსტტრავმული ზრდისთვის;
- ინტერპერსონალური რელიგიურობა წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს;
- გლობალური საზრისის დარღვევის რწმენების განზომილება პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორია;
- ჰიპოთეზის მიხედვით, ტრავმული სიტუაციის, როგორც გამოწვევის შეფასების შემთხვევაში, ინდივიდებს უნდა აღენიშნებოდეთ პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი. ტრავმული სიტუაციის, არა მხოლოდ როგორც გამოწვევის შეფასება, არამედ, როგორც საფრთხის აღმოჩნდა პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორი;
- დაძლევის რელიგიური გზა წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს.

II. კვლევის მეორე ნაწილი

კვლევის მეორე ნაწილის შემაჯამებელი დასკვნის სახით ვთქვათ, რომ კონცეპტუალური მოდელის მიზანს წარმოადგენდა რელიგიური და მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევის, როგორც მედიატორ ფაქტორებად მოაზრება, ხოლო რელიგიურობის ფაქტორის პრედიქტორული ღირებულების განსაზღვრა პოსტტრავმული (ზოგადი/სულიერი) ზრდისათვის, რაც დაგვიდასტრუდა კიდევ - მოდელი გვაჩვენებს მორგების კარგ მაჩვენებლებს ქართული რეალობისათვის.

რაც შეეხება კვლევის კონკრეტულ, პირდაპირი და მედიაციური კავშირების შესახებ ჰიპოთეზებზე პასუხებს:

პირდაპირი კავშირები:

- რელიგიურობის კავშირი სულიერ პოსტრავმულ ზრდასთან ტენდენციურია (trend significance);
- რელიგიური დაძლევა კავშირშია სულიერ პოსტრავმულ ზრდასთან;
- რელიგიურობა და რელიგიური დაძლევა არ აღმოჩნდა პირდაპირ კავშირში ზოგად პოსტრავმულ ზრდასთან;
- მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევა კავშირშია ზოგად პოსტრავმულ ზრდასთან;
- მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევა არ აღმოჩნდა პირდაპირ კავშირში სულიერ პოსტრავმულ ზრდასთან;
- სულიერი პოსტრავმული ზრდა კავშირშია ზოგად პოსტრავმულ ზრდასთან.

მედიაციური კავშირები

- რელიგიურობა გავლენას ახდენს ზოგად პოსტრავმულ ზრდაზე საზრისისეული დაძლევის გზით;
- რელიგიურობა გავლენას ახდენს სულიერ პოსტრავმულ ზრდაზე რელიგიური დაძლევის გზით;
- მნიშვნელობის მინიჭებით დაძლევა გავლენას ახდენს სულიერ პოსტრავმულ ზრდაზე რელიგიური დაძლევის გზით.

III. მესამე ნაწილი

გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტი იმეორებს ავტორების მიერ შემოთავაზებულ ფაქტორულ სტრუქტურას ქართულ რეალობაში . კვლევის შედეგად მივიღეთ გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტი, რომელიც ადაპტირებულია

ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა და სანდოობის მაჩვენებლები მისი პრაქტიკული თუ კვლევითი მიზნებისთვის შემდგომი გამოყენების საშუალებას იძლევა.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ემპირიულ კვლევათაგანს საერთაშორისო დონეზე და პირველ კვლევას საქართველოში, რომელიც შეეხება საზრისის ძიების თეორიული მოდელის ემპირიულად შემოწმებას.

არსებული კვლევას, რომელიც თავის თავში სამ ნაწილს მოიაზრებს (პოსტტრავმული ზრდის ცალკეული პრედიქტორების კვლევა, კონცეპტუალური მოდელი და ინსტრუმენტის ადაპტაცია) თეორიული ღირებულება გააჩნია. ერთის მხრივ, ამაზე მიუთითებს ის, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებულმა ჰიპოთეტურმა მოდელმა საუკეთესო მორგება აჩვენა ჩვენ შერჩევაზე, რაც თავის მხრივ, საზრისის ძიების თეორიული მოდელის შემოწმებას და კულტურული თავისებურებების გამოვლენას ემსახურება ქართულ რეალობაში. მეორეს მხრივ, ტრავმული გამოცდილების შედეგად პოსტტრავმული ზრდის ფენომენის, იგივე აღმოჩენილი საზრისის, განმსაზღვრელი ფაქტორების და მექანიზმების შესწავლით, კვლევას წვლილი შეაქვს აღნიშნული კონსტრუქტების ვერიფიცირებაში, რაც თავის მხრივ, პოზიტიური ფსიქოლოგიაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას, კვლევის შედეგებმა მოგვცა საშუალება საზრისის ძიების თეორიული ჩარჩოს ფარგლებში კონკრეტული ფაქტორების და კავშირების იდენტიფიცირება, რაც ცხოვრებაში ნეგატიურ მოვლენებთან შეჯახებისას ეფექტურ დაძლევას უწყობს ხელს. თავის მხრივ, აღნიშნული შედეგები სფეროში მომუშავე პროფესიონალებს აძლევს ეფექტური ინტერვენციის დაგეგმვის და განხორციელების საშუალებას.

კვლევის შედეგად მიღებული ქართულ ენაზე ადაპტირებული გლობალური საზრისის დარღვევის ინსტრუმენტი სამომავლო კვლევების დ ინტერვენციის დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

კვლევის სიახლეს წარმოადგენს:

- ის შერჩევა, რომელსაც კვლევა ეყრდნობა, კერძოდ იძულებით გადაადგილებული პირები. საზრისის ძიების მოდელის შესახებ კვლევები ძირითადად მოიაზრებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ კონტექსტს (მაგ; სიმსივნე, აივ ინფექცია და ა.შ.);
- ისეთი ცვლადების, როგორცაა მაგალითად სამყაროს შესახებ წარმოდგენები (იგივე, გლობალური საზრისი) და ცხოვრებისული მოვლენების შეფასებ (იგივე, სიტუაციური საზრისი) კვლევა, რომლებიც არ არის ამ კომბინაციით ნაკვლევი;
- ის, რომ კვლევა მოიაზრებს საზრისის ძიების, ორივე პროცესის (*დაძლევის სტრატეგიები*) და შედეგის (*აღმოჩენილი საზრისი, იგივე პოსტტრავმული ზრდა*) შესწავლას;

კვლევის ლიმიტი და მომავალი კვლევითი რეკომენდაციები

კვლევის ლიმიტად შეიძლება ჩაითვალოს კროს-სექციული დიზაინი. საზრისის ძიების თეორიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება მასში წარმოდგენილი კონსტრუქტების დინამიურ ბუნებას, როგორცაა მაგალითად საზრისის ძიების პროცესში გლობალური თუ სიტუაციური საზრისის ცვლილებები, კვლევის ლონგიტიდური დიზაინი წარმოადგენს საუკეთესო გზას. ცხადია, მსგავსი დიზაინის განხორციელება მხოლოდ ერთი დისერტაციის ფარგლებში შეუძლებელია და იგი წარმოადგენს სამომავლო კვლევის მიზანს.

ასევე, სასურველი იქნებოდა ტრავმული გამოცდილებასთან დაკავშირებული დისტრესის ან სხვა ნეგატიური სიმპტომების კვლევაც პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური ფსიქოლოგიის გაძლიერების გათვალისწინებით, ჩვენი ფოკუსიც ძირითადად პოზიტიური ცვლილებებზე აქცენტის გაკეთება იყო. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ შემდგომი კვლევებში აქცენტი უნდა გაკეთდეს, ორივე, ნეგატიურ და პოზიტიურ ცვლილებებზე.

აღსანიშნავია, რომ კვლევა ჩატარდა ერთი ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდებთან და მიღებული შედეგებიც სწორედ ამ სამიზნე ჯგუფს უკავშირდება. სხვა ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდებთან პოზიტიური შედეგების კვლევა საინტერესო ინფორმაციას და მეტად განზოგადოების საშუალებას მოგვცემდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Abbey, A., & Halman, L. J. (1995). The role of perceived control, attributions, and meaning in members of infertile couples' well-being. *Journal of Social and Clinical Psychology*, 14, 271–296.
- Abdel-Khalek, A. M. (2007). Religiosity, happiness, health, and psychopathology in a probability sample of Muslim adolescents. *Mental Health, Religion, and Culture*, 10, 571–583.
- Aldwin, C.M., & Levenson, M.R. (2004). Posttraumatic growth: A developmental perspective. *Psychological Inquiry*, 15, 19–21.
- Aldwin, C.M. (2007). *Stress, coping, and development : an integrative perspective*. 2nd Ed. New York Guilford Press
- Ali, T., Dunmore, E., Clark, D., & Ehlers, A. (2002). The role of negative beliefs in posttraumatic stress disorder: A comparison of assault victims and non-victims. *Behavioural and Cognitive Psychotherapy*, 30, 249–257.
- Ano, G. G. & Vasconcelles, E. B. (2005), Religious coping and psychological adjustment to stress: A meta-analysis. *Journal of Clinical Psychology*, 61, 461–480.
- Armeli S., Gunthert C.K., Cohen H.L. (2001). Stressor Appraisals, Coping and Post-Event Outcomes: The dimensionality and Antecedents of Stress-Related Growth. *Journal of Social and Clinical Psychology* 20 (3), 366-396
- Austin, J. T., & Vancouver, J. B. (1996). Goal constructs in psychology: Structure, process, and content. *Psychological Bulletin*, 120, 338–375.
- Baumeister, R. F. (1991). *Meanings of life*. New York: Guilford Press
- Baumeister, R. F. (2002). Religion and psychology: Introduction to the special issue. *Psychological Inquiry*, 13, 165–167.
- Bayer S., Lev-Wiesel R., Amir M. (2007). The Relationship Between Basic Assumptions, Posttraumatic Growth, and Ambiguity Tolerance in an Israeli Sample of Young Adults A Mediation-Moderation Model. *Traumatology* vol. 13 no. 14-15
- Boehmer, S., Luszczynska, A., & Schwarzer, R. (2007). Coping and quality of life after tumor surgery: Personal and social resources promote different domains of quality of life. *Anxiety, Stress & Coping*, 20, 61–75.
- Bolton, D., & Hill, J. (1996). *Mind, meaning, and mental disorder: the nature of causal explanation in psychology & psychiatry*. Oxford University Press.

- Bonanno, G. A., & Kaltman, S. (1999). Toward an integrative perspective on bereavement. *Psychological Bulletin*, 125, 760–776
- Bonanno, G. A., Galea, S., Bucciarelli, A., & Vlahov, D. (2006). Psychological Resilience After Disaster New York City in the Aftermath of the September 11th Terrorist Attack. *Psychological Science*, 17(3), 181–186. doi:10.1111/j.1467-9280.2006.01682.x
- Bower, J. E., Kemeny, M. E., Taylor, S. E., & Fahey, J. L. (1998). Cognitive processing, discovery of meaning, CD4 decline, and AIDS related mortality among bereaved HIV-seropositive men. *Journal of Consulting and Clinical Psychology*, 66, 979–986.
- Brune M., Haasen C., Krausz M., Yagdiran O., Bustos E., Eisenman D. (2002). Belief Systems as coping Factors for Traumatized Refugees: A pilot study. *Journal of European Psychiatry* 17 (8), 451-8
- Butler, Lisa D.; Blasey, Christine M.; Garlan, Robert W.; McCaslin, Shannon E.; Azarow, Jay; Chen, Xin-Hua; Desjardins, Juliette C.; DiMiceli, Sue; Seagraves, David A.; Hastings, T. Andrew; Kraemer, Helena C.; Spiegel, David (2005). Posttraumatic Growth Following the Terrorist Attacks of September 11, 2001: Cognitive, Coping, and Trauma Symptom Predictors in an Internet Convenience Sample. *Traumatology*, 11(4), 247-267.
- Buunk, A. P., & Gibbons, F. X. (2007). Social comparison: The end of a theory and the emergence of a field. *Organizational Behavior and Human Decision Processes*, 102, 3–21
- Cakici M., & Cakici E. (2008). Comparing psychological responses of internally displaced and non-displaced Turkish Cypriots. *Torture*, 13 (1).
- Cadell, S. Regehr C., & Hemsworth, D. (2003). Factors contributing to posttraumatic growth: A proposed structural equation model. *American Journal of Orthopsychiatry*, 73(3), 279-287.
- Cadell, S., Quosai, T.S., Davies, E., Hemsworth, D., Steele, R., Liben, S. (2014). Posttraumatic Growth in Parents Caring for a Child with a Life-Limiting Illness: A Structural Equation Model. *American Journal of Orthopsychiatry*, 84 (2), 123-133
- Caldwell, Jodi K (2008). A model of trauma with spirituality and religiosity: the mediating and moderating effects of personal growth initiative and openness to experience. *Electronic Theses and Dissertations*.
- Calhoun, L. G., & Tedeschi, R. G. (1998). Posttraumatic growth: Future directions. In R. G. Tedeschi, C. L. Park, & L. G. Calhoun (Eds.), *Posttraumatic growth: Positive changes in the aftermath of crisis* (pp. 127-151). Mahwah, NJ: Laurence Erlbaum Associates, Inc.

- Calhoun, L. G., & Tedeschi, R. G. (1999). *Facilitating Posttraumatic growth: a clinician's guide*. Mahwah, NJ: Laurence Erlbaum Associates, Inc.
- Calhoun, L. G., & Tedeschi, R. G. (2001). Posttraumatic growth: The positive lessons of loss. In R. A. Neimeyer (Ed.), *Meaning reconstruction and the experience of loss* (pp. 157-172). Washington, DC: American Psychological Association.
- Calhoun, L. G., & Tedeschi, R. G. (2006). The foundations of posttraumatic growth: An expanded framework. In L. G. Calhoun & R. G. Tedeschi (Eds.), *Handbook of posttraumatic growth: Research and practice* (pp. 3-23). Mahwah, NJ: Laurence Erlbaum Associates, Inc.
- Carver, C., Scheier, M., & Weintraub, J. (1989). Assessing coping strategies: A theoretically based approach. *Journal of Personality and Social Psychology*, 35, 267-283.
- Carver, C. S., & Scheier, M. F. (1998). *On the self-regulation of behavior*. New York, NY: Cambridge University Press.
- Clay, R., Knibbs, J., & Joseph, S. (2009). Measurement of Posttraumatic Growth in Young People: A Review. *Clinical Child Psychology and Psychiatry*, 14(3), 411-422.
- Cordova, M. J., Cunningham, L. L. C., Carlson, C. R., & Andrykowski, M. A. (2001). Posttraumatic growth following breast cancer: A controlled comparison study. *Health Psychology*, 20, 176-185.
- Creamer, M., Burgess, P., & Pattison, P. (1992). Reaction to trauma: A cognitive processing model. *Journal of Abnormal Psychology*, 101, 452-459.
- Creswell, J. D., Lam, S., Stanton, A. L., Taylor, S. E., Bower, J. E., & Sherman, D. K. (2007). Does self-affirmation, cognitive processing, or discovery of meaning explain cancer-related health benefits of expressive writing? *Personality and Social Psychology Bulletin*, 33, 238-250
- Currier, J., Holland, J., & Neimeyer, R. (2006). Sense-making, grief, and the experience of violent loss: Toward a mediational model. *Death Studies*, 30, 403-428.
